

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ლ. მ. ნოზაძე

ქართული ენის ლექსიკოლოგიის  
კ რ ო ბ ლ ე მ ე ბ ი



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2008

რედაქტორები: ზურაბ ჭუმბურიძე  
გიორგი ცოცანიძე

რეცენზენტები: ციციხოველიძე კვანტალიანი  
ნანა ლოლაძე

© ლ. ნოზაძე, 2008

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008

---

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-406-8

კრებულში მოთავსებულია ავტორის მიერ სხვადასხვა საენათმეცნიერო ჟურნალში („ენათმეცნიერების საკითხები“, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი...; „საენათმეცნიერო ძიებანი“, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი... და სხვ.) გამოქვეყნებული ქართული ენის ლექსიკოლოგიის პრობლემებთან დაკავშირებული სტატიები.

ვფიქრობთ, იგი დააინტერესებს აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებს.

*ლამარა მელიტონის ასული ნოზაძე*

## შ ი ნ ა ა რ ს ი

მასდარის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში და ქეგლ-ი .....	5
მცირე კომენტარი ქეგლ-თან დაკავშირებული შენიშვნების გამო .....	22
ზოგი ცნების (მნიშვნელობის) დაზუსტებისათვის „ქეგლ“-თან მიმართებით .....	29
კვლავ „ქეგლ“-თან დაკავშირებული ზოგი საკითხის გამო (I. მასდარის გრამატიკული დახასიათება. II. სიტყვის გადატანით მნიშვნელობათა კვალიფიცირება) .....	34
შენიშვნები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე (მის ახალ გამოცემასთან დაკავშირებით) .....	44
ზოგი ტექნიკური საკითხის გამო „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ .....	59
ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი და მასთან დაკავშირებული პრობლემები .....	64
„ქართლური დიალექტის ლექსიკონთან“ (1981) დაკავშირებული ზოგი საკითხის გამო .....	79

მასდარის წარმოების ზომი საკითხი  
ქართულში და ქეგლ-ში\*

მასდარის წარმოებასთან ქართულში საკითხთა წყებაა დაკავშირებული. ამჯერად განვიხილავთ საკითხს — რისგან იწარმოება მასდარი ქართულში? ამაზეა დამოკიდებული, რა გრამატიკული კვალიფიკაცია მიეცემა მას, კერძოდ, ქეგლ-ში.

თავის მხრივ, აღნიშნულ საკითხთან უშუალო კავშირშია პრობლემა — ქეგვა და გვარი უღლების კატეგორიაა, თუ წარმოქმნისა? და თუ — წარმოქმნისა, რა სახის წარმოქმნასთან გვაქვს საქმე — გრამატიკული შინაარსის თუ ლექსიკური?!

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს.

ა. შანიძის განმარტებით, უღლებისაა კატეგორია, თუ ის

---

\* წაკითხულია მოხსენებად. იხ. „არნოდ ჩიქობავას საკითხავები“, XIV, 2003, 50 (მისი ვრცელი ვარიანტი გამოქვეყნდა 2003 წ. იხ. „საენათმეცნიერო ძიებანი, XIII).

1 წარმოადგენს ა. შანიძის აღნიშნული თვალსაზრისის გამოშატვლ რამდენიმე ციტატას მისი შრომებიდან.

მკვლევარი ქეგლ-ის პრინციპების განხილვისას შენიშნავს: „...უფრო მძიმეა ის გარემოება, რომ განმარტებით ლექსიკონში ფორმები დალაგებულია ისეთი წესით, რომელიც ერთმანეთისაგან თიშავს ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობით ერთსა და გრამატიკული ნიშნების მიხედვით განსხვავებულ ფორმებს (ხაზგასმა — ლ. ნ.) და სხვადასხვა ადგილას ათავსებს მათ (შანიძე, 1999, გვ. 98).

კიდევ: „ერთი ძირითადი მნიშვნელობის მქონე სიტყვები გათიშულია და სხვადასხვა ადგილას მოთავსებული (ორსავე შემთხვევაში მხედველობაშია გვარისა და ქეგვის ფორმები — ლ. ნ.) (შანიძე, 1999, გვ. 101; 1973, გვ. 559. იხ. აგრეთვე ფოგტი, 1970, გვ. 362).

ა. შანიძის მიერ ზმნურ წარმოქმნილ ფორმათა ამგვარი ინტერპრეტაცია ქართულში — მათი დიფერენცირება — გამიჯვნა გრამატიკული შინაარსისა და ლექსიკურ მნიშვნელობათა მიხედვით (იგი ა. შანიძის „ლექსიკოლოგიური კონცეფციის“ ქვაკუთხედია) სპეციალისტების მიერ რატომღაც გათვალისწინებული არ არის (შდრ. ჩიქობავა: ქეგვებისა და ვნებითის ნაწარმოები ზმნური ფუძეების: იყრავს — უყრავს — იყრება — ეყრება „შეტანა ლექსიკონში ისევე გამართლებული, როგორც სახელის ნაწარმოები ფუძეებისა (გ უ ლ ი ა ნ ი, უ გ უ ლ ი, სა გ უ ლ ე... 1964, გვ. 06). კიდევ: „არც პროფ. შანიძეს შეუძლია უარყოს ის ფაქტი, რომ ეს ფორმები (მხედველობაშია ქეგვა, გვარი, კაუზატივი — ლ. ნ.) წარმოქმნის ფორმებია და ცალკეულ ლექსიკურ ერთეულებს ქმნიან, ოღონდ საკითხი იმას ეხება, სად იქნეს თითოეული მათგანი ლექსიკონში შეტანილი და განმარტებული“, 1999, გვ. 134; შდრ. აგრეთვე უთურგაიძე, 2002, გვ. 79-81 და სხვ.).

ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას არ ცვლის და ამასთან ერთად აუცილებლად საპირთა ერთის ან რამდენიმე მწკრივის საწარმოებლად. მისი აზრით, ასეთია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა. მაგალითად, ჭამს, ჭამდა, ჭამა, ჭამოს... მკვლევრის თვალსაზრისით, ფლექსიური ფორმებია. მათ აერთიანებს ერთი და იგივე ლექსიკური მნიშვნელობა. მათი ფორმაცვალება ერთი სიტყვის ფარგლებში ხდება (შანიძე, 1973, გვ. 139, 165, 384).

წარმოქმნილია (მხედველობაშია წარმოქმნა გრამატიკის დონეზე) კატეგორია (ასეთად ა. შანიძეს მიაჩნია: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი), თუ ის „მოლიფიკაციას უშვრება“, ცვლის ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას და ახალს აძლევს (ე. ი. ფორმაცვალება ერთი სიტყვის ფარგლებს შორდება), „მაგრამ ეს ახალი ისე ახლოს დგას ძირეული ზმნის მნიშვნელობასთან, რომ ძნელია მისგან გამორჩევა“ (შანიძე, 1973, გვ. 165, 236).

ა. შანიძის დაკვირვებით, არის ფორმალური ნიშანი, რის საფუძველზედაც შეიძლება დადგინდეს, ნაწარმოები ფორმა განეკუთვნება წარმოქმნას, თუ არა. ეს ნიშნებია:

1. წარმოქმნილი ფორმა იმეორებს ძირეული ზმნის მწკრივებს (დათესავს — დაითესება, დათესა — დაითესა, დათესოს — დაითესოს... შდრ. თესავს, თესავდა, თესოს...)<sup>1</sup>

2. წარმოქმნილ ფორმაში ხდება პირთა რაოდენობის შეცვლა: დამალავს — დაუმალავს, დახატავს — დაიხატება... (შანიძე, 1973, გვ. 236-237). (ეს დამატებითი ნიშანია — ლ. ნ.).

მკვლევრის აზრით, წარმოქმნილი ერთეულები მიუხედავად ძირეულ ფორმებთან ლექსიკური მნიშვნელობების სიახლოვისა (ისინი ერთსა და იმავე მოქმედებას გადმოგვცემენ, თუმცა განსხვავებული თვალსაზრისით),<sup>2</sup> სხვადასხვა ზმნებია, მაგრამ გრამატიკული (და არა

<sup>1</sup> იგულისხმება წარმოქმნილ და ძირეულ ერთეულთა დაპირისპირება მწკრივის შიგნითაც: ვკერავ — ვიკერავ, კერავ — იკერავ, კერავს — იკერავს...

პირისა და რიცხვის ნიშნები ცვალებადი ელემენტებია, ფუძეს არ წარმოქმნიის (შდრ. უთურგაძე, 2002, გვ. 79-80).

<sup>2</sup> მაგალითად, ა. შანიძის თქმით, ზმნები „გაკეთა“ და „გაკეთდა“ ერთსა და იმავე მოქმედებას გადმოგვცემს, მაგრამ ერთი — მოქმედი პირის გამოჩენით, მეორე — მის გამოუჩენლად (შანიძე, 1973, გვ. 236). ასევე, ერთსა და იმავე მოქმედებას გამოხატავს „კერავს“ და „იკერავს“ ზმნები, ოღონდ პირველი („კერავს“) — სუბიექტურ და ობიექტურ პირთა შორის კუთვნილებითი ურთიერთობის აღუნიშნავად, მეორე

ლექსიკური) შინაარსის მიხედვით.

ა. შანიძე თვლის, რომ ზმნური ძირისაგან (ფუძისაგან) ახალი ლექსიკური მნიშვნელობის წარმოქმნა ზმნისწინის საშუალებით ხდება, ზმნისწინის ერთ-ერთი (ავტორის ნომერაციით — მეოთხე) ფუნქციაა. მისი თქმით, „ზმნისწინის მეოთხე ფუნქციის აღნუსხვა (მხედველობაშია გა-გონება, მო-გონება, შთა-გონება... რიგის წარმოქმნა — ლ. ნ.) ლექსიკონის საქმეა“ (შანიძე, 1973, გვ. 240, შდრ. უთურგაიძე, 2002, გვ. 79-81).

ზმნურ წარმოქმნის კატეგორიათა ამგვარ ინტერპრეტაციას ემყარება ა. შანიძის შემდგომი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც „საწყისი“ („მასდარი“) იწარმოება — სუფიქსის დართვით ზმნის I სერიის გაუფრცობელი თემისაგან — აწმყოს (ან მყოფადის) ფორმისაგან, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშანი, აგრეთვე — ქცევის, გვარის და სიტუაციის (შანიძე, 1973, გვ. 560). ამიტომ საწყისი შესაბამის ზმნურ ფორმათა ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია. იგი, როგორც მკვლევარი თვლის, ზიარი კატეგორიაა მოქმედებითისა და ვნებითისათვის — სემანტიკური ნიშნით თანაბრად მიემართება ორივე გვარის ზმნათა (მოქმედებითისა და ვნებითის) პირიან ფორმებს (შანიძე, 1973, გვ. 558-561).

აღნიშნულ ზმნურ გრამატიკულ კატეგორიებთან (გვარი, ქცევა...) დაკავშირებულ ა. შანიძის, ჩვენნი აზრით, უაღრესად მწყობრ და თანმიმდევრულ კონცეფციას (შდრ. უთურგაიძე, 2002, გვ. 80-81) ემყარება ავტორის ზოგად-თეორიული თვალსაზრისი ლექსიკოგრაფიის არსებით საკითხებზე და მათი პრაქტიკული გადაწყვეტაც, კერძოდ, ლექსიკონში სალექსიკონო ერთეულად — ზმნის მეთაურ ფორმად — საწყისის წარმოდგენა, რომლის ბუდეში შეტანილია იმავე ფუძისაგან სასიტუვათშორისო მიმართებათა გამომხატველი აფიქსებით წარმოქმნილი ყველა შესაძლო პირიანი ფორმა სათანადო დოკუმენტაციით (შდრ. ყრა : ყრის... აყრის... იყრის... უყრის... იყრება... ეყრება... ყრია... აყრია...).

შენიშვნა : მასდარის ამგვარი ინტერპრეტაციისას, ჩვენი აზრით, არსებითად უსაფუძვლო ჩანს ის შენიშვნები, რომლებიც გამოთქმულია ლექსიკონებში ზმნის მასდარზე განლაგების პრინციპის საწინააღმდეგოდ (იხ. ჩიქობავა, 1950, გვ. 011-012, 075; 1964, გვ. 06; 1986, გვ. 06; 1999, გვ. 134-140). მათგან შევხვებით უმთავრესთ.

რე („იკერავს“) — ამაზე მითითებით და ა. შ.

ლექსიკონებში ზმნური პარადიგმის მეთაურ ფორმად მასდარის გამოტანის საწინააღმდეგოდ, ვფიქრობთ, ძირითადი სერიოზული დაბრკოლებაა ის, რომ უცხო ენათაგან განსხვავებით (ამ ენებში, როგორც ცნობილია, ინფინიტივი საყარდენია ზმნის უღლების სისტემისათვის) ქართულში მასდარი შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში თვითონ იწარმოება ზმნისაგან (და არა — პირიქით): მკის → მკა, ლეწავს → ლეწვა, აშენებს → შენება... მაშასადამე, ზმნასთან შედარებით იგი მეორეულია. და ის, რაც მეორეულია წარმოების თვალსაზრისით (ე. ი. წარმოქმნილი ფორმაა), ამ პრინციპის მიხედვით მიჩნეულია საწყისად (ამოსავალ ერთეულად) იმ ზმნური ფორმებისათვის, საიდანაც თვითონ იწარმოება (ჩიქობავა, 1950, გვ. 075 და სხვ.).

ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია რამდენიმე მომენტი. სახელდობრ: მასდარი, მართალია, იწარმოება ზმნისაგან, იგი წარმოქმნილი ფორმაა, მაგრამ წარმოქმნილი ფორმაა გრამატიკული ნიშნის მიხედვით და არა ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით.<sup>1</sup>

მასდარი ზმნის ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია. იგი ზმნის ყველაზე განუყვანებელ მნიშვნელობას გადმოგვცემს, საყარდენია ზმნის სემანტიკისათვის (შანიძე, 1973, გვ. 558; ჩიქობავა, 1986, გვ. 06). ლექსიკონისათვის კი, ჩვენი აზრით, არსებითია სემანტიკური მხარე სიტყვისა და არა ფორმა (მისი სტრუქტურა). ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ნაწარმოები ერთეული — მასდარი (ზმნური, სემანტიკის გამოშტატვლი სახელი) იყოს გამოყენებული მეთაურ ფორმად პირიანი ზმნებისათვის — ძირეული ერთეულებისათვის იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ძირეულ და წარმოქმნილ ელემენტებს შორის ფლექსიური დონის მიმართებებია.<sup>2</sup>

ზმნურ ფორმათა მასდარზე განლაგების ნაკლად მიიჩნევა ისიც, რომ ზმნათა მთელ წყებას, უპირატესად უბრევერბო ნასახელარ ზმნებს, თითქოს მასდარი არ იწარმოება, არ ითქმის ბერება (აბერებს), სრულება (ასრულებს), ლამაზება (ალამაზებს), მწვანება (ამწვანებს) და მისთ. და, მაშასადამე, მასდარის უკონლობის გამო ამგვარი ზმნები ლექსიკონში ვერ მოხვდება (ჩიქობავა, 1950, გვ. 011).

ვფიქრობთ, ამ შენიშვნაზე პასუხი შედარებით ადვილია: ხალისება, ნაზება, მცირება, მალება რიგის მასდარები, ერთი შეხედვით, მართლაც,

---

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ არან. ჩიქობავა წარმოქმნის კატეგორიათა ჩამოთვლისას არასახელებს მასდარს. მიმღობა, სრულიად სამართლიანად, მათ შორის არის დასახელებული (ჩიქობავა, 1986, გვ. 06).

<sup>2</sup> მასდარის ამგვარი ინტერპრეტაცია, ვფიქრობთ, იძლევა საფუძველს იგი, ბრუნებადი სიტყვა, მიღებულ იქნას ზმნის პირიანი ფორმათა (ზმნური პარადიგმის) ამოსავალ ერთეულად (შდრ. არნ. ჩიქობავა).



არაბუნებრივი, ხელოვნურად ნაწარმოები ფორმების შთაბეჭდილებას ტოვებს (უნდა დაეძინოთ, ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე), მაგრამ მიუხედავად ამისა ასეთი სიტყვები ლექსიკონებში შეაქვთ და ეს მათ ფუნქციონირებას (ხმარება-გამოყენებას) არ აბრკოლებს.<sup>3</sup>

დ ა რ ე ბ ა (აღარებს), ს უ ს ტ ე ბ ა (ასუსტებს), მ ს ხ ვ ი ლ ე ბ ა (ამსხვილებს) ტიპის მასდარები სათანადო ილუსტრაციებით მრავლად არის შეტანილი „ქველ“-ში, მაგალითად: ბოლება, ბრალება, თხელება, ლექსვა, შშვიდება, ოხრება, პარება, რილება, რკინება, სუქება, ყალიბება, ყრუება, ყუდება და სხვ. (იხ. ქველ-ი).

აღსანიშნავია, რომ ამ რიგის („ხელოვნური“) მასდარები ქველ-ში შეტანილია ილუსტრაციების გარეშეც. მაგალითად: ბადება, ბედება, ბეზრება, ბიჭება, ბუდება, ზვავება, თეთრება, თოკვა, კისრება, კინება, ლანდება, ლაჭება, ნელება, ფითრება, ღერება, შორება, შტერება და სხვ. (იხ. ქველ-ი).<sup>4</sup>

ეს იმას ნიშნავს, — ამგვარ „არაბუნებრივ“ მასდარებს საჭიროების შემთხვევაში ენა დაუბრკოლებლად აწარმოებს. ის, რაც დღეს თეორიულად დასაშვებ ფორმად მიიჩნევა, სავსებით შესაძლებელია მომავალში რეალობად იქცეს, დროთა განმავლობაში „ბუნებრივ“ წარმოებად ჩაითვალოს<sup>5</sup> და, — პირიქით.

---

<sup>3</sup> უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვალიფიკაცია „არაბუნებრივი“, „ხელოვნური“ პირობითია, სუბიექტურობის მომენტს არ გამოირიცხავს.

<sup>4</sup> ამ რიგის მასდარულ ფორმთა ერთგვარი შეზღუდულობა არ არის განპირობებული სემანტიკური სტრუქტურის მოტივით. მას, ძირითადად, წმინდა შემთხვევითი ხასიათი აქვს.

<sup>5</sup> ზმნის მასდარზე განლაგების პრინციპთან დაკავშირებით, ზოგ სხვა საკითხთან ერთად, ჩვენი აზრით, მოსაგვარებელია ტექნიკური მხარეც. კერძოდ, უხერხულობას ქმნის მასდარის სალექსიკონო სტატიაში ზმნის პირიანი ფორმების მომდევნოდ კვლავ იმავე მასდარის წარმოდგენა სათანადო განმარტებებით. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს ის შემთხვევები, როცა სიტყვა მკვეთრად პოლისემიურია. ასეთ შემთხვევაში სტატიის შიგნით ხდება დუბლირება განმარტებათა წყებისა. მაგ.:

დაწერა... 1. ასოების (ციფრების...) გამოსახვა (კალმით, ფანქრით... ქალბლზე ან სხვა მასალაზე). გამოვიტანე ქალბლი, დავწერე ანაბანათ (ხალხ)... 2. ასოების საშუალებით გამოხატვა, გადმოცემა (სიტყვისა, რაიმე შინაარსისა, აზრისა...). ჩემი ნათქვამი სულ ერთიანად დაწერა (ილია)... 3. შეთხზვა, შექმნა (რაიმე მხატვრული, მეცნიერული, მუსიკალური... ნაწარმოებისა). ხელნაწერები თავის დროზე დაუწერიათ მომსწრე პირებს (ი. გოგებ)... დაწერა 1. ასოების (ციფრების...) გამოსახვა (კალმით, ფანქრით... ქალბლზე ან სხვა მასალაზე). სიტყვის დაწერა. 2. ასოების საშუალებით გამოხატვა, გადმოცემა (სიტყვისა...). წაკითხულის გაგებაც შესძლონ და ნაამბობის დაწერაც (ილია)... 3. შეთხზვა, შექმნა (რაიმე მხატვრული, მეცნიერული, მუსიკალური... ნაწარმოებისა. ლექსის დაწერის განწყობილებაც კი დაებადა (ი. ბელ)...

საქმეს ვერ შევლის სპეციალისტების მიერ ბოლო ხანებში შემოთავაზებული წესი სალექსიკონო ერთეულად ერთი და იმავე მასდარის ორჯერ გამოტანისა, ერთისა

აქ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული თვალსაზრისისაა არნ. ჩიქობავა. მისი აზრით ქცევა, გვარი, გზა წარმოქმნის კატეგორიები ლექსიკური მნიშვნელობის (სემანტიკის) თვალსაზრისით. ქცევისა და გვარის ნაწარმოები ფორმები (იშლის, უშლის, იშლება, ეშლება...), აგრეთვე — კაუზატივის ("შუალობითი გზა : აშლევინებს) ზმნას ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას უცვლის, ძირეულთან მიმართებით ახალ ლექსიკურ შინაარს გამოხატავს.

აღნიშნულ ფორმათა ამგვარი ინტერპრეტაციისას სრულიად კანონზომიერია და თანმიმდევრული მკვლევრის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მათი (გვარისა და ქცევის ვარიანტების, კაუზატიური ფორმების) შეტანა ლექსიკონში დამოუკიდებელი სალექსიკონო ერთეულების სახით ისევეა გამართლებული, როგორც სახელის ნაწარმოები ფუძეებისა: გულიანი, უგულო, საგულე (ჩიქობავა, 1950, გვ. 051; 1964, გვ. 06...). სხვა საკითხია, ფაქტობრივად გამოხატავენ თუ არა ისინი ახალ ლექსიკურ მნიშვნელობებს, ასახავენ თუ არა ძირეულთან შედარებით განსხვავებულ საგნობრივ მიმართებებს ("მღრ. კერავს — იკერავს, აშენებს — შენდება...). ამის შესახებ დაწვრილებით — ქვემოთ.

მაგრამ არათანმიმდევრულია და წინააღმდეგობრივი ამგვარ, ჩვენი აზრით, არამართებულ ზოგად-თეორიულ თვალსაზრისზე დამყარებული მოსაზრებანი მასდარის წარმოებასთან დაკავშირებით, რაც შესაბამისად არის კიდევ ასახული „ქეგლ“-ში წარმოდგენილ მასდართა

---

— პირიან ზმნათა წარმოდგენლად, მეორისა — საკუთრივ მასდარისა. მაგალითად:

ტირილი - ი 0-1 ზაბილონ ტირილი... 74,6.

ტირილი - ი იქნა ტირილი... (სარჯველაძე, 1995).

განწმენდა გაწმენდა. განწმინდების ქმარი იგი...

განწმენდა გაწმენდა. ძალ-გიც განწმენდა ჩემდა... (სარჯველაძე, 1995; იხ. აგრეთვე ქაჯაია, 1984 და სხვ.)

ამ მეთოდის გამოყენებით, როგორც ვხედავთ, ერთმანეთისაგან გამოიყოფა (იმიჯნება) ზმნური და სახელური პარადიგმები. მაგრამ მას აქვს ნაკლიც.

ერთი და იმავე მასდარის (არაომონიმური ფორმების) ორჯერ გამოტანა უკვე უარყოფითი მხარეა აღნიშნული პრინციპისა. ნაკლია ისიც, რომ, დუბლირება ხდება ამჟერად ერთმანეთის მოძღვენო მასდართა (პირიანი ზმნის შესაბამისი და საკუთრივ მასდარის) განმარტებებისა.

ვფიქრობთ, მასდართა წარმოდგენის აღნიშნული პრინციპი, როგორც ტექნიკური ხერხი, შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთ ნაშრომებში, რომლის ამოცანაა ამა თუ იმ ძეგლის (სამწერლობო ენის ამა თუ იმ მონაკვეთის) სიტყვა-ფორმათა აღნუსხვა განმარტების გარეშე; მაგალითად, ქართული ენის თესაურუსში და სხვა.

ს ა კ ი თ ხ ი ს ა გ ა ნ გ ე ბ ო დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ა ს მ ო ი თ ხ ო ვ ს .

გრამატიკულ კვალიფიკაციებში. სახელდობრ:

ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისის ფონზე (ვნებითი გვარის და ქცევის — სასუბიექტო, საობიექტო — ფორმები წარმოქმნილი ელემენტებია) სრულიად კანონზომიერია, რომ არნ. ჩიქობავა მასდარს მიიჩნევს ნაწარმოებად გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევის აწმყოს ფუძისაგან<sup>1</sup>: წერ-ს — წერ-ა, თესავ-ს — თესვ-ა, ზრდი-ს — ზრდ-ა, აშენებ-ს — შენებ-ა... და, — ისიც, რომ ნეიტრალური ქცევის ფუძისაგან ნაწარმოები მასდარი (თ ე ს ვ ა ← თესავს, შ ე ნ ე ბ ა ← აშენებს...) არ შეიძლება იმავდროულად წარმოდგენდეს ამავე ფუძისაგან, მკვლევრის აზრით, წარმოქმნილი ერთეულების: ქცევის ვარიანტების (ითესავს, უთესავს... იშენებს, უშენებს...), გვარის (ითესება, ეთესება... შენდება, უშენდება) და სხვ. მასდარსაც (ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , 1950, გვ. 011, 074-075; 1986, გვ. 06; 1999, გვ. 134...)<sup>3</sup>

წინააღმდეგობრივია, ჩვენი აზრით, ავტორის მომდევნო დებულება: „ამისდა მიუხედავად არა იშვიათად (ხაზგასმა — ლ. ნ.) — კონტექსტის შესაბამისად — გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევის მასდარი შეიძლება იყოს გამოყენებული ვნებითი გვარისთვისაც, სასუბიექტო ქცევითა შინაარსის გადმოსაცემდაც“ (ჩიქობავა, 1950, 075...).

შენიშვნა: აღნიშნული დებულებები, როგორც ითქვა, წინააღმდეგობებს შეიცავს. ამასთან, განმარტებას მოითხოვს ზოგი საკითხი. კერძოდ:

ა). თუ ქცევისა და გვარის ნაწარმოები ფორმები ლ ე ქ ს ი კ უ რ ი ლ ო ნ ის დ ე რ ი ვ ა ც ი უ ლ ი ერთეულებია, რატომ არა გვაქვს მათი შესაბამისი მასდარები („ზმნური აბსტრაქტული სახელები“), ე. ი. რატომ არა გვაქვს მასდარად, ვთქვათ, ფორმები: \*იკერვა, \*უკერვა... და მისთ. (შდრ. შური — შურ-იან-ი — შურ-იან-ობა... გონი — უ-გნ-ური — სი-უ-გნ-ური-ე...).

ბ). თუ დასახელებული რიგის ფორმები წარმოქმნის ერთეულებია, ე. ი. ძირეულთან მიმართებით ახალ (განსხვავებულ) მნიშვნელობებს აღნიშნავენ, როგორ არის

<sup>1</sup> გამონაკლისს ქმნის პირველადი მასდარები: შრიალი, ბიბინი, გუგუნი... (ჩიქობავა, 1950, გვ. 075).

<sup>2</sup> ამ კონტექსტში ისმის საკითხი კ ა უ ზ ა ტ ი ვ ის ა - პ რ ე ფ ი ქ ს ის ფ უ ქ ე ს თ ა ნ მი მ ა რ თ ე ბ ის ა და შე ს ა ბ ა - მ ის მ ა ს დ ა რ თ ა ფ ო რ მ ა წ ა რ მ ო ე ბ ა ს თ ა ნ და კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ : ა ქ ე ბ ს - ქ ე ბ ა შ დ რ . ო ქ ე ბ ს - ქ ე ბ ა ...

<sup>3</sup> ავტორის აზრით, ვნებითი მხოლოდ თითოერთლა შემთხვევაშია გარჩეული: მოქმედ. ტუხა — ვნებ. ტულომა, მოქმედ. წყვეტა — ვნებ. წყლომა, მოქმედ. ხეთქა — ვნებ. სკლომა (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 075; შანიძე, 1973, გვ. 559).

შესაძლებელი საარვისო ქცევის მასდარი (მაგალითად, კერვა ← კერავს), როგორც არნ. ჩიქობავა ფიქრობს, გამობატავდეს წარმოქმნილ ფორმათა (იყერავს, უკერავს... იყერება, ეყერება...) სემანტიკას, გამოყენებული იყოს მათი შინაარსის გადმოსაცემად (ჩიქობავა, 1950, გვ. 075 და სხვ.); შდრ. მარილი — სამარილე — უმარილო... გავონება — მოგონება — შთავონება და სხვ., რომელთა მნიშვნელობების გაერთიანება ერთ სემანტიკურ ერთეულად შეუძლებელია (ნოზაძე, 2001, გვ. 70;<sup>1</sup> უთურგაიძე, 2002, გვ. 81).

მასდარის აქ წარმოდგენილი ინტერპრეტაცია, დამყარებული ორ, ამ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის შემცველ კრიტიერიუმზე — ფორმოზზე (მასდარი იწარმოება გარდამავალი ზმნის ნეიტრალური ქცევის აწმყოს ფუძისაგან) და სემანტიკურზე (მასდარი გამობატავს ლექსიკური თვალსაზრისით დერეგაციული ერთეულების — გვარისა და ქცევის ვარიანტების სემანტიკასაც), ჩვენი აზრით, წარმოდგენს მიზეზს (საფუძველს) იმ დარღვევებისა (არათანმიმდევრულობისა) რომელიც მრავლად დასტურდება „ქეგლ“-ის რვატომეულში (ასევე — ერთტომეულშიც) მასდარის გრამატიკული დახასიათებებისას. წარმოვადგენთ ზოგ ნიმუშს ამ დებულების საილუსტრაციოდ.

განმარტებით ლექსიკონში, განსაკუთრებით პირველ ტომში, მასდარი უპირატესად მიჩნეულია სახელურ ფორმად გარდამავალი ზმნის ნეიტრალური ქცევისა ზოგჯერ მაშინაც კი, როცა უფრო ბუნებრივი მისი შესაბამისი ვნებითებია:

აბიბინება (აბიბინებს),<sup>2</sup> აბობოქრება (აბობოქრებს), აბოლება (აბოლებს), აბორგება (აბორგებს), აგება (ააგებს), აგიზგიზება (ააგიზგიზებს), აგრილება (ააგრილებს), ადიდება (აადიდებს), აკანკალება (ააკანკალებს), ალაპარაკება (აალაპარაკებს), ატირება (აატირებს), აქოშინება (ააქოშინებს), აყვავება (ააყვავებს), აყვირება (ააყვირებს), აშენება (ააშენებს), აჩქარება (ააჩქარებს), ბეჟვა (ბეჟავს), გაავაზაკება (გაავაზაკებს), გაავება (გაავებს), გათონა (გათონის), გალესვა (გალესავს), გალეწვა (გალეწავს), გალება (გაალებს), გაყიდვა (გაყიდის), გაცელქება (გააცელქებს), დაბარვა (დაბარავს), დაბომბვა

<sup>1</sup> ლ. ნოზაძე, ზმნური სალექსიკონო ერთეულის პრობლემა ქართულში. წაკითხულია მოხსენებად. იხ. „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“, XII, 2001, 17-20 აპრილი, გვ. 70; ხელნაწერი გვ. 1611. გადაცემულია დასაბუქლად.

<sup>2</sup> ფრჩხილებში მოცემულია ზმნური ფორმები, რომელთა წარმომადგენლადაც „ქეგლ“-ში მიჩნეულია აღნიშნული მასდარები.

(დაბომბავს), დაკეტვა (დაკეტავს), დაკრძალვა (დაკრძალავს), დაღევა (დაღევეს), დანთება (დაანთებს), დაპობა (დააპობს), დარეკვა (დარეკავს), დაფქვა (დაფქვავს), დაქცევა (დააქცევს), დახოცვა (დახოცავს), თიბვა (თიბავს), მოგრეხა (მოგრეხს), მოკირწყვლა (მოკირწყლავს), მოკრეფა (მოკრეფს), მოცეღვა (მოცეღავს), მოქკვიანება (მოაქკვიანებს), ლებვა (ლებავს), შეკეთება (შეაკეთებს), შეკერვა (შეკერავს), ჩამოყრა (ჩამოყრის), ჩაყვითლება (ჩააყვითლებს), ცელვა (ცელავს), ხარშვა (ხარშავს), ხვნა (ხნავს) და მრავალი სხვა.

ასეთ შემთხვევებში გრამატიკული დახასიათება ემყარება მასდარის წარმოებასთან დაკავშირებულ ზოგად მოსაზრებას — მასდარი იწარმოება გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევის აწმყოს ფუძისაგან (არნ. ჩიქობავა), მაგრამ ამ თვალსაზრისის თანმიმდევრული გატარება განმარტებით ლექსიკონში ვერ ხერხდება. რეალური ვითარების გავლენით (ზეწოლით) მასდარის გრამატიკულ კვალიფიკაციებში არცთუ იშვიათად თავს იჩენს გვარისა და ქცევის (სასუბიექტო, საობიექტო) ფორმები.

კერძოდ, „გლ“-ში მასდარი სწორად კვალიფიცირებულია გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევისა და შესაბამისი ღ-სუფიქსიანი ვნებითის მოქმედების სახელად:

აბღავლება (ააბღავლებს, აბღავლდება), აზვირთება (ააზვირთებს, აზვირთდება), ამობობლება (ა მ მ ა ბ მ ბ ღ ე ბ ს?, ამობობლდება), ამუშავება (აამუშავებს, ამუშავდება), გათამაშება (გათამაშებს, გათამაშდება), გათანაბრება (გათანაბრებს, გათანაბრდება), გალაყება (გაალაყებს, გალაყდება), გამოძეღვენება (გამოაძეღვენებს, გამოძეღვენდება), გატყავება (გაატყავებს, გატყავდება), დაბერება (დააბერებს, დაბერდება), დაბრძენება (დააბრძენებს, დაბრძენდება), დალაგება (დაალაგებს, დალაგდება), დალაქავება (დაალაქავებს, დალაქავდება), დამაგრება (დაამაგრებს, დამაგრდება), დამაჭრება (დაამაჭრებს, დამაჭრდება), დამდოვრება (დ ა ა მ დ მ დ ვ რ ე ბ ს?, დამდოვრდება), დაძველება (დააძველებს, დაძველდება), დახავსება (დაახავსებს?, დახავსდება), მოგვარება (მოაგვარებს, მოგვარდება), მოგროვება (მოაგროვებს, მოგროვდება), მოღუნება (მოაღუნებს, მოღუნდება), მოშუშება (მოაშუშებს, მოშუშდება), მოხუცება (მ მ ა ხ უ ც ე ბ ს?, მოხუცდება), ჩაგორება (ჩააგორებს, ჩაგორდება), ჩამოშორება (ჩამოაშორებს, ჩამოშორდება), ჩასახლება (ჩასახლებს, ჩასახლდება), ჩაშტერება (ჩააშტერებს, ჩააშტერდება) და მრავალი სხვა.

შედარებით იშვიათად მასდარი დახასიათებულია როგორც საზო-  
არო სახელური ფორმა გარდამავალი ზმნის ნეიტრალური ქცევისა  
და პრეფიქსიანი ვნებითის:

აბერვა (ა ბ ე რ ა ვ ს?, აიბერება), აღევნება (აღევვნებს, აელევნე-  
ბა), ამობურცვა (ამობურცავს, ამოიბურცება), ამღვრევა (აამღვრევს,  
აიმღვრევა), გათიშვა (გათიშავს, გაითიშება), გაღევა (გაღევს, გაიღე-  
ვა), გახეხვა (გახეხავს, გაიხეხება), დარღვევა (დაარღვევს, დაირღვე-  
ვა), დასევა (დაასევს, დაესევა), დაჩნევა (დააჩნევს, დაემჩნევა), თხრა  
(თხრის, თხრება), მოჩვენება (მოაჩვენებს, მოეჩვენება), მოწამვლა  
(მოწამლავს, მოიწამლება), მოხრაკვა (მოხრაკავს, მოიხრაკება),  
მსხვრევა (ამსხვრევს, იმსხვრევა), რყევა (არყევს, ირყევა), ფრქვევა  
(აფრქვევს, იფრქვევა), შემოხვევა (შემოახვევს, შემოეხვევა), ჩაბმა (ჩა-  
აბამს, ჩაებმება), ჩაბუტვა (ჩაბუტავს, ჩაიბუტება), ჩაკეტვა (ჩაკე-  
ტავს, ჩაიკეტება), ჩამალვა (ჩამალავს, ჩაიმალება), ჩამოფარება (ჩამო-  
აფარებს, ჩამოეფარება), ჩამოწევა (ჩამოსწევს, ჩამოიწევა), ჩატევა  
(ჩასტევს, ჩაეტევა), ჩაფარცხვა (ჩაფარცხავს, ჩაიფარცხება) და სხვ.

ზოგჯერ მასდარი კვალიფიცირებულია მხოლოდ ვნებითი გვარის  
ზმნათა მოქმედების სახელად. ეს — მაშინ, როცა შესაბამისი გარდა-  
მავალი ზმნა, როგორც ჩანს, მიჩნეულია არარეალურად:

აბუზვა (აიბუზება), აბურცვა (აიბურცება), აბლოტება (აებლოტე-  
ბა), აღღება (აიღღებება), ამოწვერა (ამოიწვერება), აფხორვა (აი-  
ფხორება), გალუმპვა (გაილუმპება), დაბეღება (დაებეღება), დაკუზვა  
(დაიკუზება), დამთხვევა (დაემთხვევა), მორყევა (მოირყევა), ჩამორ-  
ღვევა (ჩამორღვევა), ჩამოფხენა (ჩამოიფხენება), ჩამოჩაჩვა (ჩამოეჩა-  
ჩება), ჩამოძენძვა (ჩამოიძენძება), ჩაყინვა (ჩაიყინება)...

აბობღება (აბობღდება), აბუტბუტება (აბუტბუტდება), აზლუქუ-  
ნება (აზლუქუნდება), ამოკაშკაშება (ამოკაშკაშდება), ამოჩხჩხება  
(ამოჩხჩხდება), აჩუჩუნება (აჩუჩუნდება), დაკაცება (დაკაცდება), და-  
კოლტება (დაკოლტდება), დამაკება (დამაკდება), დამარხება (დამარ-  
ხდება), დამეჭეჭება (დამეჭეჭდება), დაღვინება (დაღვინდება), დაშაქ-  
რება (დაშაქრება), მოდიღება (მოდიღდება), ჩამოფრენა (ჩამოფრინ-  
დება), ჩამოშვავება (ჩამოშვავდება), ჩაცუტება (ჩაცუტდება)...

გამონაკლისის სახით დასტურდება სხვა ვარიანტებიც:

დავიწევა (დაავიწეებს, დაივიწეებს, დაავიწედება), დანათესავება  
(დანათესავებს, დანათესავდება, დაუნათესავდება), მოღევა (მოღევს,  
მოიღევს, მოიღევა), მოყრა (მოაყრის, მოიყრის, მოყურის, მოყურე-

ბა), მოშორება (მოაშორებს, მოიშორებს, მოშორდება), ჩაბარება (ჩა-  
აბარებს, ჩაიბარებს, ჩაბარდება), ჩამოკონწიალება (ჩამოაკონწიალებს,  
ჩამოეკონწიალება, ჩამოკონწიალდება), ჩამოცურება (ჩამოაცურებს,  
ჩამოცურდება, ჩამოუცურდება)...

ამორეცხვა (ამორეცხავს, ამოირეცხავს), ამოყორვა (ამოყორავს,  
ამოიყორავს), ამოწყობა (ამოწყობს, ამოიწყობს), დავალება (დააჯა-  
ლებს, დაივალბებს), დაკიდება (დაკიდებს, დაიკიდებს), დაქდევნა (და-  
აქდევნებს, დაიქდევნებს), მომწყვედნა (მომამწყვედებს, მოიმწყვედებს), ჩამო-  
ფხატვა (ჩამოფხატავს, ჩამოიფხატავს), წერა (წერს, იწერს)...

აბმა (აბამს, აუბამს), აბნევა (აბნევის, აუბნევის), დამატება (დაა-  
მატებს, დაუმატებს), დანიშვნა (დანიშნავს, დაუნიშნავს)... აშვება  
(აიშვებს, აუშვებს)... მოქერა (მოუქერს, მოიქერს)... დაპირისპირება  
(დაუპირისპირებს, დაუპირისპირდება)... აკვიატება (აკვიატებს, აეკ-  
ვიატება)...

ათვისება (ათვისებს), ამოტყუება (ამოიტყუებს), ამოღლიავეება  
(ამოიღლიავეებს), ამოყვანა (ამოიყვანს), დაკაპიწება (დაიკაპიწებს),  
დაყვივლება (დაიყვივლებს), შეწყნარება (შეიწყნარებს)...

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ისეთი შემხთვევები,  
როდესაც ერთი და იმავე ფუძის ფორმით გან-  
სხვავებული მასდარები სხვადასხვაგვარად არის  
კვალიფიცირებული:

ავსება (ავსებს), შდრ. გავსება (გაავსებს, გაივსება), შევსება (შე-  
ავსებს, შეივსება); აყირავება (აყირავებს), შდრ. დაყირავება (დააყი-  
რავებს, დაყირავდება); გაბერვა (გაბერავს), შდრ. აბერვა (აბერავს,  
აიბერება); გადაჩვევა (გადააჩვევს), შდრ. დაჩვევა (დააჩვევს, დაეჩვე-  
ვა), შეჩვევა (შეაჩვევს, შეიჩვევა); გათხრა (გათხრის), შდრ. თხრა  
(თხრის, ითხრება); დამარხვა (დამარხავს), შდრ. ჩამარხვა (ჩამარხავს,  
ჩაიმარხება); დამტკრევა (დაამტკრევს), შდრ. ჩამტკრევა (ჩაამტკრევს,  
ჩაიმტკრევა); დანგრევა (დანგრევს), შდრ. მონგრევა (მონგრევს, მო-  
ინგრევა), ნგრევა (ანგრევს, ინგრევა), ჩანგრევა (ჩანგრევს, ჩაინგრე-  
ვა); დაჩაგრა (დაჩაგრავს), შდრ. ჩაგრა (ჩაგრავს, ჩაიგრება); თესვა  
(თესავს), შდრ. ჩათესვა (ჩათესავს, ჩაითესება); კეთება (აკეთებს),  
შდრ. გაკეთება (გაკეთებს, გაკეთდება); ნჯღრევა (ანჯღრევს), შდრ.  
დანჯღრევა (დანჯღრევს, დაინჯღრევა); შერყევა (შეარყევს), შდრ.  
მორყევა (მოირყევა), რყევა (არყევს, ირყევა); ჩამსხვრევა (ჩაამ-  
სხვრევს), შდრ. მსხვრევა (ამსხვრევს, იმსხვრევა); ჩაცუკება (ჩაცუკ-

ქდება), შღრ. დაცუცქება (დააცუცქებს, დაცუცქდება); ხერხვა (ხერხავს), შღრ. გახერხვა (გახერხავს, გაიხერხება) და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სრულიად კანონზომიერია, რომ ზემოთ განხილული ყველა სახის ნიშნების დიდად გაზრდა შეიძლება. მაგრამ ზოგადი სურათის (შთაბეჭდილების) შესაქმნელად, ვფიქრობთ, ეს მასალაც საკმარისია.

როგორც ითქვა, განმარტებით ლექსიკონში არსებული ამ სახის დარღვევები (არათანმიმდევრულობა), ჩვენი აზრით, შედეგია მასდარის არამართებული ინტერპრეტაციისა — მისი განმარტებისა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის გამომხატველ კრიტერიუმებზე დამყარებით:

ა). თ ო რ მ ა წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი. „გლ“-ში ასეთ შემთხვევაში მასდარი კვალიფიცირებულია როგორც მოქმედების სახელი გარდამავალი ზმნის ნეიტრალური ქცევისა:

აბოლება (აბოლებს), აბორგება (აბორგებს), აგრილება (ააგრილებს), აქოშინება (ააქოშინებს), გაავაზაკება (გაავაზაკებს), გალესვა (გალესავს), დაბარვა (დაბარავს), დანთება (დანთებს), მოკრეფა (მოკრეფს), მოჰკვიანება (მოაჰკვიანებს), შეკერვა (შეკერავს), ჩამოყრა (ჩამოყრის), ჩაყვითლება (ჩაყვითლებს), ხარშვა (ხარშავს)...

ბ). ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი. ამ თვალსაზრისის გათვალისწინებისას მასდარი განიმარტება როგორც მოქმედების სახელი გარდამავალი ზმნის ქცევის ვარიანტებისა, ზოგჯერ — ვნებითი გვარისაც და სხვა სახითაც:

აბღავლება (აბღავლებს, აბღავლდება), გათამამება (გათამამებს, გათამამდება), დაღაგება (დააღაგებს, დაღაგდება), ჩამოშორება (ჩამოაშორებს, ჩამოშორდება)... ამღვრევა (ამღვრევს, ამღვრევა), დარღვევა (დაარღვევს, დაირღვევა), ჩაბმა (ჩააბამს, ჩაებმება), ჩამოფარება (ჩამოაფარებს, ჩამოეფარება)... აბუზვა (აიბუზება), გალუმპვა (გაილუმპება), დაკუზვა (დაიკუზება), აბობღება (აბობღდება), დამაკება (დამაკება), დაღვინება (დაღვინდება), ჩაცუცქება (ჩაცუცქდება)... დავიწყება (დაავიწყებს, დაივიწყებს, დაავიწყდება), დანათესავება (დანათესავებს, დანათესავედება, დაუნათესავედება), მოღვევა (მოღვევს, მოიღვევს, მოიღვევა), მოყრა (მოაყრის, მოიყრის, მოუყრის, მოუყრება)... მომწყვდევა (მოამწყვდევს, მოიმწყვდევს)... დამატება (დაამატებს, დაუმატებს) და სხვ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ამასთან, როგორც აქ წარმოდგენილი მასალიდანაც ჩანს, გლ-ში მასდარი მნიშვნელობის გამობატვის თვალსაზრისით მეტად არასრულად, მწირად არის წარმოდგენილი, სემანტიკურად „გაღარიბებული“.



ამგვარ „არჩევანს“ წმინდა სუბიექტური ხასიათი აქვს (რაიმე კანონზომიერებას არ ექვემდებარება). მიზეზი, როგორც აღინიშნა, მასდარის წარმოებასთან დაკავშირებული არამართებული თვალსაზრისია. იგი, თავის მხრივ, განპირობებულია ზოგად-თეორიული კონცეფციით — ძირითად ზმნურ კატეგორიათა (ქცევა, გვარი) არასწორი ინტერპრეტაციით, რომელიც პრაქტიკულად რეალიზებულია მასდართა გრამატიკულ კვალიფიკაციებში.

დაბოლოს, არნ. ჩიქობავას სხვა შემთხვევასთან დაკავშირებული გამონათქვამი რომ გამოვიყენოთ, ასეთი აღრეულობა, არათანმიმდევრულობა პრინციპის უვარგისობაშია (მხედველობაში გვაქვს ზმნურ სალექსიკონო ერთეულად პირიან ფორმათა გამოტანის წესი). მაშასადამე, ამგვარ ვითარებას ობიექტური საფუძველი განაპირობებს და მისი თავიდან აცილება აღნიშნული პრინციპის ბირობებში შეუძლებელია.<sup>2</sup>

ჩვენი აზრით, ქცევისა და გვარის ნაწარმოები ფორმები სემანტიკურად არ არის დერივაციული ერთეულები (არ გამოხატავს ძირეულთან შედარებით ახალ ლექსიკურ მნიშვნელობებს, არ ასახავს სხვა საგნობრივ მიმართებებს).

შენიშვნა: ზმნურ სალექსიკონო ერთეულის პრობლემას ქცევისა და გვარის პირიან ფორმათა სასარგებლოდ (ა-კეთებს, ე-კეთებს, უ-კეთებს, კეთებდა, უკეთებდა...) ვერ წვევტს ზოგი სპეციალისტის მცდელობა დააკვალიფიციროს ისინი გარდამავალი საფეხურის — ფლექსიურ — დერივაციული ღონის კატეგორიად.

შდრ. რიცხვის კატეგორია, რომელიც მკვლევართა მიერ (ა. შანიძე და სხვ.) კვალიფიცირებულია ამგვარ ენობრივ მოვლენად,<sup>3</sup> თუმცა არავის მოსვლია აზრად, მაგალითად, სახელთა მრ. რიცხვის ფორმები (მგლ-ებ-ი, წიგნ-ებ-ი და მისთ.) მიეჩნია დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულებად (შდრ. ა-შენებს, ე-შენებს, უ-შენებს,

<sup>2</sup> „ქეგლ“-ში დადასტურებული სხვა დარღვევების (არათანმიმდევრულობის) შესახებ, როგორცაა მაგალითად: ავადმყოფობს გრდა. სტატ., შდრ. დარდობს გრდუვ. დინამ. — დაჭენება გრდუვ. ვნებ. დააკკნობს ზმნისა, შდრ. მოჭენება გრდუვ. ვნებ., ჭენება გრდუვ. დინამ. ...ბეჭითობს (იყენ. იბეჭითა...), შდრ. ზარმაცობს (იყენ. იზარმაცა... და გაზარმაცდა...), ცახცახებს (იყენ. იცახცახა...), შდრ. კანკალეებს (იყენ. იკანკალა... და აკანკალდა...) და სხვ. ვრცლად იხ. ლ. ნოზაძე (2002, გვ. 226-241).

<sup>3</sup> ამ თვალსაზრისით აღნიშნულ საკითხზე გარკვეული მინიშნება მოცემულია ა. შანიძის „ქართული ენის საფუძვლებ“-ში (1973, გვ. 108-110).

შენ-ღებო, უ-შენ-ღებო... „ქველ“-ი.

მასდარი, როგორც აღინიშნა, ფორმობრივად არ განარჩევს მოქმედებითსა და ვნებითს, აგრეთვე — ქცევის ვარიანტებს. მიზეზი გასაგებია — აღნიშნულ კატეგორიათა მაწარმოებელი პრეფიქსული ფორმანტები: ე, ო, უ, აგრეთვე — ა სამიმართებო (პირთა შორის ურთიერთობის აღმნიშვნელი) აფიქსებია. ბუნებრივია, რომ ზმნის უპირო (უუღლებელ) ფორმაში — მასდარში — ისინი არ ჩანდნენ ისევე, როგორც ზოგი სხვა ზმნური კატეგორიის მაწარმოებლები.

მასდარის სახით ხდება კონკრეტულ ფორმათა, ასევე მნიშვნელობების განზოგადება — აბსტრაქტირება. ამიტომ არის მასდარი, როგორც ა. შანიძე თვლის, ზიარი კატეგორია მოქმედებითისა და ვნებითისათვის. ამიტომ განეკუთვნება იგი თანაბრად ორივე გვარის პირიან ფორმებს (შანიძე, 1973, გვ. 559).<sup>1</sup>

ამგვარ მოსაზრებათა გამო მიზანშეწონილი და გამართლებული ჩანს ქართული ენის ლექსიკონებში სალექსიკონო ერთეულად — ზმნური პარადიგმის მეთაურ ფორმად — მიღებული იქნას სახელზმნა — მასდარი, როგორც არის ეს ა. შანიძისა და მისი პრინციპის მიმდევართა შრომებში.<sup>2</sup>

აქვე უნდა დავძინოთ ისიც, რომ აღნიშნულ და ზოგ სხვა ნაკლოვანებათა მიუხედავად (იხ. შანიძე, 1999, გვ. 93-113; ფოგტი, 1970, გვ. 359-364, ნოზაძე, 2002, 226-241...), არ უნდა იყოს სადავო, რომ რვატომიანი „ქველ“-ი“ (მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, 1950-1964) უმნიშვნელოვანესი მონაბოვარია მე-20 საუკუნის ქართული ენათმეცნიერებისა. ჰ. ფოგტის გამონათქვამი რომ მოვიშველიოთ, „ეს არის ძეგლი აღმართული ენისა და მისი ძეგლი, ათასწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად და ხაამაეოა მათთვის, ვინც ჩაიფიქრა ეს სასიქადულო საქმე და ვინც გა-

---

<sup>1</sup> როგორც ითქვა, ქცევის (სასუბიექტო, საობიექტო), ვნებითის ფორმები დერივაციის ელემენტები რომ იყოს, არ იქნებოდა შესაძლებელი ერთსა და იმავე მასდარს გამოება ვნებითი გვარის, სასუბიექტო ქცევათა შინაარსი. ამასთან, აღნიშნულ ფორმებს ეწარმოებოდა საკუთარი მასდარი.

<sup>2</sup> უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ლექსიკოგრაფიაში მიღებული ერთ-ერთი წესის მიხედვით (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი და სხვ.) მასდარის სალექსიკონო სტატიაში იმავე ფუძის გრამატიკულ ფორმათა — გვარის, ქცევის ვარიანტებისა და სხვა ერთეულთა გამოყოფა (მაგ. წერა: ... წერს... აწერს... იწერს... უწერს... იწერება... ეწერება... წერია... აწერია... უწერია...) ერთგვარი, ჩვენი აზრით, გაუმართლებელი (არასაკირო) „კომპრომისია“ გრამატიკასთან მიმართებით.

ნახორციელა იგი“ (პ. ფოტი, 1970, გვ. 364).

ა. შანიძის შეფასებით: „უცვლად დიდი ხაქმე, რაც არნოდდ ჩიქობავას სამეცნიერო მოღვაწეობას ამშვენებს, ეს არის მისი მეთაურობით წამოწყებული რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, რომელიც დიდი შენაძენია ქართული ენათმეცნიერებისა და ქართველი ერისა. აქ თავმოყრილია და ახსნილია უამრავი ლექსიკური მასალა ახალი ქართული ენისა, რაც დიდხანს დარჩება სამაგიდო წიგნად ყოველ განათლებულ ოჯახში“ (აკაკი შანიძე).

ამჟამად ეს ლექსიკონი ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს. თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მისი პუბლიკაციიდან და, შეიძლება ითქვას, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ დღის წესრიგში დადგა მისი ხელახლა გამოცემის საკითხი. მაგრამ ჩვენი (აღნიშნული ლექსიკონის შედგენის ერთ-ერთი მონაწილის) აზრით, ამ ეტაპზე (ახალ, სხვა პრინციპებზე დამყარებული განმარტებითი ლექსიკონის შედგენამდე) პირველი გამოცემა „ქეგლ-ის“ რვატომეულისა უნდა გამეორდეს უცვლელად სოლიდური დამატებითი (ცხადია, იმავე პრინციპებით შედგენილი) ტომის (IX) დართვით.

გაუმართლებელი ჩანს ჩარევა „ქეგლ-ის“ ტექსტში ისევე, როგორც, მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის (1685-1716), დ. ჩუბინაშვილის (1887-1891) და სხვა ლექსიკონების მასალაში. მით უფრო, რომ სპონტანური, არასისტემური ჩარევით (მისაღებიც რომ იყოს ამგვარი „პრაცედურა“) ამ შემთხვევაში არ შეიძლება აღნიშნული ვითარება არსებითად შეიცვალოს.<sup>3</sup>

ზემოთ ნთქვაში რომ შევაჯამოთ: ნაშრომში განხილულია მასდარის წარმოების ზოგ საკითხთან დაკავშირებული ძირითადი თვალსაზრისები; კერძოდ: ა. შანიძისა (1973, გვ. 558-561; 1999, გვ. 93-113) და არნ. ჩიქობავას (1950, გვ. 011, 074-075; 1986, გვ. 6; 1999, გვ. 134...) ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებანი ამ მხრივ.

განალიზებულია ასევე აღნიშნულ მკვლევართა ის ზოგადთეორიული თვალსაზრისები, რომელიც განაპირობებს სხვაობას მათი

<sup>3</sup> ხაზგასამელია ისიც, რომ ზმნური სალექსიკონო ერთეულად პირიან ფორმთა გამოტანის წესი, როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ა. შანიძე (1999, №2, გვ. 106), გარკვეულ დამატებით ხირთულებს ქმნის დიალექტური ლექსიკონების შედგენისას.

შეხედულებებისა მასდარის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით.

დიდძალი საილუსტრაციო მასალის განხილვის საფუძველზე ნაჩვენებია ის არათანმიმდევრულობა (არაერთგვაროვნება), რომელიც დამახასიათებელია „ქეგლ-ში“ წარმოდგენილი მასდარის, ასევე — სხვა გრამატიკულ კვალიფიკაციათა სისტემისათვის (იხ. ნოზაძე, 2002, გვ. 226-241). მიღებულია დასკვნა: ამგვარი ვითარების მიზეზი ზმნის ძირითად კატეგორიათა (ქცევა, გვარი) არამართებულ ინტერპრეტაციაში, რასაც ემყარება „ქეგლ-ში“ ზმნურ სალექსიკონო ერთეულად პირიან ფორმათა (გრამატიკულ ვარიანტთა) გამოტანის სრულიად მიუცებელი პრინციპი.<sup>1</sup>

### ლიტერატურა

**ნოზაძე, 2002** — ლ. ნოზაძე, შენიშვნები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე, საენათმეცნიერო ძიებანი, XIII, თბ., 2002.

**სარჯველაძე, 1995** — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1995.

**უთურგაიძე, 2002** — თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

**ფოგტი, 1970** — ჰ. ფოგტი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ტ. I-VIII, თბ., 1950-1964), იკე, XVII, თბ., 1970.

**ქაჩაია, 1984** — „ხანმეტი ტექსტები“, ნაკვეთი I (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლ. ქაჩაიამ), თბ., 1984.

**შანიძე, 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

**შანიძე, 1999** — ა. შანიძე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (კრიტიკული შენიშვნები), ენათმეცნიერების საკითხები, №2, თბ., 1999.

---

<sup>1</sup> არ არის მისაღები არც ჰ. ფოგტის (1970, გვ. 362) თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ზმნური პარადიგმის მეთაურ ფორმად ქართულში მიჩნეულია საარვისო ქცევის III პ. შხ. რიცხვში (თესავს...). ამ რიგის ფორმები, მასდარისაგან განსხვავებით, არ არის „ზოგადი წარმომადგენელი“ პარადიგმის ხსვა წევრებისა (შდრ. თ ე ს ი ა , ი თ ე ს ა ვ ს . უ თ ე ს ა ვ ს . ი თ ე ს ე ბ ა...).

**ჩიქობავა, 1950** — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I (წინასიტყვაობა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება), თბ., 1950.

**ჩიქობავა, 1964** — არნ. ჩიქობავა, „მთავარი რედაქციისაგან“, ქველ-ი, ტ. VIII, თბ., 1964.

**ჩიქობავა, 1986** — არნ. ჩიქობავა, „მთავარი რედაქციისაგან“, ქველ-ი, ერთტომეული, თბ., 1986.

**ჩიქობავა, 1999** — არნ. ჩიქობავა, პროფ. აკ. შანიძის შენიშვნების გამო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე, „ენათმეცნიერების საკითხები“, №4 (სტატია შეცდომით მიეწერა ქ. ლომთათიძეს), თბ., 1999.

## მცირე კომენტარი „ქეზლ“-თან დაკავშირებული შენიშვნების ბაზო<sup>1</sup>

განმარტებას დავიწყებთ იმის აღნიშვნით, რომ ძნელია დაეთანხმო მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ლექსიკონის რიგითი მომხმარებლისათვის (მასობრივი მკითხველისათვის) თითქოს უფრო მარტივია ა გ ი შ ე ნ ე ბ ი ა, და გ ი გ რ ი ხ ე, გ ი რ ე ც ხ ა ვ ს, მ ი თ ე თ რ ე ბ, გ ი ლ ე რ ე ბ და მისთ., ერთეულთა „გადაყვანა“ — მოძებნა აწმყოს (მყოფადის) III პირის მხ. რიცხვის ფორმებზე: ა ა შ ე ნ ე ბ ს, და ა უ გ რ ე ხ ს, უ რ ე ც ხ ა ვ ს, უ თ ე თ რ ე ბ ს, უ ლ ე რ ე ბ ს და მისთ. ვიდრე — სათანადო, თუნდაც „ხელოვნურ“ მასღარებზე: ა შ ე ნ ე ბ ა, და გ რ ე ხ ა, რ ე ც ხ ვ ა, თ ე თ რ ე ბ ა, ლ ე რ ე ბ ა და სხვ.; მით უმეტეს — ისეთ პირობებში, როცა უცხო ენები, რომელთა ზმნურ სალექსიკონო ერთეულს ინფინიტივი წარმოადგენს (მისი ფარდი ფუნქციურად ქართულში მასღარია), ინტენსიურად შეისწავლება (შდრ. აღ. კობახიძე, 2004, 40).

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან შესაძლებლობისდაგვარად ვრცლად წარმოდგენა „ბერება“, „ბიჯება“, „ბრტყელება“, „ბუღება“, „თხელება“, „ლანღება“, „ლაჯება“, „ლურჯება“, „მაგრება“, „ნელება“, „ფერადება“, „ფერხება“, „ფითრება“, „შორება“, „ჭრელება“ რიგის „ხელოვნური“ მასღარებისა, რომლებიც ქეზლ-ში შეტანილია ზმნურ სალექსიკონო ფორმებად ილუსტრაციების გარეშე. მაგ.:

ბადება, ბარგება, ბარება, ბახება, ბუღება, ბეზრება, ბერება, ბერწება, ბეცება, ბზუება, ბინავება, ბირება, ბიჯება, ბრტყელება, ბრუება, ბუღება, გნება, დროება („დროს მიცემა“), ვარაყება, ზვავება, თავსება, თანგვა, თეთრება, კერძვა („მიკერძობება“, „მიკუთვნება“), კიბვა („საფეხურების კეთება“), კისრება, კმარება, კინინება, კოტიტება („საკერებლით დაკერება“), კუთვნება, კუთხვა („დაკუთხვა“), ლაგმვა, ლანღება, ლაჯება, ლექვა („დალექვა“), ლურჯება, მაგრება, მყლავნება, მწიფება, ნელება, რისხება, რკალვა, ფარღება (იხ. შეფარღება), ფართობება, ფასება (იხ. დაფასება), ფერადება, ფერხება, ფითრება, ფიცხება, ქოთება („აქოთება“), ქუჩება, ღერება, ღიმება, ყვავება, ყირჰე-

<sup>1</sup> პირველად გამოქვეყნდა 2005 წ. „არნ. ჩიქობავას საკითხავები“, XVI, თბ., 2005, გვ. 55-61.

ბა, ყუჩება, შმორება, შორება, შუქება, შუშება, ჩერება, ცალება („ცა-  
ლობის, ტოლობის გაწევა“), ცვა („დაცვა“), ცურება („დაცურება“),  
ძირვა, წვერვა („წვერვის გაღვება“), ჭრება, ჭურვა („იხ. აღჭურ-  
ვა...“), ჭერება, ჭახვა („გაჭახვა“) და მ რ ა ვ ა ლ ი მ ი ს თ.

შდრ. ა მ რ ი გ ის ს ხ ვ ა — „არაბუნებრივი“  
მ ა ს დ ა რ ე ბ ი, რ ო მ ლ ე ბ ი ც „ქ ე გ ლ“ -ში ი ლ უ ს ტ რ ი -  
რ ე ბ უ ლ ი ა ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა ავტორის ნაწარმოებებიდან ამოწერილი  
სათანადო ნიმუშებით (აღსანიშნავია, რომ ამგვარ მასდართა რიცხვი  
ქეგლ-ში შედარებით ნაკლებია), მაგ.:

ბეზღება (ვაჟა, ა. ყაზბ.), ბიძგება (აკაკი), ბიჭგება (დ. კლდ.),  
ბნელება (ხალხ.), ბოდება (დ. გურამ.), ბოღება (ვაჟა), ბღაღვა  
(შ. არაგვ.), გერება („მოგერიება“, შ. არაგვ.), გროვება („მოგროვება“,  
ე. ნინოშვი.), დარება („შედარება“, არჩილი) ვლება („წრის ვლება“, ვა-  
ჟა), თავება („სათავეში ჩადგომა“, მაჩხ.), თავყვანება („თავყვანისცემა“,  
ილია, ი. გოგებ.), თენება (ზღაპ., კ. ბობოხ.), თხელება (თ. რაზიკ.),  
კერება (ე. გაბ.), კვესება (ა. ყაზბ.), კონვა (ბაჩ.), კოწიწება (ა. ჭუმბ.),  
კურნება (ილია, აკაკი), კუწვა (ა. ყაზბ.), ლექვა (დ. გურამ.), მატუ-  
ლობა (ილია), მდურება (რ. გვეტ., ბ. ჩხ.), მტყუნება (დ. კლდ.), მუ-  
დარება (ა. ყაზბ.), მშვიდება (კ. ლომთ.), ნანვა („დანანება“, ილია,  
ი. მაჩაბ.), ნიშნება (ლ. ქიარ, რ. გვეტ.), ოხრება („აოხრება“ ვ. ბარნ.),  
პარება („მიპარება“, ვაჟა), უღერება (გ. ტაბ., გ. ლეონ.), რიდება  
(აკაკი, ი. გრიშ.), რკინება („შერკინება“, კ. გამს., ი. აბაშ.), სვენება  
(ილია), სორსლება (ვაჟა), სუფთავება (ა. ყაზბ.) სუქება (ს. ჭუმბ.),  
სწორება („გასწორება“ ვაჟა, ი. ეკალ., დ. კლდ.), ტანება („მიძალება“  
თ. რაზიკ, ა. ყაზბ.), ტყავება (ვაჟა), ფარება („მოფარება, ფარად  
გამოყენება“, დ. გურამ.), ფეთება (კ. ლორთქ.), ფონება (ვაჟა, ი. და-  
ვით), ფრთხილება (აკაკი), ფუჭება (ი. გოგებ.), ქანება (აკაკი),  
ღელღება (გალაქტიონი), ღონება („დაღონება“ დ. გურამ., ი. ევ-  
ლოშვი.), ყალიბება („კომ.“), ყენება (ვაჟა), ყოვნება (ვ. ბარნ.), ყრუვე-  
ბა (ბაჩ.), ყუღება (ე. ნინოშვი.), შველება (ვ. ბარნ.), ჩოქება (გ. ლე-  
ონ.), ცალება („ცალობის, ტოლობის გაწევა“, ხალხ.), წაფება (ვ.  
ბარნ.), წონება (ვაჟა), ჭირება („წაჭერა“, ვაჟა), ხუნება (გ. ლეონ.),  
ჯავრება („გამოჯავრება“, „გაჯავრება“, აკაკი) და სხვ.<sup>2</sup>

შდრ. აგრეთვე რამდენიმე ნიმუში ე. წ. არაბუნებრივი მასდარე-

<sup>2</sup> ამ რიგის („ხელოვნურ“) მასდართა შედარებით ვრცელი სია ახლავს სტატიას.

ბისა ძველი ქართული მწერლობის ძეგლები-  
დან: ბირება (მრკ. 15, 13; შდრ. ბირებული, ბალავ. 109, 10),  
ბიჯება (I მფ. 5,5), ბრალობა (მრკ. 8, 32; შდრ. აბრალობ,  
მ. სწ., 158, 26), კურნება (ლ. 14,3), მიზდება (ლიმ. 48,  
13, შდრ. ამიზდებს, იმიზდებს), ოხრება (მთ. 24, 15), რკი-  
ნება (მ. ცხ., 42 ც), სწორება (0 სიბრძ. სოლ. 7,8), ფი-  
ცება (მ. სწ., 121, 29), ქანდაკება („გამოქანდაკება“, M II  
წმტ. 2,7), შვილება (ბალავ., 4,5), ცოლება (მთ. 14, 4 ჩ),  
ცრუვება (მ. სწ., 111, 4) წიხნა (საქ. მოც., 9,4), წყი-  
ნება (ლ. 11,8), ჯურვება (მ. ცხ. 84) და სხვ.<sup>1</sup>

როგორც აღინიშნა, აქ წარმოდგენილია არასრული სია იმ „ხე-  
ლოვნური“ („არაბუნებრივი“) მასდარებისა, რომლებიც ქეგლ-  
ში შეტანილია უპირატესად ილუსტრაციე-  
ბის გარეშე (ზოგჯერ — სათანადო ილუსტრაციებით).

განხილულ ფორმათაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის  
მასდარები, რომელთა შესახებაც სპეციალურ ლიტერატურაში საგან-  
გებოდ არის მითითებული მათ ხელოვნურობაზე (მაგ., ბელება, ვლე-  
ბა, თავება, კუთვნება, მაგრება, მატულობა, რკინება, ტანება, ფრთხი-  
ლება, ყუჩება, შორება... აღ. კობახიძე, 2004, 35-40); უფრო მეტიც — მი-  
ჩნეულია არასრულ ფორმებად: „არ ითქმის ბერება (იხ. ქეგლ-ი, I  
— ლ. ნ.), „ს რ უ ლ ე ბ ა“, „დ ა რ ე ბ ა“... „ლ ა მ ა ზ ე ბ ა“, „მ წ ვ ა -  
ნ ე ბ ა, ხ ა ლ ი ს ე ბ ა“, „ს უ ს ტ ე ბ ა“... (არნ. ჩიქობავა, ქეგლ-ი, I,  
1950, 011).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რაკი ენაში ფუნქციონირებს  
ნასახელარი ზმნებისა და ზოგი სხვა სისტემის ზმნათა აწმყოს ფუძი-  
საგან მასდარების წარმოების მოდელი (შდრ. ბოძება, დუღება, დიდე-  
ბა, ვდრება, ზიარება, კადრება, კლება, მართლება, მატება, მზადება,  
სესხება, სწორება, ფეთქება, ფერება, ფურთხება, ქორწინება, შენება,  
ციება, ცხელება, ხარება, ხურვება და მრავალი სხვა, რომელთა „ბუ-  
ნებრიობა“ დავას არ იწვევს),<sup>2</sup> ეს ნიშნავს იმას, რომ „ახლება“,  
„გრძელება“, „დაბლება“, „თბილება“, „ლამაზება“, „მცირება“, „მწვანე-

<sup>1</sup> მასალის ნაწილი ამოღებულია ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის  
ლექსიკონიდან“ (1971).

<sup>2</sup> საკითხია — რამ განაპირობა ამ რიგის მასდართა „ბუნებრიობა“?

იგი საგანგებო შესწავლას მოითხოვს. ამთავითვე, ვარაუდის სახით, შეიძლება  
ითქვას, უპირველეს ყოვლისა — ფუძის სემანტიკამ (მაშასადამე — ხმარების სიხშირემ).



ბა", „ნაზება", „სრულება", „სუსტება", „ღამება", „წითლება" „წყნარება", „ხალისება", „ხერხება" რიგის ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ი „ხ ე ლ ო ვ - ნ უ რ ი" მ ა ს დ ა რ ი მოტენციურად არსებობს და საჭიროების შემთხვევაში ისინი რეალიზდებიან ენაში,<sup>3</sup> „ბუნებრივ" წარმოებად იქცევიან.<sup>4</sup> შემთხვევითია, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დოკუმენტურად დადასტურებული არა გვაქვს (ჩვენს ხელთ არსებული საილუსტრაციო მასალის შეზღუდულობისა და ზოგი სხვა მიზეზის გამო).<sup>5</sup>

მაშასადამე, გარკვეული სისტემის რიგ ზმნათა მასდარების „ხელოვნურობაზე" მითითება არ წარმოადგენს მყარ არგუმენტს ზმნურ სალექსიკონო ერთეულად მასდარის გამოტანის საწინააღმდეგოდ.

ს ა ჭ ი რ ო ა პ ა ს უ ხ ი გ ა ე ც ე ს კ ი თ ხ ვ ა ს — რ ა - ტ ო მ შ ე ა ქ ვ თ ქ ე გ ლ - ი ს შ ე მ დ გ ე ნ ე ლ - რ ე დ ა ქ ტ ო - რ ე ბ ს , თ ა ნ ა ც — ა რ ა ი შ ვ ი ა თ ა დ ა მ გ ვ ა რ ი „ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი" მ ა ს დ ა რ ე ბ ი (ხშირად — ილუსტრაციების გარეშე) სალექსიკონო ფორმებად,<sup>6</sup> რომ არაფერი ვთქვათ სხვა - თარგმნით, განსაკუთრებით ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა ლექსიკონებზე, სადაც ზმნურ სალექსიკონო ერთეულად მასდარის გამოტანა ნორმაა' (გამონაკლისი დაშვებულია ე. წ. დეფექტურ ზმნებთან

---

<sup>3</sup> შდრ. ამ თვალსაზრისით თარგმნითი (ორენოვანი) ლექსიკონები, სადაც უცხო ენათა ინფინიტურ ფორმათა განმარტება ქართულ ტექსტში (სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში) სათანადო მასდარის გამოყენებით ხდება, სულერთია მიიჩნევა იგი „ხელოვნურ" წარმოებად, თუ — არა.

<sup>4</sup> გასათვალისწინებელია ისიც, რომ კვალიფიკაცია — „ხელოვნური", „არაბუნებრივი" — პირობითია, სუბიექტურობის მოშენს დიდი დოზით შეიცავს: მაგალითად, ზოგი სპეციალისტის მიერ რომ ხელოვნურ ფორმებად არის მიჩნეული მასდარები: ბეღება, ბერება, დარება, ვლება, თავება, კუთვნება, მაგრება, რკინება, ფრთხილება, ყურება, შორება და მრავალი მისთანა, სხვა თვალსაზრისის მიხედვით ისინი ამგვარ წარმოებად არ მიიჩნევა, შეტანილია ქველ-ში მნიშვნელოვან წილად ილუსტრაციების გარეშე.

<sup>5</sup> თუკი ფიქსირებულია მასდარები: ბერწება, ბიჭება, ბუღება, თეთრება, თხელება, ლანდება, ლაჭება, ლურჯება, ფრთხილება, ჭრელება და მისთ., მოსალოდნელია დასტურდებოდეს: გრძელება, ერთება, ღამაზება, მწვანება, მარტივება, მალეება, სრულება, სუსტება, სქელება, შავება, ხალისება და სხვ.

<sup>6</sup> ან ნაჩვენები უნდა იქნას, რომ ქველ-ში ამგვარი მასდარები შეტანილი არ არის და რომ სტატიაში წარმოდგენილი მასალა ნაყალბევაა.

<sup>7</sup> ეს გასაგებია — ზმნურ სალექსიკონო ერთეულად პირიანი ფორმების (ქვევისა და გვარის ვარიანტთა და სხვ.) გამოტანის წესი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ ლ ი დ სირთულეებს კმნის ძველი ქართული ენისა და დიალექტური ლექსიკონების შედგენისას,

დაკავშირებით); და — იმასაც, რატომ არ აბრკოლებს ეს მათ ფუნქციონირებას.<sup>1</sup>

ასევე ზოგადი ხასიათისაა, თუმცა ეხება უფრო მნიშვნელოვან საკითხს, დებულება: ქართული ზმნის პირიან ფორმათა სალექსიკონო ერთეულად გამოტანის პრინციპი „მეცნიერულად დასაბუთებულია“ (ალ. კობახიძე, 2004, 39).

აღნიშნული პრინციპის მეცნიერული დასაბუთება კი უპირველეს ყოვლისა მოითხოვს იმის ჩვენებას, რომ ერთსა და იმავე ზმნური ფუძისაგან ნაწარმოებ ერთეულთაგან (მაგ., თეს-აგ: თესავს... ითესავს... უთესავს... ითესება... ეთესება... თესია... მთესავი... სათესავი...) ზმნური ფორმები სხვადასხვა ლექსიკურ მნიშვნელობებს გამოხატავენ; რომ, ერთი მხრივ, თესავს ზმნა და, მეორე მხრივ, ითესავს... ითესება... განსხვავებულ მოქმედებას, სხვადასხვა პროცესს აღნიშნავენ.

ამის დასაბუთება არ მოხერხდება — ამგვარი თვალსაზრისი რეალურ ვითარებას არ ასახავს<sup>2</sup> (შდრ.: მიმღეობური ფორმები: მთესველი „ვინც თესავს“, სათესი „რაც უნდა თესონ“, „სადაც უნდა თესონ“, „რითაც უნდა თესონ“ და მისთ., რომლებიც სხვადასხვა საგანზე (ობიექტზე) მიუთითებენ. ამიტომ მათი კვალიფიკაცია, როგორც წარმოქმნილი — ახალი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ერთეულებისა, დავას არ იწვევს).

ამასვე ადასტურებს მასდართა სემანტიკაც. მასდარი (თესვა, ყრა,

---

თავი რომ დაენებოთ არსებითს — თეორიული თვალსაზრისით ამგვარი პრინციპის უმართებულობას (ა. შანშიძე, ზ. ფოგტი...).

<sup>1</sup> აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ქართული ენის ლექსიკონებში სალექსიკონო ერთეულად მასდარის გამოტანისას ზმნის პირიან ფორმებს, ჩვენი აზრით, „პრაქტიკულად მიჩნეილი აქვს ის ადგილი, რაც ქართულ ზმნას ენაში უკავია“ — მასდარის სიტყვა-სტატიაში გრამატიკული შინაარსის თვალსაზრისით ყველა წარმოქმნილი ფორმის შეძლებისდაგვარად წარმოდგენით სათანადო ილუსტრაციებში ხაზგასმულად.

<sup>2</sup> ქცევის, გვარის, კონტაქტის სხვ. ფორმები (ყერავს... იყერავს... იყერება... აყერინებს...) წარმოქმნილი (დერევაციული) ერთეულებია გრამატიკული (და არა — ლექსიკური) შინაარსის მიხედვით. მათ აერთიანებს ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა (ისინი ერთსა და იმავე მოქმედებას, პროცესს აღნიშნავენ), განასხვავებს გრამატიკული შინაარსი (კუთვნილებითი, სივრცული მიმართების, მოქმედების ხასიათის (ნებისმიერი, თუ „უნებური“) გამოხატვა, ფორმით რეალური სუბიექტის აღნიშვნა — აღუნიშვნელობა და სხვ.), რაც სასიტყვათშორისო (საპართაშორისო) მიმართებათა აფიქსებით (ა., თ., ე.) გამოიხატება გრამატიკის დონეზე.

წერა...) სემანტიკურად რიგ სტატიკურ ზმნათა (თესია, ყრია, წერია და მისთ.)<sup>3</sup> მნიშვნელობებთან ერთად მოიცავს ქცევისა და გვარის ვარიანტთა მნიშვნელობებსაც (არნ. ჩიქობავას აზრით — ვნებითი გვარისა და სასუბიექტო ქცევათა შინაარსსაც).

ეს არ იქნებოდა შესაძლებელი, ქცევისა და გვარის ფორმები ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით სხვადასხვა (წარმოქმნილი) ერთეულები რომ იყოს (შდრ. დერივაციული ზმნური ფორმები: გააგონებს, მოაგონებს, შთააგონებს..., რომელთა მნიშვნელობების გაერთიანება ერთ ლექსიკურ ერთეულად შეუძლებელია).

ამასვე უჭერს მხარს მასდარის ფორმაწარმოებაც. მასდარში არ არის წარმოდგენილი ქცევისა და გვარის ფორმანტები — არა გვაქვს \*ითესვა, \*უთესვა, \*ეთესვა და მისთ. იმიტომ, რომ ისინი არ არიან დერივაციული ელემენტები (შდრ. გონი → უ-გ(ო)ნ-ური → სი-უ-გნ-ური...).

სხვა ენებში არსებული ვითარება, ცხადია, გავლენას ვერ მოახდენს ქართული ენობრი მოვლენის ანალიზისას.<sup>4</sup>

P. S. ცნობილია, რომ გ. თოფურია სვანური ზმნისათვის სალექსიკონო ერთეულად მასდარს მიიჩნევდა (ფრჩხილებში აწმყოს, აორისტისა და მყოფადის მხოლოდითი რიცხვის III პირის ფორმების აღნიშვნით).

პირიანი ფორმის ლექსიკურ ერთეულად გამოტანას იგი მიზანშეწონილად თვლიდა მხოლოდ დეფექტურ ზმნათა პარადიგმისათვის მხ. რიცხვის III პირის ერთმანეთისაგან განსხვავებული აწმყოს, აორისტისა და მყოფადის ფორმათა მასდარზე მითითებით (მ. ქალდანი, 2000, 905).

---

<sup>3</sup> ფორმოზრივად რიგ სხვა შემთხვევაშიაც მასდარებში არ არის სრულად ასახული ზმნური ფუძე; შდრ. აწმენბს — წმენბა, ყრის — ყრა... ასევე: ყრის — ყრა, წერის — წერა რიგის შემთხვევებშიაც (გვაქვს პირიქითაც: ყარის — ყროლა, წვეის — წოლა, ღვას — ღვომა...). თუმცა ეს არ უშლის ხელს წმენბა, ყრა და მისთ. ფორმები მიჩნეული იქნას შესაბამის ზმნათა მასდარად (შდრ. არნ. ჩიქობავა, 1950, 011; ალ. კობახიძე, 2004, 37...).

<sup>4</sup> როგორც აღნიშნული გვქონდა (ნოზაძე, 1. 2004, 95-96), ზმნის პირიან ფორმათა მასდარზე განლაგების პრინციპთან დაკავშირებით გადასაჭრელია რიგი საკითხი.

არსებითაა იმის ხაზგასმა, რომ მათი მოგვარება შესაძლებელია. ისინი საგანგებო დამუშავებას მოითხოვენ (ამის შესახებ — სხვაგან).

როგორც ლექსიკონის (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000) წინასიტყვაობიდან (ი. ჩანტლაძე) ირკვევა, სვანური სალექსიკონო მასალა ამ პრინციპით იყო დალაგებული.

ვ. თოფურიას გარდაცვალების (1966) შემდეგ — 1968 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც აღნიშნული მასალის ზმნური ნაწილი ლექსიკონში უნდა განლაგებულიყო ქართული ენის რვატომეული განმარტებითი ლექსიკონის შედგენის პრინციპების გათვალისწინებით. „ეს კი იმას ნიშნავდა, რომ (შენიშნავს წინასიტყვაობის ავტორი) მასდარზე გაწყობილი ლექსიკონი (მიუხედავად იმისა, რომ ფრჩხილებში იყო მითითებული ყოველი ზმნის აწმყოს, აორისტიისა და მყოფად — სრულის მხ. რიცხვის მესამე პირის ფორმები), ძირეულად უნდა გარდაქმნილიყო... (ი. ჩანტლაძე, 2000, 7).

**ზოგი ცნების (მნიშვნელობის) დაზუსტებისათვის  
„ამბლ“-თან მიმართებით\***

თანამედროვე ქართულ ლექსიკოლოგიაში, როგორც ცნობილია, ზმნური სალექსიკონო ერთეულის პრობლემასთან დაკავშირებით, ძირითადად, ორი საპირისპირო მოსაზრება არსებობს, რაც თავის მხრივ, განპირობებულია განსხვავებული ზოგად-თეორიული თვალსაზრისებით, სახელდობრ:

ა. შანიძის აზრით ქცევის, გვარისა და მისთ. ფორმები წარმოქმნილი ერთეულებია, მაგრამ **გრამატიკული** და **არა ლექსიკური** მნიშვნელობის მიხედვით<sup>1</sup>.

კერავს, აკერიხებს, იკერავს, უკერავს, იკერება, ეკერება... ერთსა და იმავე მოქმედებას გამოხატავს, ერთსა და იმავე მოვლენას ასახავს<sup>2</sup> (ეს არსებითი ფაქტორია მათი კვალიფიკაციისათვის).

აღნიშნულ ფორმათა შორის სხვაობას მორფოლოგიური ელემენტებით — ა. შანიძის მიხედვით — სასიტყვათშორისო მიმართებათა გამომხატველი აფიქსებით (ა-, ი-, ი-/უ-, ი-/ე-...) გადმოცემული **გრამატიკული** შინაარსი ქმნის (მხედველობაშია სუბიექტურ და ობიექტურ პირთა შორის კუთვნილებით ურთიერთობაზე მითითება, მოქმედების გადმოცემა მოქმედი პირის გამოჩენით ან მის გამოუჩენლად, სუბიექტური პირის მოქმედება პირდაპირ ობიექტზე უშუალოდ ან სხვა პირის შუალობით...).

აღსანიშნავია, რომ, უმრავლეს შემთხვევაში ხსენებულ ფორმათა (ვნებითის, ქცევის ვარიანტების, შუალობითი კონტაქტის და მისთ). მნიშვნელობა შეიძლება პირდაპირ (ავტომატურად) გამოყვანილი იქნას ზმნის ძირის მნიშვნელობიდან და მორფოლოგიური მაწარმოებლებიდან.

---

\* პირველად გამოქვეყნდა 2008 წ. (იხ. ა.რ. ჩიქობავას საკითხავები“, XIX, თბ., 2008).

<sup>1</sup> აღნიშნული დებულება ა. შანიძის „ლექსიკოლოგიური კონცეფციის“ ქვაკუთხედია.

<sup>2</sup> შდრ. ამავე ზმნური ძირისაგან (მარტივი ფუძისაგან) წარმოქმნილი ახალი ლექსიკური ერთეულები — **მკერავს** („ვინც კერავს“), **ხაკერავს** („ერთაც კერავენ“ — საკერავი მანქანა...), — **გაკერაილი** („რაც გაკერეს“, მაგ. ქსოვილი) და მისთ., რომლებიც ზმნური ძირით გამოხატულ მოქმედებასთან დაკავშირებულ სხვა ხაგავნზე, სხვა ობიექტზე (აღამიანი, მანქანა, ქსოვილი...) მიუთითებენ.

ა. შანიძის აზრით, ამგვარ — გრამატიკულ ერთეულთა — ქცევის, გვარის, კაუზატივის და მისთ. პირიანი ფორმების მიჩნევა დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულად უმართებულოა (ლექსიკონი — ლექსემათა კრებულია).<sup>1</sup>

იგი, როგორც ცნობილია, ამ ფუნქციით — ზმნური პარადიგმის მეთაურ ფორმად — იყენებს მასდარს, რომლის ბუდეშიც წარმოდგენილია მორფოლოგიური ელემენტებით წარმოქმნილი ყველა შესაძლო (პირიანი) გრამატიკული ფორმა სათანადო ილუსტრაციებით (შდრ. უჩა: ყრის... აყრის... იყრის... უყრის... იყრება... ეყრება... ყრია... აყრია...).

არგუმენტი: მასდარი ზმნის ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი სახელია. იგი ზმნის ყველაზე განყენებულ მნიშვნელობას გადმოგვცემს, ყველა ამგვარ პირიან ფორმათა ზოგადი „სემანტიკური წარმომადგენელია“, მათი ზიარი კატეგორიაა.

ა. შანიძის ზოგად, ჩვენი აზრით, უაღრესად მწყობრ და თანმიმდევრულ კონცეფციას უპირისპირდება არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართული ზმნის რიგი კატეგორია — ქცევის, გვარის, კაუზატივის ფორმები (შლის: იშლის, უშლის, იშლება, ეშლება, აშლევენებს...) განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია. მათი შეტანა ლექსიკონებში დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულად ისევეა გამართლებული, როგორც სახელის ნაწარმოები ფუძეებისა (გულიანი, უგულო, საგულე... ძმური, მოძმე, სამო და მისთ; „გლი“-ი VIII, 1964, 06; 1986, 06).

ჩვენი აზრით, არასწორი ანალოგიაა — გულიანი, უგულო, საგულე... სამარილე, უმარილო, მარილიანი და მისთ. ნაწარმოები ფორმები ძირეულისაგან განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ელემენტებია. ახალ ობიექტს (საგანს) აღნიშნავს (შდრ. სამარილე — „მცირე ჰურჭელი, რაშიც მარილია“; უმარილო — „საკმელო, რასაც მარილი არა

---

<sup>1</sup> ამასთან, აღნიშნული პრინციპის შედეგად უზომოდ (არარაციონალურად) მზრდება ლექსიკონის მოცულობა — 8 ტომი 4 ტომის ნაკლად, როცა, ა. შანიძის აზრით მოცულობა არ არის ლექსიკონის ღირსების მაჩვენებელი (ა. შანიძე, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი“... „ენათმეცნიერების საკითხები“, 2. 1999, გვ. 112, 113).

აქვს ან აკლია“...), მაშასადამე, დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულებს წარმოადგენს, რასაც, როგორც აღინიშნა, ვერ ვიტყვით ქცევის, გვარის და მისთ. ფორმებზე (ირეცხავს, ურეცხავს, ირეცხება...).

ამგვარ ანალიზს მხარს უჭერს ზოგი სხვა ფაქტორიც. კერძოდ:

არნ. ჩიქობავას აზრით, ზმნათა აბსოლუტურ უმეტესობაში მოქმედების სახელები ნაწარმოებია გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევის ფუძისაგან (თესავ-ს → თესვა, მკი-ს → მკა, აშენებ-ს → შენება...).

„ქცევებს (ითესავს, უთესავს... იშენებს, უშენებს...), გნებოთებს (ითესება, ეთესება... შენდება, უშენდება...) საკუთარი ფუძისაგან მოქმედების სახელი არ ეწარმოება: ამგვარ ზმნებს შესაბამისი ნაზმნარი სახელი არ გააჩნია...“

ამისდა მიუხედავად არა იშვიათად (ხაზი — ლ. ნ.) — კონტექსტის შესაბამისად — გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევის მასდარი შეიძლება იყოს გამოყენებული ვნებითი გვარისთვისაც, სასუბიექტო ქცევათა შინაარსის გადმოსაცემადაც“ („გლ“-ი, 1950, I, გვ. 011-012, 075).

წინააღმდეგობრივი დებულებებია — ეს არ იქნებოდა შესაძლებელი ქცევის, გვარის და მისთ. ნაწარმოები ფორმები ახალ, განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებს რომ წარმოადგენდეს (შდრ. სამარილე, მარილიანი, უმარილო; გააგონებს, მოაგონებს, შთააგონებს და მისთ. უდაოდ ლექსიკური ნიშნით წარმოქმნილი ფორმები, რომელთა მნიშვნელობების განზოგადება ერთ სემანტიკურ მონაცემად შეუძლებელია)?

ზმნურ ფორმათა მასდარზე განლაგების ერთ-ერთ საწინააღმდეგო არგუმენტად სახელდება ის, რომ ზმნათა მთელ წყებას, უპირატესად უბრევერბო ნასახლარ ზმნებს თითქოს არ ეწარმოება მოქმედების სახელი. არ ითქმის ბერება (აბერებს ზმნისაგან), სრულება (ასრულებს...), დარება (ადარებს...), ლამაზება (ალამაზებს...), მწვანება (ამწვანებს...), სუსტება (ასუსტებს...), (რეალურია: დაბერება — დააბე-

---

2 მასდარი ფორმობრივად არ განარჩევს მოქმედებითს (ქცევის ვარიანტებს), ვნებითს. არა გვაქვს: \*იკერვა (იკერავს), \*უკერვა (უკერავს), \*ესხმა (ესხმის) და მისთ. აღნიშნულ კატეგორიათა მაწარმოებლები: *ე-, უ-, ე-...* მორფოლოგიური ფუნქციის სადეროვაციო ფორმანტებია. ბუნებრივია, რომ ისინი მასდარში არ ჩანან ისევე, როგორც სხვა ამ ტიპის აფიქსები (შდრ. ლექსიკური დეროვაციის ნიმუშები: შურ-იანი — შურ-იანი-ობა, უ-გუნ-ურ-ი — უ-გუნ-ურ-ება — სი-უგ'უნ-ურ-ე...).

რებს ზმნისაგან, შესრულება — შესრულებს ზმნისაგან...).

მაშასადამე, მასდარის უქონლობის გამო ამგვარი ზმნები ლექსიკონში ვერ მოხვდება („გლ“-ი, 1950, 011, 075).

სადაო არგუმენტია თვით სანიმუშოდ დასახელებულ „აკრძალულ“ (არ ითქმის — ა. ჩ.) მასდართაგან რიგი შეტანილია „ქეგლ“-ში: ბერება, დარება.

ამ ტიპის მასდარები მრავლად არის წარმოდგენილი „ქეგლ“-ში სათანადო ილუსტრაციებით (I) და, რაც მთავარია, ილუსტრაციების გარეშეც (II). მაგალითად:

I. ბოლება, ბრალება, თხელება, ლექსვა, მშვიდება, ოხრება, პარება, რიდება, რკინება, სუქება, ყალიბება, ყრუვება, ყუღება...

II. ბადება, ბედება, ბეზრება, ბიჭება, ბუღება, ზვავება, თეთრება, კისრება, ლანდება, ლაჭება, ნელება, ფითრება, შორება, შტერება...

მასდარის ასეთი ფორმები შეაქვთ ლექსიკონებში (ძვ. ქართული ენის ლექსიკონები მხოლოდ „მასდარულ პრინციპს“ ემყარება)<sup>1</sup> და ეს მათ ფუნქციონირებას არ აბრკოლებს.

მარტივად ასახსნელი ფაქტია — თუ ფორმა ნაწარმოებია ენაში მოქმედი მოდელების შესაბამისად, სპეციალისტისათვის სუბიექტურად როგორადაც არ უნდა აღიქმებოდეს იგი, ენის მატარებლისთვის (მისი შემოქმედისთვის) ბუნებრივია — არახელოვნური (იხ. ზემოთდასახელებული ნიმუშები).

ეს არის ობიექტური კრიტერიუმი ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციისა.

---

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, არც ერთი წესი არ არის უგამონაკლისო (არა აქვს არსებითი მნიშვნელობა მათ რიცხოვნობას).

ბუნებრივია ისიც, რომ მიღებული პრინციპი შემდგომ დახვეწას და დაზუსტებას საჭიროებდეს.

აქვე უნდა დაეძინოთ: რიგ ენაში არსებული წესი ზმნურ სალექსიკონო ერთეულად აწმყოს პირველი პირის მხ. რიცხვის ფორმების გამოტანისა (შდრ. ბერძნული ენის ზოგი ლექსიკონი), ან — აორისტის შესაძენ პირისა (შდრ. არაბული ენის ლექსიკონები), ვფიქრობთ, ვერ მოახდენს გავლენას ამ და ჩვენ ზოგ სხვა სტატიაში წარმოდგენილი ანალიზის შედეგებზე (გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზემოთ ხსენებულ გამონაკლისებს სპეციალისტები აღნიშნულ ენათათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ვითარებით ხსნიან).



მათი ბუნებრიობის (რეალურობის) ხარისხის გარკვეულ ეტაპებზე განპირობებულია ხმარების სინშირით, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია სხვა ფაქტორებზე.

სუბიექტური — ცალკეულ პირთა თვალსაზრისზე დამყარებული კვალიფიკაცია მასდარული ფორმებისა და საერთოდ ენობრივი ერთეულებისა შედეგად იწვევს არათანმიმდევრულობას (არაერთგვაროვნებას), რის არაერთი მაგალითი გვაქვს „ქეგლ“-ში (იხ. ნოზაძე, მასდარის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში და „ქეგლ“-ი, „ენათმეცნიერების საკითხები“, 1, 2004; შენიშვნები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე, „საენათმეცნიერო ძიებანი“, XIII, 2002 და სხვ.).

კვლავ „ქებლ“-თან დაკავშირებული ზოგი  
საკითხის ბაზო

(I. მასდარის ბრამატიკული დახასიათება. II. სიტყვის  
ბადაბანით მნიშვნელობათა კვალიფიციერება)<sup>1</sup>

I. „ქებლ“-ში (ასევე — „ერთომეულ“-ში) მოქმედების სახელი —  
მასდარი ანუ სახელზმნა<sup>2</sup> სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. მ-  
გალითად:

კერვა სახელი კერავს ზმნის მოქმედებისა... გაყინვა სახ.  
გაყინავს ზმნის მოქმედებისა... დაგრძელება სახ. დააგრძე-  
ლებს, დაგრძელებს ზმნათა მოქმედებისა... დანაოქება  
სახ. დანაოქებს, დანაოქდება, დაუნაოქდება  
ზმნათა მოქმედებისა<sup>1</sup>...

<sup>1</sup> თუხისები დაბეჭდილია; იხ. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XVIII, თბ., 2007,  
64-67; აქ წარმოდგენილია შედარებით ვრცელი ვარიანტი.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა აღნიშნულ ტერმინებს სინონიმური მნიშვნელობით ხმარობს:

„ზმნისგან იწარმოება ორგვარი სახელი: 1. ნაზმნარი არსებითი სახელი  
(მასდარი ანუ „სახელზმნა“) და 2. ნაზმნარი ზედსართავი სახელი  
(მიმღობა), „ქებლ“-ი, 1950, 074.

„ქართულში ინფინიტივის] მაგივრობა ეკისრება ნაზმნარ სახელს  
(„სახელზმნა“ ანუ მასდარს), „ქებლ“-ის ერთომეული, 1986, გვ. 2.

„ზმნის“ სალექსიკონო ფორმად მესამე პიროს აღებამ (მასდარის ანუ  
სახელზმნის ნაცლად) საშუალება მოგვცა ლექსიკონში შეგვეტანა  
ქცეებისა და ვნებითის ნაწარმოები ზმნური ფუძეებიც (კერავს — იკერავს —  
უკერავს — იკრება — ეკრება)...

როცა სალექსიკონო ფორმად მასდარი (სახელზმნა)  
შექონდათ, ეს ნაწარმოები ფუძეები ლექსიკონში არ აისახებოდა“ („ქებლ“-ი, VIII,  
1964, გვ. 06).

„...ზმნათა აბსოლუტურ უმეტესობაში მოქმედების სახელები (თესვა, მკა,  
ლწვა, კთება, შენება...) ნაწარმოებია ზმნისაგან: თესავს → თესვა, მკის → მკა...  
აწეებს → შენება... ზმნა (თესავს) საფუძველია, ამოსავალია, ხოლო მოქმედების  
სახელი (თესვა) მისგან იწარმოება, მეორეულია...

... „აბარებს“, „ასრულებს“...-ისაგან არ იწარმოება მოქმედების სახელი...  
სტატიკურ ზმნებს... „თესის“, „ჰკიდის“, „აბის“... მოქმედების სახელი საერთოდ არ  
ეწარმოება“ („ქებლ“-ი, I, 1950, 011).

შდრ. „მასდარი იმ მოქმედების სახელია, რასაც ზმნა  
აღნიშნავს, ანდა — იმ ვითარება-მდგომარეობისა, რაც ზმნაშია აღნიშნული: კთება,  
შენება, კრა... კრვა, ზენა, თესვა... მოქმედების სახელია... კვლობა,  
ტვლობა, სკვლობა... ვითარება-მდგომარეობის სახელებია“ (1950, 075).

<sup>1</sup> ვრცლად იხ. ლ. ნოზაძე, მასდარის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში  
და „ქებლ“-ი, „ენათმეცნიერების საკითხები“, 1. 2004, გვ. 91-106.

მასდარის კვალიფიცირებისას ამჯერად ჩვენს ყურადღებას იქცევს ორი მომენტი:

1. ხ შ ი რ შემთხვევაში მასდარი დახასიათებულია ერთი ან ორი ზმნური ფუძის — მოქმედებითი გვარის საარვისო ქცევისა და ონიანი, ან ერთპირიანი ღონიანი ვნებითის (ზოგჯერ — სხვა პირიან ფორმათა) სემანტიკურ წარმომადგენლად.

შ ე ნ ი შ ვ ა : ეს მაშინ, როდესაც თვითონ არნ. ჩიქობავა თვლის: „მასდარი არ განასხვავებს ქცევებს (სასუბიექტოს, საობიექტოს), არც — გვარებს. ვნებითი მხოლოდ თითოთროლა შემთხვევაშია გარჩეული: მოქმ. ტ ე ხ ა, ვნებ. ტ ყ დ ო მ ა...“

ამისდა მიუხედავად არა იშვიათად — კონტექსტის შესაბამისად — გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ზ მ ნ ის საარვისო ქცევის მასდარი შეიძლება იყოს გამოყენებული ვნებითი გვარის-თვისაც, სასუბიექტო ქცევათა შინაარსის გადმოსაცემად აც“ („ქველ“-ი, I, 1950, 075).

ეს იმას ნიშნავს — „ქველ“-ის რვატომულში (I-VIII, 1950-1964), ასევე — ერთტომულში (1986) მასდარი თ ე ო რ ი უ ლ ა დ — სემანტიკური ნიშნის მიხედვით (ამ შემთხვევაში — გრამატიკული შინაარსის თვალსაზრისით) „გაღარბებულში“ სახით არის წარმოდგენილი. პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ — მასდარისადმი ამგვარი (არაერთგვაროვანი, სუბიექტური) მიდგომის შედეგია არათანმიმდევრულობა ამ სფეროში.

2. „ქველ“-ის რვატომულსა, აგრეთვე — „ერთტომულ“-ში წარმოდგენილ მასდართა განმარტებებში ასევე თვალში საცემია ერთი შეხედვით თითქოს სტილისტიკური გაუმართაობა: **დაბარვა** სახელი და ბ ა რ ა ვ ს ზმნის მოქმედებისა... **გათხელება** სახელი გ ა ა - თ ხ ე ლ ე ბ ს, **გათხელდება** ზმნათა მოქმედებისა... ნაცვლად მოსალოდნელი ფორმულირებისა: მოქმედების სახელი X ზმნისა / ზმნებისა...

იმის გამო ხომ არა — რომ **შესიტყვება** ... სახელი X ზმნისა / ზმნათა მოქმედებისა არ მიიჩნევა ტრანსფორმირებულ (ადგილგადანაცვლებულ) სახედ **გრამატიკული ტერმინისა** — მოქმედების სახელი X ზმნისა/ზმნათა (რომლის სინონიმებადაც არნ. ჩიქობავასთან გამოყენებულია მასდარი, სახელზმნა, იხ. გვ. 1, შნშვ. 2) და აქ მას სხვა სემანტიკური (ფუნქციური) დატვირთვა აქვს.

თუ ეს ასეა, ლექსიკონში (და არა — სპეციალურ გამოკვლევაში) ტერმინის ამგვარი ნიუანსური სხვაობით შემოტანა, ჩვენი აზრით, გაუმართლებელი ჩანს — ართულებს ვითარებას.

ლექსიკოგრაფიული ინტერესები მოითხოვს მასდარს საერთოდ არ ახლდეს გრამატიკული კვალიფიკაცია (ამის ნიმუშს იძლევა „ქეგლ“-ი; შდრ.: დანახვა 1. ნასკვების გაკეთება ბევრგან. 2.. (კუთხ.) ნაყოფის გამოსახვა. ტბორვა რისამე ზედაპირის წყლით დაფარვა, შდრ. ტბორავ-ს ტბორს აყენებს, წყლით ფარავს...), ან მიეწეროს ქცევისა და გვარის ყველა ის შესაძლო ფორმა, რომელსაც მოიცავს მასდარის სემანტიკა და შეტანილია ლექსიკონში („შე-მკრებლობითი“ ფუნქცია მასდარისა!): ავსება მოქმედების სახელი აავსებს, აივსებს, აუვსებს, აივსება, აევსება ზმნებისა... (შდრ. ავსება სახელი აავსებს ზმნის მოქმედებისა, „ქეგლ“-ი, I, 1950...).

ამით, ძირითადად, მოიხსნება არაერთგვაროვნება ლექსიკონის ამ ნაწილში. ამასთან, ეს იქნება ერთგვარი გამომხატულება ა. შანიძის (ასევე — ჰ. ფოგტის) ერთ-ერთ შენიშვნაზე: „...უფრო მძიმეა ის გარემოება, რომ განმარტებით ლექსიკონში ფორმები დალაგებულია ისეთი წესით, რომ ერთმანეთისაგან თიშავს ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობით ერთსა და გრამატიკული ნიშნების მიხედვით განსხვავებულ ფორმებს და სხვადასხვა ადგილას ათავსებს მათ (შანიძე, 1999, II, გვ. 98); შდრ. ჰ. ფოგტი (1970, გვ. 362), აგრეთვე — „ქეგლ“-ის ერთტომეულში (მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, 1986) ჰ. ფოგტის შენიშვნის გათვალისწინებით შემოღებული წესი, რომლის მიხედვითაც მყოფადის (პრევერბიანი) მოქმედებითი გვარის ზმნათა ნეიტრალური ქცევის სალექსიკონო სტატიის ბოლოს მითითებულია ლექსიკონში შეტანილი ამავე ფუძის სხვა ფორმები. მაგალითად,

გაავსებ-ს (აწმ. ავსებს) გრდმ. სავსეს გახდის, — აავსებს. ქვევრებს ღვინით გაავსებს. შდრ. გაავსებინებს, გაივსებს, გაუვსებს, გაივსება, გაევსება, გავსება, გავსებული.

გაათბობ-ს (აწმ. ათბობს) გრდმ. სითბოს შესძენს, თბილს გახდის. წყალს გაათბობს... შდრ. გაათბობინებს, გაითბობს, გაუთბობს, გათბება, გაუთბება, გათბობა, გამთბობი, გამთბობელი, გამთბარი, გასათბობი და ა. შ.

შენიშვნა: აქვე დავძენთ იმასაც, რომ „ქეგლ“-ის ერთტომეულში (მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, 1986), როგორც ცნობილია, ერთი და იმავე ფუძის უპრევერბო (აწმუცო) ფორმები, ჩვეულებრივ, მითითებულია შესაბამის პრევერბიან (მყოფადის) ფორმებზე. მაგ.:

ბარაგ-ს იხ. დაბარავს, იყერაგ-ს იხ. შეიყერავს, უთბობ-ს იხ. გა-  
უთბობს, ითხუებ-ა იხ. დაითესება, ვყინებ-ა იხ. გაყყინება, ცვადება-  
იხ. გაცივდება და ა. შ. (განმარტება და სათანადო ილუსტრაციები  
წარმოდგენილია მყოფადის მწკრივებში)<sup>1</sup>.

ზემოთ განხილული მასალა და ზოგი სხვა უფრო მნიშვნელოვანი  
ფაქტი — „ქველ“-ში ზმნურ სალექსიკონო ერთეულად აწმყოსთან შე-  
დარებით მყოფადის (პრევერბიან) ფორმათა დადასტურება დიდი  
უპირატესობით (მასალის  $\frac{2}{3}$ -მდე, თუ — მეტი არა!) ასახავს რეალურ  
ვითარებას და შეესაბამება არნ. ჩიქობავას განმარტებას: „ზმნის ლექ-  
სიკურ ერთეულად კომისიამ მიიღო აწმყოხ (მყოფადის) შესამე პი-  
რი...“ (ჩიქობავა, 1950, 011)<sup>2</sup>

II. ასევე, ისმის საკითხი — რამდენად მიზანშეწონილია (გამარ-  
თლებულია) საზოგადოდ ლექსიკონებში (განმარტებითი, თარგმნი-  
თი...) პოლისემიურ სიტყვათა წყებაში ცნებათა (resp. მნიშვნელობა-  
თა) განმარტებასთან ერთად მათი განსაზღვრა (ისიც — არასისტემუ-  
რად) კვალიფიკაციით „გ ა დ ა ტ.“ („გადატანით“).

ფეიქრობთ, აღწერითი ხასიათის ნაშრომში — განმარტებით (თარ-  
გმნით...) ლექსიკონში (და არა — ისტორიულ-ეტიმოლოგიურში) თ ე -  
ო რ ი უ ლ ა დ (მეთოდოლოგიურად) უმართებულაა დიაქრონიული  
(ახსნითი) თვალსაზრისის შემოტანა, მით უმეტეს — თუ მას სმონტა-  
ნურად (არასისტემური) ხასიათი აქვს (რასაც ვერ ასცდება ამ ტიპის  
შრომა).

პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ — ეს ქმნის საფუძველს, რბილად რომ

<sup>1</sup> საკითხის თეორიული დასაბუთება იხ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, 1950, გვ. 011, 017;  
ნ ო ზ ა ძ ე, 2006, 185-201.

<sup>2</sup> საკითხის არსს არ ცვლის არნ. ჩიქობავას ხსენებულ ამონარიდში პირველ  
ნომრად „აწმყო“-ს დასახელება.

აქ გათვალისწინებულია ფორმათა პირველადობა-მეორეულობა (ბარაგს → და-  
ბარავს...), რასაც სინქრონიის დღწერის, resp. სტატისტიკის დონეზე მნიშვნელობა  
არა აქვს (მეთოდოლოგიურად — არაზუსტია). ამასთან, შეიძლება იყოს სადავო  
დიაქრონიული, resp. ახსნითი თვალსაზრისითაც (ამის შესახებ ვრცლად — სხვაგან).

ასეთ ვითარებაში სრულიად გაუგებარი, აუხსნელი რჩება „ქველ“-ის ახალი  
რედაქციის წინათქმის (რა მიზანსაც არ უნდა ისახავდეს იგი) სათანადო კონტექსტში  
მ ყ ო ფ ა დ ი ს (პ რ ე ვ ე რ ბ ი ა ნ ი) ფ ო რ მ ე ბ ი ს უ გ უ ლ ვ ე ბ ე ლ -  
ყ ო ფ ი ს მ ი ზ ე ნ ი. შდრ., „...ზმნური სალექსიკონო ერთეულის წარმოდგენის  
ქველისეული პრინციპი (აწმყოს შესამე პირის ფორმა — ხაზგასმა ლ.ნ.) ჭერჭერობით  
ერთადერთი წარმატებული ცდა აღმოჩნდა ისეთი რთული ზმნური სისტემის  
წარმოდგენისათვის, რომელიც ქართული ენისათვის არის ნიშანდობლივი“ („ქველ“-ი,  
ტ. I, 2007, გვ. 13).

არა გვერნია ამ მასშტაბის ფაქტობრივი უზუსტობა შემთხვევითი იყოს.

ვთქვით, არათანმიმდევრულობისათვის ამ სფეროში.

რამდენიმე მაგალითი:

**აინთებ-ა** ... 1. ალი მოედება რასმე... 2. **გ ა დ ა ტ.** ძლიერი გრძნობა შეიპყრობს, ერთბაშად, — აღელდება, აენთება...

**დამუწვდება-ა** ... მუწვი გახდება, მეტყველების უნარი დაეკარგება. || **გ ა დ ა ტ.** ხმას ვერ ამოიღებს, — გაჩუმდება, დადუმდება...

**ბრმა** 1. ვინც (ან რაც) სრულებით ვერ ხედავს, — მხედველობას მოკლებული, უსინათლო. 2. **გ ა დ ა ტ.** ვისაც სინამდვილის სწორად დანახვის, ვითარებაში სწორად გარკვევის უნარი დაკარგული აქვს...

**დამჭდარ-ი** ... 1. ვინც დაჭდა. 2. **გ ა დ ა ტ.** დარბაისელი, დაბრძენებული, დინჯი...

**შღრ.** ნიმუშები, სადაც მოსალოდნელი იყო ზოგ მნიშვნელობას ჰქონოდა კვალიფიკაცია „გადატ.“, მაგრამ „ქეგლ“-ის რვატომეულში (I-VIII, 1950-1964) აღნიშნული კვალიფიკაციის გარეშეა წარმოდგენილი:

**აბედ-ი** 1. ხის ერთგვარი სოკო... 2. [?] დაკორძებული კანი... ("id", 2007, ტ. 1).

**პირ-ი** 1. ნაპრალი ტუჩებს შორის, ბაგეთა კრილი, ტუჩების მოზახულობა. **გვადიმ პირი მომუწა** (ლ. ქიაჩ.). 2. [?] ტუჩებს, ზორხსა და ყბებს შორის არსებული ღრუ. **პირში ნერწყვი მოხდიოდა** (თ. რაზ.). 3. [?] სახე, პირისახე. **ხელები აქვს პირზე მიფარებული** (აკაკი). 4. [?] ცალკე ადამიანი, — პიროვნება, ინდივიდი. **თანამდებობის პირი...** 8. [?] დედნისაგან ზუსტად გადაღებული ტექსტი, — ასლი, კოპიო. **დიპლომის პირი.** 9. [?] ზედაპირი; ზევითა, გარეთა მხარე. **მიწის პირს არც კი ასცდენოდა** (თ. რაზ.). 10. [?] ერთი მხარე (ქსოვილისა, ტყავისა და მისთ.). **ფარჩის კარგი პირი.** 11. [?] ქვეშავებზე, ბალიშზე, საბანზე და მისთ. გარედან გადასაკრავი ქსოვილი ან თეთრეული. **ბალიშის პირი. ლეიბის პირი...**<sup>1</sup>

**ფეხ-ი** 1. ცოცხალი არსების კიდური — სასიარულო ორგანო... 2. [?] ზოგი ნივთის (მაგ., მაგიდის, სკამის, სასმისის და სხვ.) საყრდენი. 3. [?] იგივეა, რაც საფეხური. 4. [?] სასროლი იარაღის (თოფის, დამბაჩის...) გასასროლად თითის გამოსაკრავი რიკი, — სასხლეტი...

**ხელ-ი** 1. ადამიანის ზედა კიდურის ნაწილი მაჯიდან თითების

---

<sup>1</sup> კავებში ჩასმული კითხვის ნიშანი [?], ძირითადად, გამოყენებულია ისეთ შემთხვევებში, როცა არსებული წესით მოსალოდნელი იყო მნიშვნელობათა განმარტებებს დართოდა კვალიფიკაცია „გადატ.“

ბოლომდე, — მტევანი. 2. [?] საერთოდ ადამიანის ზედა კიდური. 3. [?] იგივეა, რაც ს ა ხ ე ლ უ რ ი. 4. [?] ერთად სახმარი ნივთების სრული ნაკრები, — კომპლექტი. ერთი ხელი ლოჯინი. || [?] ჭერობა, პარტია, თალია (თამაშის დროს). 5. [?] წერის, ასოების გამოყვანის თავისებურება. ლამაზი ხელი აქვს. 6. გ ა ღ ა ტ . ვინც რასმე აკეთებს, — მოსაქმე. მზრუნველი ხელი...

ჯადოქარ-ი 1. ვისაც თითქოს ჯადო აქვს, ვისაც თითქოს ჯადოთი შეეკრა შეუძლია, — გრძნეული, ჯადოსანი. 2. [?] რისამე სწორუპოვარი ოსტატი...

სიმწიფე 1. მწიფის თვისება, მწიფედ ყოფნა. 2. [?] ასაკში შესვლა. 3. გ ა ღ ა ტ . სრული განვითარების მიღწევა...

ჰამ-ს 1. საკმელს, საკვებს პირში იღებს და ყლაპავს. || [?] ხარჯავს, ფლანგავს. 2. გ ა ღ ა ტ . მეტისმეტად აწუხებს, ეჩხუბება. 3. [?] წიწკნის, სუსხავს (უხეში ქსოვილი...). 4. [?] შლის, ხრწნის, სპობს (ყანგი, მიწა)...

დაიხურება-ა 1. ვნებ. დახურავს ზმნისა — დახურავენ, — დაიკეტება. 1. მიიხურება, მიიკეტება, დაიხშება (საპირისპ. გაიღება, გაიხსნება). ხარკმელი დაიხურა. || [?] დაიკეტება (წიგნი და მისთ.) (საპირისპ. გაიშლება, გადაიხსნება, გაიხსნება). 2. [?] ოფიც. შეწყვეტს არსებობას, — გაუქმდება (რაიმე ორგანიზაცია, დაწესებულება). || [?] მუშაობას შეწყვეტს, დამთავრდება (კრება, სესია და მისთ.) (საპირისპ. გაიხსნება). || [?] გამოსვლას შეწყვეტს; აიკრძალება (გაზეთი, ჟურნალი)...

ამგვარი დარღვევების ნიმუშები, გასაგები მიზეზის გამო, „ქეგლ“-ში უამრავია<sup>2</sup>.

ამასთან (და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია) კვლფიკაცია — „გადატანითი“ აღნიშნული ტიპის ლექსიკონებს, ჩვენი აზრით, არსებითს არაფერს მატებს; რაკი თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ , ა პ რ ი ო რ ი ი ვ ა რ ა უ დ ე ბ ა , რომ ერთ სალექსიკონო სტატიაში წარმოდგენილი მნიშვნელობები<sup>3</sup> (პოლისემია) დიქრონიულად ერთი — ძირითადი (ამოსავალი) მნიშვნელობის მოდიფიკაციით არის მიღებული სხვადასხვა გზით — მნიშველობათა გადაწევა (გაფართოება-დავიწროება) და სხვ., რაც ზოგა-

<sup>2</sup> ბუნებრივია ისიც, რომ იგი განსაკუთრებით იჩენს თავს მკვეთრად გამოხატულ პოლისემიურ სიტყვათა კვალიფიკაციებში (იხ. „ქეგლ“-ი, I-VIII, 1950-1964).

<sup>3</sup> როგორც ცნობილია, ერთი სალექსიკონო ერთეულის (ფუძის) შიგნით მნიშვნელობები ურთიერთისაგან ფორმობრივად ციფრებით ან პარალელური ხაზებით გამოიყოფა სემანტიკათა სიხლოვე-სიშორის გათვალისწინებით.

დად (შედგების მიხედვით) სიტყვის გადატანით მნიშვნელობად შეიძლება დაკვალიფიციროს<sup>1</sup>.

სხვა შემთხვევაში — როცა სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობები მოცემულ ეტაპზე არ ივარაუდება მიღებულად ერთი რომელიმე მნიშვნელობისაგან, საქმე გვაქვს ომონიმიასთან. ასეთი ფორმები, როგორც ცნობილია, ლექსიკონში ცალკე სალექსიკონო ერთეულებად შედის. შდრ.:

ბარ-ი<sup>1</sup> დაბლობი, ვაკიანი ადგილი, ჩვეულებრივ, დასახლებული და სახნავმიწებიანი...

ბარ-ი<sup>2</sup> 1. მობრტყო, წვერმახვილი რკინის იარაღი, რომელიც სატერფულიან ხის ტანზეა დაგებული...

კვერ-ი<sup>1</sup> ურო. შენი მტერიო, ვისაც მოხვდება მქედლის კვერიო (ანდაზა)...

კვერ-ი<sup>2</sup> 1. პატარა ბრტყელი მრგვალი პური (მჭადი). ობლის კვერი გვიან ცხვებაო (ანდაზა)...

ჭანგ-ი<sup>1</sup> 1. ბრჭყალი, კლანჭი...

ჭანგ-ი<sup>2</sup> სიმეავე, კმახი... და ა. შ.

და მაინც, საკითხი საგანგებო შესწავლას (დაზუსტებას) მოითხოვს<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> კვალიფიკაციის — „გადატანით“ კერძო, ვიწრო მნიშვნელობით გამოყენების პირობებში საჭირო იქნებოდა ზემოთ განხილული სხვა შემთხვევებიც (სიტყვის მნიშვნელობათა გადაწევა: გაფართოება-დავიწროება, მისი ცვლა სხვა მოვლენის ანალოგიით და მისთ.) შესაბამისად დაკვალიფიცირებულიყო, რაც გადაუღახავ სირთულეებს შექმნიდა.

<sup>3</sup> უპირველეს ყოვლისა გასარკვევა — კვალიფიკაციის „გ ა დ ა ტ.“ გამოყენებას ლექსიკონებში (განმარტებითი, თარგმნითი...) ხომ არ ახასიათებს რაიმე კანონზომიერება (რაც ნაკლებ სავარაუდოა).

და თუ — არა, იმ დიდი სირთულეების მიუხედავად, რომელიც აღნიშნული პრობლემის კვლევას ახლავს, ხომ არ შეიძლება მისი დადგენა, რაკი ამის რაღაც ტრადიცია არსებობს და იმის გამოც, რომ, როგორც აღინიშნა, ა რ ა - თ ა ნ მ ი მ დ ე ვ რ უ ლ ო ბ ი ს ძ ი რ თ ი ა დ ი მ ი ზ ე ზ ი ა მ და ს ს ვ ა შე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ა ც სა ზ ო გ ა დ ო დ მ ო ვ ლ ე ნ ი ს შე უ მ ე ე ც ნ ე ბ - ლ ო ბ ა - შე უ ც ნ ო ბ ე ლ ო ბ ა ა — სა კ ი თ ხ ი ს თ ე ო რ ი უ ლ ა დ ა რ ა ს ა კ მ ა რ ი ს ი და მ უ შ ა ვ ე ბ ა (ვრცლად — იხ. ლ. ნ ო ზ ა მ ე , საენათმეცნიერო ძიებანი, XIII, 2002 (თეზისები — 2001); ენათმეცნიერების საკითხები, 1. 2004; არნ. ჩიქობავას საკითხავები, XV, 2004; XVIII, 2007 და სხვ.).



P. S. აქვე გაკვრით შევხებით ზოგ სხვა საკითხსაც.

დეფინიციის — [ფიგურ.], [პოეტ.]... წინ პარალელური ხაზების (II) მოხსნა „ქეგლ“-ის ახალ რედაქციაში (იხ. „წინათქმა“, ტ. I, 2007, გვ. 10), ჩვენი აზრით, არ იყო აუცილებელი.

აღნიშნული კვალიფიკაციები „ქეგლ“-ში (1950-1964) ხშირად „გარდამავალი საფეხურის“ მნიშვნელობათა (ფიგურ. “გადატ.”)<sup>1</sup> ერთგვარი განმარტების ფუნქციას ასრულებს. ამიტომ მათ წინ პარალელური ხაზების გამოყენება გამართლებული ჩანს.

აბულბულდებ-ა გადატ. ... ტკბილად აქიკქიკდება, ალაპარაკდება... (ა. ცაგარ.), „ქეგლ“-ი, 1950, ტ. I; შდრ. აბულბულდებ-ა პოეტ. ... “id”, „ქეგლ“-ი, 2007, ტ. I.

აცეცხლებულ-ი ... 1. ცეცხლწაქიკებული, აგიზგიზებული. 2. გადატ. (?) ვნებიანი, აღზნებული... აცეცხლებული კოცნით... (ვ. ბარნ.). ფიგურ. (?) ...თვალეზი აცეცხლებულნი... (გ. რობაქ.)... „ქეგლ“-ი, 2007, ტ. I და სხვა.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ „ქეგლ“-ის ახალი რედაქციის „წინათქმაში“ (2007) მითითებულ სხვა (ზოგჯერ — ასევე უმნიშვნელო) სიახლეთა შორის რატომღაც არ არის განხილული ისეთი მნიშვნელოვანი შესწორებანი (ზოგადი და არა — კერძოობითი ხასიათისა), როგორცაა ცვლილებები, სახელდობრ:

„დარგობრივი კვალიფიკაციის“ სფეროში — მცენარეთა, ცხოველთა, მწერთა და მისთ. სახელების განმარტებიდან ბოტან., ზოოლ., ენტომ. და სხვა კვალიფიკაციების ამოღება (დასანანი, თუ იგი ეხება ტერმინებსაც, მაგ. პარკოსანნი, შიშველთესლოვანნი, ერთსქესიანი, ეპილეფსია, შდრ. ბნედა და მისთ.)<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> სიტყვის (გამოთქმათა) კვალიფიკირება „ფიგურალურ“ ან „გადატანით“ მნიშვნელობებზე ზედაპირულ დონეზე — არარსებითი განხილვისას — მათი ხმარება-გავრცელებულობის მიხედვით განისაზღვრება.

რაც შეეხება ცნებების (ტერმინების) „ფიგურალური“ — „ხატოვანი“, ასევე „მეტაფორული“ — „გადატანითი“ მიმართებათა საკითხს, იგი ცალკე კვლევის თემაა.

<sup>2</sup> ჩვენთვის არ არის ნათელი (განმარტება სჭირდება) „ქეგლ“-ის ახალ გამოცემაში (2007) რატომ ეძლევა უპირატესობა ზოგად (ნაკლებინფორმაციულ) კვალიფიკაციას — „ხმედ.“ (სპეციალური) უფრო კონკრეტულ („დარგობრივ“) დეფინიციასთან შედარებით:

ანატ. ასტრ., ბიოლ., ბოტან., ზოოლ., ლიტ., მედიც., სამართ.; ფინ., ქიმ. და სხვა (იხ. „გლ“-ი, 1950; ანთება, აპერცეფცია,

მედიაოპტიურ ზმნათა გრამატიკული კვალიფიკაციიდან — გ რ დ უ ვ ს ტ ა ტ. — დეფინიციის „სტატ.“ (სტატიკური) მოხსნა.

აღნიშნული სისტემის ზმნათა II და III სერიის მწკრივებში პ ა - რ ა დ ი გ მ ა თ ა ა ლ რ ე ვ ი ს გასწორება.

ავაზაკობ-ს (იყენ. იავაზაკა, უავაზაკნია ანდა: გაავაზაკდა, გაავაზაკებულა)... „ქეგლ“-ი 1950, ტ. I; შდრ. ავაზაკობ-ს (იყენ. იავაზაკა, უავაზაკია)... „ქეგლ“-ი, 2007.

ბატონობ-ს (იყენ. იბატონა, უბატონია ანდა: გაბატონდა, გაბატონებულა)... „ქეგლ“-ი, 1950; შდრ. ბატონობ-ს (იყენ. იბატონა, უბატონია)... „ქეგლ“-ი, 2007 და ა. შ.<sup>1</sup>

არც ეს ფაქტია შემთხვევითი<sup>2</sup>.

#### ლიტერატურა

ჩიქობავა, 1950 — არნ. ჩიქობავა, „ქეგლ“-ი, I (ქართული ენის ზოგადი დახასიათება), 1950.

ჩიქობავა, 1964 — არნ. ჩიქობავა, „მთავარი რედაქციისაგან“, „ქეგლ“-ი, VIII, 1964.

ჩიქობავა, 1986 — არნ. ჩიქობავა, „მთავარი რედაქციისაგან“, „ქეგლ“-ი, ერთტომეული, 1986.

---

აპენდიქსი, აპენდიციტი, აპოლოგი, ასთენია, ატონია, ბიარონიზმი და სხვ., შდრ. აგლ“-ი, 2007, ტ. I).

თუცა გვხვდება „ბელო“ კვალიფიკაციებიც: ატომიზმი (ფ ი ლ ო ს.), ბალანსი (ფ ი ნ.), ბურბუშელა... 2. (კ ე ლ ი ნ.).... (2007 წ.)...

<sup>1</sup> განხილულ და ზოგ სხვა საკითხთან დაკავშირებული გრცელი ანალიზი იხ. ლ. ნ ო ზ ა ძ ე, ზემოთ დასახელებული, აგრეთვე — სხვა შრომები („იკე“, XIX, 1974, გვ. 25-51, XXXV, 2005, გვ. 215-231; „საენათმეცნიერო ძიებანი“, XXIV, 2006, გვ. 185-201 და სხვ.).

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ არცერთ დებულებას (აზრს), ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, არა აქვს რწმუნების ძალა, თუ მას არ ახლავს არსებითი ფაქტორი — სათანადო დასაბუთება-არგუმენტირება.

<sup>2</sup> „ქეგლ“-ის ერთტომეულში (მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, რედ. მ. კაბაშვილი, 1986) განხორციელებული მთელი რიგი ცვლილებები, განპირობებული, ძირითადად, ფორმატის შეზღუდულობით, ბუნებრივია, რომ არ არის ასახული „ქეგლ“-ის ახალ გამოცემაში (2007).

**ჩიქობავა, 2007** — არნ. ჩიქობავა, „ქველ“-ი (მეორე, შევსებული გამოცემა), 2007, ტ. I.

**ნოზაძე, 2002** — ლ. ნოზაძე, შენიშვნები „ქველ“-ზე (მის ახალ გამოცემასთან დაკავშირებით), საენათმეცნიერო ძიებანი, XIII, 2002.

**ნოზაძე, 2004** — ლ. ნოზაძე, მასდარის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში და „ქველ“-ი, ენათმეცნიერების საკითხები, I, 2004.

**ნოზაძე, 2006** — ლ. ნოზაძე, ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი და მასთან დაკავშირებული პრობლემები, საენათმეცნიერო ძიებანი, XXIV, 2006.

**ნოზაძე, 2007** — ლ. ნოზაძე, კვლავ „ქველ“-თან დაკავშირებული ზოგი საკითხის გამო, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XVIII, 2007.

**შენიშვნები ქართული ენის ზანმარტებით ლექსიკონზე  
(მის ახალ გამოცემასთან დაკავშირებით)\***

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, VIII ტ., 1950-1964) ხელახალი (ახალი რედაქციით) გამოცემა, რომლის პირველი პუბლიკაციდანაც თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, ბუნებრივია, ითვალისწინებდეს გარკვეული სახის ცვლილებებს მეტნაკლებად მის ყველა სფეროში, უპირველეს ყოვლისა — ლექსიკის დარგში; კერძოდ, ახალი სადოკუმენტაციო მასალის გამოყენებით სხვა სალექსიკონო ერთეულებისა და მნიშვნელობათა გამოყოფას, გარკვეული კორექტივების შეტანას არსებულ სიტყვათა განმარტებებში, მათი სტილური ნიშნით (საუბრული, მწიგნობრული, ხელოვნური, დიალექტური, ძველი, მოძველებული და სხვ) დახასიათებაში, იდიომატურ გამოთქმათა კვალიფიკაციისას და სხვა.

ამგვარ ცვლილებათა რიგში გასათვალისწინებელია იმ არათანმიმდევრულობათა მოწესრიგებაც, რომელიც, ჩვენი აზრით, დასტურდება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ზოგ კვალიფიკაციათა გამოყენებისას სიტყვათა განმარტების ტექსტს რომ უძღვის.

ამის ერთ-ერთი ნიმუშია „დარგობრივ კვალიფიკაციათა“<sup>1</sup> (ბოტან. „ბოტანიკა“, ბიოლ. „ბიოლოგია“, ზოოლ. „ზოოლოგია“, ენტომ. „ენტომოლოგია“, მემც. „მემცენარეობა“, მედიც. „მედიცინა“ და სხვა) არაერთგვაროვანი მითითებანი. ისინი ერთსა და იმავე კატეგორიის სიტყვას ზოგჯერ მიწერილი აქვს, ხან — არა თვით ერთსა და იმავე ტომში, ერთისა და იმავე ავტორის მიერ რედაქტირებულ მასალაშიც კი.

მაგალითად, კვალიფიკაცია ბოტან. („ბოტანიკა“) უწერია მცენარეთა: ხემცენარეების, ბუჩქების, ხეხილის, ბალახეულის, ყვავილები-

---

\* წაკითხულია არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-60-ე სამეცნიერო სესიაზე (იხ. მასალები 2001 წლის 18-21 დეკემბერი, გვ. 36, იბეჭდება შემოკლებული ვარიანტი). ტექსტი პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში: „საენათმეცნიერო ძიებანი“, XIII, 2002, გვ. 226-240.

<sup>1</sup> ტერმინს — დარგობრივი კვალიფიკაცია (შდრ. გრამატიკული კვალიფიკაცია) ვიყენებთ პირობითად იმ დახასიათებათა მიმართ, რომლებიც ზოგ შემთხვევაში სიტყვის განმარტებას თავში ერთვის და მიუთითებს მეცნიერების გარკვეულ დარგზე: ასტრ. (ასტრონომია), მათემ. (მათემატიკა), ფილოს. (ფილოსოფია) და სხვა.

სა და მისთ. აღმნიშვნელ მთელ რიგ სიტყვას, როგორცაა: ამპურა, არჯაკელი, ბაბუასაგძალა, ბაბუაწვერა, გვიმრა, გვირილა, გველის-მარწყვი, გლერტა, დანდური, დიდბაია, დუდღუბო, დუმფარა, ეკალ-ლიჭი, ენდრო, ენძელა, ზამბახი, თავშავა, თიკნისყურა, თრიმლი, თუ-თა, კატაბალახა, მატიტელა, მაყვალი, მოცხარი, მუხა, ნაცარქათამა, ნიგვზისძირა, პეკანი, სამყურა, სათოვლია, სალბი, სიმინდი, ტირიფი, უკადრისა, უკვდავა, ფიჭვი, ფურისულა, ფუტკარა, ფშატი, ქაცვი, ქე-რი, ყაყაჩო, ყოჩივარდა, შვრია, შხამა, შროშანი, ჩადუნა, ჩიტოფეხა, ცაცხვი, ცულისპირა, ძაღლნიორა, ძაღლყურძენა, ძახველი, ძეძვი, ძეწ-ნა, წაბლი, წიფელი, წიწიბურა, ჭადარი, ჭალაფშატა, ჭვავი, ჭინჭარი, ჭყანტა, ხარისკულა, ხარისფაშვა, ხარისშუბლა, ხარისჩლიქა, ხარისძი-რა, ხვართქლა, ხოროსანი, ჭიჭლაყა და სხვა.

ამასთან, ამ რიგის სხვა სახელებს კვალიფიკაცია ბოტანი. არ ახლავს. დავასახელებთ ზოგს:

ანწლი, აბზინდა,<sup>2</sup> აბანოზი, ბალი, ბალბა, ბზა, ბრინჯი, ბუერა, ბურბუშელა<sup>2</sup>, დიყი, ვარდი, ვარდკაქაქა, ვერხვი, ზღმარტლი, თავთუ-ხი, თელა, ია, იასამანი, იფანი, მარწყვი, მრავალძარღვა, მურყანი, ნა-ძვი, ნეკერჩხალი, რძიანა, რცხილა, სოკი, სოსანი, სურო, სოინჯი და სხვა.

ნიახურს, ქინძს, ცერეკოს, ომბალოს, პიტნას, ტარხუნას, პირ-შუშნას, ჯონჯოლს, ბოლოკს, წიწმატს, კომბოსტოს, ჭარხალს... უწე-რია ბოტანი. (ან შემცენ.).

კამა, ოხრახუში, რეჰანი, პრასა, მუხუდო, სოია, კიტრი, პომიდო-რი, სტაფილო, ხახვი, ღანძილი... ამ კვალიფიკაციის გარეშეა.

სოკოების სახელწოდებებს: კალმახა სოკო, ღვინო, წიფლიო, ცხვარიო, ხახვი-ლო... არა აქვს სათანადო კვალიფიკაცია: შდრ.: მკადა სოკო ბოტანი., წეროსწვივა ბოტანი. და სხვა.

არაერთგვაროვანი კვალიფიკაციის სხვა მაგალითებია:

ეკალმუხა ბოტანი. იგივეა, რაც აბანოზი. აბანოზი —;

უკვდავა ბოტანი. იგივეა, რაც ნეგო. ნეგო —;

დომელა ბოტანი. (რაჭ.), იგივეა, რაც ბუერა. ბუერა —; და სხვა.

შროშანისებრნი, პარკოსანნი... ბოტანი. შდრ. ბაღბისებრ-ნი, გარდისებრნი — და სხვა.

ბუნებრივია, რომ ამგვარი ვითარება (არაერთგვაროვანი სურათი) დასტურდება სხვა დარგობრივი კვალიფიკაციების შემთხვევაშიაც.

კერძოდ, ქველ-ში ცხოველთა და ფრინველთა, ასევე — თევზებისა და მისთ. სახელწოდებანი ზოგჯერ შეტანილია კვალიფიკაციით ზოოლ. (ზოოლოგია). ასეთებია:

აფთარი, აქლემი, გველხოკრა, დელფინი, ვეშაპი, თხუნელა, კამიჩი, კატა, კიბო, კიბორჩხალა, კუ, კურდღელი, მაჩვი, მახრა, მელა, მორიელი, ტურა, ფოცხვერი, ქურციკი, შველი, ციყვი, წავი, წურბელა, ხვლიკი, ჭიჭი, ჭიხვი... გვრიტი, კაკაბი, კოდალა, მწყერი, ტორთლა, ფარშვანგი, ქორი, ყვაფი, ყორანი, შევარდენი, შოშია, ჩხიკვი, ძერა, ჭილყვაფი, ჭოტი...

მთელი რიგი ანალოგიური სახელწოდებანი ლექსიკონში წარმოდგენილია აღნიშნული — ზოოლ. კვალიფიკაციის გარეშე, ზოგჯერ მაშინაც, როცა მის სინონიმურ ვარიანტს სათანადო მითითება ახლავს. დავასახელებთ ზოგს:

ავაზა, ანკარა<sup>2</sup>, ბაბრი (შდრ. ჭიჭი), ბაყაყი, ბეჰემოთი, ბოსტანა (შდრ. მახრა), გველი (შდრ. ხვლიკი), გომბემო, ვეფხვი, ვირთაგვა, ზღარბი (შდრ. კუ), თავვი (შდრ. კატა), თრითინა, ირემი (შდრ. შველი), მგელი (შდრ. მელა), ნიამორი (შდრ. ქურციკი), ობობა, სიასამური, ღორტავი, ძლოკვი... არწივი, ბაიყუში („იდი ბუ“), ბატი, ბელურა, ბუ, ბუკოტი, ბუჯნაჰოტი (შდრ. ჭოტი), ბულბული, გავაზი, გედი, თუთიყუში, იხვი, კაჰკაჰი, მერცხალი, მიმინო, მწყერჩიტა (შდრ. მწყერი), ნიბლია, ორბი, ოფოფი (შდრ. კოდალა), სირაქლემა, სკვინჩა, შაშვა (შდრ. კაკაბი), წერო, ჭინჭრაქა, ჭიკვაფი, ხოხობი...

კვალიფიკაციით ზოოლ. ლექსიკონში შეტანილია თევზების სახელწოდებანი: კალმახი, ნათელთევზა, ქაფშია, ქაშაყი, წვერა...

კვალიფიკაციის გარეშეა: ზვიგენი, ზუთხი, მურწა, ორაგული, ხამსა...

ენტომ. (ენტომოლოგია) უწერია სიტყვებს: აბრეშუმის ჭია, ტარაკანი (ზოოლ.), ტილი, ფუტკარი, ყურბელა, ჭიამაია, ჭიანჭველა, ჭრიჭინა, ხოკო...

მწერების აღმნიშვნელი ზოგი სხვა სახელი ლექსიკონში წარმოდგენილია აღნიშნული კვალიფიკაციის გარეშე, როგორცაა: ბალდინ-ჯო, ბზიკი, ბუზი, ბუზანკალი, კოლო, რწყილი, ჭინქლა, ციციანთელა, ხარაბუზა...

კვალიფიკაციით მედიც. („მედიცინა“) ქველ-ში შეტანილია სიტყვები: ბნედა, მღერი, წითელა, პნევმონია, ტუბერკულოზი და სხვა.

არა აქვთ სათანადო კვალიფიკაცია სხვა ავადმყოფობათა აღმნიშ-

ვენელ სახელებს: ქეცი, ქუნთრუშა, ყივანახველა, ყვაილი, ჩუტყვაი-  
ლა, ჰირი, ხოკი და სხვა.

ანატ. (ანატომია) უძღვის სიტყვათა განმარტებას: გული, ტვი-  
ნი, ჭირკვალი, კოჭი, მუხლი, ჰიბი... აღნიშნული მითითების გარეშეა  
ამავე კატეგორიის სახვა სახელები: თირკმელი, ღვიძლი, ფილტვი,  
კანჭი, ტერფი, წვივი...

ასეთია ზოგადი სურათი დარგობრივ კვა-  
ლიფიკაციათა გამოყენების სფეროში — დიდი  
სიჭრელე, თვალში საცემი არაერთგვაროვნება.

რამ განაპირობა ასეთი ვითარება? — ერთიანი, ზოგადი პრინცი-  
პის უქონლობამ (აქ არა გვაქვს საქმე იმ მოვლენასთან, როდესაც  
მიღებული პრინციპი ირღვევა ცალკეულ, ერთეულ შემთხვევაში).

არ უნდა იყოს სადავო, რომ თუკი დარგობრივი კვალიფიკაციები  
„გლ“-ში გამოყენებული უნდა იქნას (შეიძლება პირიქითაც; შდრ.  
„ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, მთ. რედაქტორი ი. აბაშიძე, I-  
IX, 1975-1987), იგი, როგორც წესი, უნდა მიეწეროს ერთნაირი კატე-  
გორიის ყველა სიტყვას. მაგრამ დასადგენია — რა კატეგორიის  
სიტყვებს?

ამისათვის საჭიროა გაირკვეს — რა ფუნქციას ასრულებს, რა  
დანიშნულება აქვს დარგობრივ კვალიფიკაციებს საზოგადოდ განმარ-  
ტებით ლექსიკონში.

დარგობრივი კვალიფიკაციები, ჩვენი აზრით, არ უნდა ახლდეს  
რიგით სიტყვებს, რომლებიც ჩვეულებრივ გამოხატავენ გარკვეულ სა-  
გნობრივ მიმართებებს, აღნიშნავენ მხოლოდ ამა თუ იმ საგანს, ობი-  
ექტს, რომელთაც, ცხადია, მეცნიერების ესა თუ ის დარგი შეისწა-  
ვლის. ისინი არ არიან მოწოდებული იმისათვის, რომ მათი საშუალე-  
ბით მოხდეს სიტყვათა კლასიფიკაცია იმის მიხედვით, მათ მიერ აღ-  
ნიშნულ საგანს მეცნიერების რომელი დარგი შეისწავლის; მაგალი-  
თად: დიუს, გვიმრას, ძეწნას, ცაცხვს, წიფელს და მისთ. — ბოტა-  
ნიკა; დათეს, მაჩვს, მელას, ჭორს, ციყვს, ძერას და მისთ. — ზოო-  
ლოგია; ბნელას, ქუნთრუშას, ყივანახველას, წითელას და სხვ. —  
მედიცინა; აქატს, ზურმუხტს, მარგალიტს, ჭარვას და მისთ. —  
მინერალოგია და სხვა.<sup>1</sup> ეს არ წარმოადგენს განმარტებითი

<sup>1</sup> ქეგლ-ში ზოგ ამგვარ სიტყვასთან — მცენარეების, ფრინველების, ცხოველთა  
მისთ. აღმნიშვნელ სახელებთან, როგორც ცნობილია, შეძლებისდაგვარად მითითებუ-

ლექსიკონის ამოცანას. ამ მიზანს არ ისახავს ენციკლოპედიური ლექსიკონებიც კი (შდრ. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, მთ. რედ. ი. აბაშიძე, ტ. I-XI, 1975; "Большая советская энциклопедия", глава. ред. А. М. Прохоров, т. I-XXX, 1969-1978, Москва).

და კიდევ, თუ ამ პრინციპს გავატარებდით, სათანადო დარგობრივი კვალიფიკაციები უნდა მიეწეროს სრული მნიშვნელობის მქონე სახელთა დიდ ნაწილს (ცნობილს და არაცნობილს), როგორცაა: მთვარე, მზე, ვარსკვლავი... ქვიშა, თიხა, კირი... თაგვი, თხა, ძაღლი... თვალი, ცხვირი, ხერხემალი და მრავალი სხვა, რაც ჩვენი აზრით არ იქნებოდა მართებული.<sup>1</sup>

დარგობრივი კვალიფიკაციები, ვფიქრობთ, ასევე არ შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, თვით სახელწოდებანი — მცენარეთა, ცხოველთა, ფრინველთა, ავადმყოფობათა და მისთ. აღმნიშვნელი სიტყვები მეცნიერების რომელ სფეროს განეკუთვნება. ამგვარი სახელები: დანდური, მოცხარი, ქაცვი, ცაცხვი, წიფელი, ჰინჭარი... თხუნელა, მაჩვი, მელა, ყვავი, ციყვი, ძერა, წურბელა, ჰიანჭველა... ბზიკი, ფუტკარი, რწყილი, ჰრიკინა, ხოჭო... ბნედა, წითელა, ხველა... მეცნიერების ამა თუ იმ დარგის წარმომობამდე დიდი ხნით ადრე არის დამკვიდრებული ენაში.

შენიშვნა: ის ფაქტი რომ მთელ რიგ ფართო გავრცელების, ხშირად ხმარებულ — „ცნობილ“ სიტყვას „გლ“-ში ახლავს სათანადო დარგზე მითითება (მაგალითად: ბოტანიკა, ბაბუაწვერა, გვიძრა, გვირილა, ენდრო, ენძელა, ზამბახი, შროშანი, ყაყაო, ყოჩივარდა, ჰინჭარი, მაყვალი, მუხა, ფიჭვი, ცაცხვი, წაბლი, ჰადარი... ზოოლოგი, აფთარი, კატა, კუ, კურდღელი, მელა, მორიელი, ტურა, შველი, ციყვი, წურბელა, ხელიკი, ჰიხვი... კოდალა, მწყერი, ფარშავანგი, ჰორი, ყვავი, ჰორტი... ენტომოტარაკანი, ფუტკარი, ჰიამაია, ჰიანჭველა... და მრავალი სხვა)<sup>1</sup> და პირიქით, შედარე-

---

ლია მათი ლათინური სახელწოდებანი

<sup>2</sup> აღსანიშნავია, ისიც, რომ ასეთ შემთხვევაში ზოგ სიტყვასთან საჭირო გახდებოდა ორ (ან მეტ) დარგზე მითითება, რომლებიც ერთსა და იმავე ობიექტს სხვადასხვა თვალსაზრისით შეისწავლის, მაგალითად: ტვინი ანატ. ფიზიოლ. მედიც., ასევე — გული და სხვა.

<sup>1</sup> ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ კატეგორიის მრავალ სიტყვას დარგობრივი კვალიფიკაცია არ უწერია. შდრ. ბალბა, დიუი, ვარდი, მარწყვი, ნაჭვი, ვერხვი, იასამანი, ბაყაყი, ზღარბი, ირემი, ბულბული, მერცხალი, შაში... რწყილი, ჰინჭლა და მრავალი სხვა.



ბით ნაკლებად ცნობილ ლექსიკურ ერთეულს იგი არ უწერია (მაგალითად, ანწლი, აბზინდა<sup>2</sup>, აბანოზი, ბურბუშელა<sup>2</sup>, ვარდკაქვიჰა, იფანი, მურყანი, ნეგო, სოკო... ბაბრი, ბოსტანა, ნიამორი, ლორტავი... ბაბაყული, ბაიყუმი („დიდი ბუ“), ბუკოტი, ბუცნაქოტი, სკინჩა, ჰვიჰავი... ბზიკი, ბუზანკალი და სხვა) ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ დარგობრივი კვალიფიკაციების გამოყენება განმარტებით ლექსიკონში არ ემყარება რაიმე გარკვეულ პრინციპს — იგი არ ასახავს არც „ფუნქციური სტილის“ თვალსაზრისს.

დარგობრივ მითითებათა ხმარება სიტყვასთან მისი „აორცნობილობის“ ნიშნის მიხედვით ლექსიკონში არსებულ ერთარებას ვერ შეცვლიდა ამ პრინციპის უკიდურესად სუბიექტური ხასიათის გამო. უარესი — კვლავ დარჩებოდა სიჭრელე, ირადრთვაროვნება ამჯერად გარკვეული პრინციპის აღიარების პირობებში.

და კიდევ ამ პრინციპის თანმიმდევრული გატარება ლექსიკონში შესაძლებელიც რომ ყოფილიყო — დარგობრივი კვალიფიკაციები რომ ჰქონოდა მხოლოდ შედარებით უცნობ (ნაკლებად გავრცელებულ) სიტყვას, პრობლემა მაინც რჩება — რას ისახავს მიზნად სალექსიკონო ერთეულთან მეცნიერების ამა თუ იმ დარგზე მითითება?

ჩვენი აზრით, დარგობრივი კვალიფიკაციები: ასტრონ., არქიტ., ბოტან., ზოოლ., მათემ., მედიც., მინერ., მუსიკ., ფარმაკ., ფინანს. და მისთ., თუკი ისინი საერთოდ უნდა იყოს გამოყენებული<sup>2</sup> შესაბამისად უნდა მიეწეროს ტერმინებს, ენაში მეცნიერების ამა თუ იმ დარგიდან მწიგნობრული გზით შემოსულ (დამკვიდრებულ) სიტყვებს იმის მისანიშნებლად მეცნიერების რომელ სფეროს განეკუთვნებიან ისინი. ასე მაგალითად, ამ პრინციპით განმარტება ბოტან. („ბოტანიკა“) უნდა მიეწეროს სიტყვა-ტერმინებს: ბალბისებრნი, ვარდისებრნი, პარკოსანნი, ქოლგოსანნი, შიშველთესლოვანი, შროშანისებრნი, ჯვაროსანნი, თანაფოთოლი, ყვავილენი, ყვავილსაფარი, ყვავილსაჯდომი... ზოოლ. ობობასნაირნი, ძუძუმწოვარნი, ხერხემლიანები... ანატ. პლევრა, პლაცენტა, პერიკარდიუმი... მედიც. ამნეზია, აფაზია, დიაგნოზი, დიზენტერია, ექსულაცია, კატარაქტა, პნევმონია, ტრეპანაცია, ჰეპატიტი... მათემ. აზარისხება, დიაგონალი, პარალელოგრამი, რომბი... ასტრ. თანავარსკვლავედი... არქიტ. ბაზილიკა, როტონდა... მუსიკ. აკორდი, არიოზო, სოპრანო, სონატა, პოლიფო-

---

<sup>2</sup> ვფიქრობთ, ამგვარი კვალიფიკაციების გამოყენება მიზანშეწონილია, იგი ხელს უწყობს სიტყვის განმარტებას. როგორც ცნობილია, ამ რიგის სხვა კვალიფიკაციები — მწიგნ., ხელოვნ., საუბ. და მისთ. გამოყენებულია ქველ-ში.

ნია... ფინანს. ბალანსი, აკრედიტებული და მრავალი სხვა.<sup>1</sup>

ამ თვალსაზრისის მიხედვით რიგით — არასპეციფიკური, არატერმინოლოგიური ხასიათის სიტყვებთან დარგობრივი კვალიფიკაციის მიწერა გაუმართლებელია, ისეთებთან: როგორცაა: ბალბა, ვარდი, გვირილა, მაყვალი, მოცხარი, სამყურა, ყოჩივარდა... თხუნელა, კატა, კუ, მაჩვი, მწყერი, ქორი, ქურციკი, ყვავი, შველი, ჩხიკვი და მისთ.<sup>1</sup> სხვაგვარად ერთგვაროვნება (თუნდაც შედარებითი) დარგობრივი კვალიფიკაციის სფეროში, ჩვენი აზრით, ვერ მიიღწევა.

აღსანიშნავია, რომ დარგობრივ კვალიფიკაციათა სიმწირით „გლ“-ის ტომებს შორის გამოირჩევა I ტომი (რედ. არნ. ჩიქობავა), ასევე — ტ. VI (ო, პ, ყ, რ. ს ასოებზე განლაგებული მასალა, რედ. თ. შარაძენიძე).<sup>2</sup>

ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი პრინციპი, სუსტად გამოხატული, თითქოს შეინიშნება I ტომის მასალაში, მაგრამ ბოლომდე განხორციელებული, თანმიმდევრულად გატარებული არც აქ არის.

არნ. ჩიქობავა მცენარეთა, ცხოველთა, ავადმყოფობათა და მისთ. რიგით სახელწოდებებს უპირატესად არ უწერს შესაბამის კვალიფიკაციას: ბოტან., ზოოლ., მედიც. და სხვა. ასეთებია: აბზინდა, აბანოზი (შდრ. ეკალმუხა), აბრეშუმა, ავშანი, აკაცია, ალვა, ანისული, ანწლი, ასისთავა, ასკილი, ბაია, ბალბა, ბამბიქულა, ბამბუკი, ბუერა, ბურბუმელა... ავაზა, ანკარა<sup>1</sup>, არწივი (შდრ. ძერა), ბაბრი (შდრ. ჭიქი), ბაიყუში („დიდი ბუ“), ბაყაყი, ბოსტანა (შდრ. მანრა), ბუ, ბუკიოტი, ბუენაქოტი (შდრ. ქოტი)... ბზიკი (შდრ. ფუტკარი), ბუზი, ბუზანკალი და სხვა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ქველ-ში ამგვარ სიტყვებს — ტერმინებს უპირატესად უწერია შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაცია. ხშირია გამოწკნისებრიც (შდრ. ბაბისებრნი, ვარდისებრნი...).

<sup>2</sup> საყურადღებოა, რომ რუსული ენის განმარტებით ლექსიკონის ჩვიდმეტრუმეულში, ზოგადი შთაბეჭდილებით, ეს პრინციპი ჩანს გატარებული. ამ რიგის სიტყვებს სათანადო კვალიფიკაციები, როგორც წესი, არ უწერია. რამდენიმე მაგალითი: *акация, береза, дуб, ель, роза, ива, каштан, липа, липа, лох, мимоза, облепиха, осина, сосна... волк, еж, заяц, лиса, сокол... блоха, вошь... შდრ. ансвризма мед., ансмия мед... антрацит и пер.* და სხვა.

ეს დამატებითი (არაპირდაპირი) არგუმენტაცია ჩვენი ზემოთწარმოდგენილი თვალსაზრისისათვის, რომელიც ჩამოყალიბებულია პირველ ყოვლისა აქ განხილული მოვლენის ანალიზის შედეგად.

<sup>1</sup> ამ თვალსაზრისით სრულიად საპირისპირო ვითარებაა გლ-ის VIII ტომში

თუმცა I ტომის მასალაშიც არის აღნიშნული წესისაგან გამონაკლისები. ამ კატეგორიის ზოგ სიტყვას უწერია შესაბამისი კვალიფიკაცია. მაგალითად: ბოტან.: ამპურა, არჯაყელი, ბაბუსაგაძლა, ბაბუაწვერა... ზოოლ.: ასფურცელა, აფთარი, აქლემი... ენტომ.: აბრეშუმის-ჭია... მედიც.: ბნედა და სხვა.<sup>2</sup>

და მინც, ზოგადი შთაბეჭდილებაა — ქველ-ის I ტომის მასალა (რედ. არნ. ჩიქობავა) დარგობრივი კვალიფიკაციების გამოყენების თვალსაზრისით ახლოს დგას ჩვენ მიერ სარეკომენდაციოდ წარმოდგენილ სისტემასთან.<sup>3</sup>

არაერთგვაროვანი ვითარება დასტრუდება გრამატიკული კვალიფიკაციების სფეროშიც. განსაკუთრებით მკვეთრად არის იგი გამოხატული მედიოაქტიურ ზმნათა გრამატიკულ დახასიათებებში. შევხებით ზოგ მათგანს.

როგორც ცნობილია, არნ. ჩიქობავა ზოგ სტატიკურ (მედიოაქტიურ) ზმნათა II და III სერიის მწკრივებში ნასესხებ ერთეულად იმავე ფუძის **ე-** პრეფიქსიანი „გარდამავალი“ ზმნების პარალელურად მიუთითებს -**დ** სუფიქსიანი ვნებითის ფორმებსაც განურჩევლად იმისა გამოხატავს იგი გარდაქცევითობას, თუ ინხოატივს.<sup>1</sup> განმარტებით ლექსიკონში ასეთ შემთხვევაში მედიოაქტიურ ზმნათა აწმყოს წრის ფორმებს აორისტის სერიაში იმავე ფუძის წყვილული ფორმები შეესაბამება.

---

(ტომის რედაქტორები — ივ. გიგინეიშვილი, ბიძ. ფოხუა, 1964). იგი მკვეთრად გამოირჩევა სხვა ტომებისაგან დარგობრივი კვალიფიკაციების სიჭარბით.

<sup>2</sup> აქ გასათვალისწინებელია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სიტყვა (სალექსიკონო ერთეული) ტერმინია და მას „გლ“-ის I ტომში სათანადო კვალიფიკაცია არ უწერია. მაგალითად, ბალბისებრნი, აკომოდაცია, აკომპანემენტი და სხვა.

<sup>3</sup> იგივე შეიძლება ითქვას გლ-ის VI ტომის პირველი ნაწილის შესახებაც.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა შენიშნავს: „სტატიკურ ერთპირიანს — **ევაფის, დუმს, წუხს, ჩივის, ცხოვრობს** საკუთარი ფუძისაგან ეწარმოება მხოლოდ აწმყო, ნამყო უსრული და კავშირებითი პირველი. ნამყოძირითადად ნასესხები ნაკვები გვაქვს. ეს ნასესხები ნაკვეთები დინამიკური ზმნებისაა; სახელობარ: ესაა ან -**დ**-იანი ვნებითი (აყავადა, დალუმდა — აყავადება, დალუმდება ზმნებისა). ან **ე-** თავსართიანი წარმოება გარდამავალი ზმნებისა (იცხოვრა, იჩივლა — იცხოვრებს, იჩივლებს), ანდა პარალელური წარმოება -**დ**-იანი ვნებითისა და **ე-**იანი გარდამავალი ზმნისა (შეწუხდა და იწუხა), „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“, ქველ. ტ. I, 1950, გვ. 073.

მაგალითები ქეგლ-ის I ტომიდან:

ავაზაკობ-ს (იყენ. ავაზაკა, უავაზაკნია ანდა გაავაზაკდა, გაავაზაკებულა).

ავობ-ს (იყენ. იავა, უავნია ანდა გაავდა, გაავებულა).

ამპარტავნობ-ს (იყენ. იამპარტავნა, უამპარტავნია ანდა გაამპარტავნდა, გაამპარტავნებულა...).

ბაიყუშობ-ს (იყენ. იბაიყუშა... ანდა გაბაიყუშდა...).

ბანდიტობ-ს (იყენ. იბანდიტა... ანდა გაბანდიტდა...).

ბატონობ-ს (იყენ. იბატონა... ანდა გაბატონდა...).

ბზრიალებ-ს (იყენ. იბზრიალა... ანდა აბზრიალდა...).

ბურტყუნებ-ს (იყენ. იბურტყუნა... ანდა აბურტყუნდა...).

ბოროტობ-ს (იყენ. იბოროტა... ანდა გაბოროტდა...).

ბლუი-ს (იყენ. იბლუვლა... ანდა აბლუვლდა...) და სხვა.

ნიმუშები სხვა ტომებიდან:

ზარმაცობ-ს (იყენ. იზარმაცა... და გაზარმაცდა...).

თავხედობ-ს (იყენ. ითავხედა... და გათავხედდა...).

კანკალებ-ს (იყენ. იკანკალა... და აკანკალდა...)

ჩქარობ-ს (იყენ. ჩქარა... და აჩქარდა...).

ძაგძაგებ-ს (იყენ. იძაგძაგა... და აძაგძაგდა...) და სხვა.

მაგრამ წესი მელიოაქტიურ ზმნათა II სერიის მწკრივებში იმავე ფუძის **ი-** პრეფიქსიანი გარდამავალი ზმნებისა და ღონიანი ვნებითის ფორმათა პარალელურად წარმოდგენისა არ არის თანმიმდევრულად გატარებული განმარტებით ლექსიკონში, თვით I ტომის მასალაშიც კი (ტომის რედაქტორი არნ. ჩიქობავა). ამგვარ ზმნებთან აორისტის წყებაში მონაცვლე ერთეულებად უპირატესად მხოლოდ იმავე ფუძის **ი-** პრეფიქსიანი „გარდამავალი“ ფორმებია მითითებული. რამდენიმე ნიმუში:

ბეჭითობ-ს (იყენ. იბეჭითა, უბეჭითნია). შდრ. **ზარმაცობ-ს** (იყენ. იზარმაცა... და გაზარმაცდა...).

ბუტბუტებ-ს (იყენ. იბუტბუტა, უბუტბუტნია), შდრ. **ბურტყუნებ-ს** (იყენ. იბურტყუნა... ანდა აბურტყუნდა...).

ბღავი-ს (იყენ. იბღავლა, უბღავლნია); შდრ. **ბლუი-ს** (იყენ. იბლუვლა... ანდა აბლუვლდა...).

ტრიალებ-ს (იყენ. იტრიალა, უტრიალნია), შდრ. **ბზრიალებ-ს** (იყენ. იბზრიალა... და აბზრიალდა...).

ყაჩაღობ-ს (იყენ. იყაჩაღა, უყაჩაღნია), შდრ. **ბანდიტობ-ს**

(იყენ. იბანდიტა... და გაბანდიტა...).

ყოჩალობ-ს (იყენ. იყოჩაღა, უყოჩაღნია), შღრ. ზარმაცობ-ს (იყენ. იზარმაცა... და გაზარმაცდა...).

ცახცახებ-ს (იყენ. იცახცახა, უცახცახნია), შღრ. კანკალებ-ს (იყენ. იკანკალა... და აკანკალდა...).

ძიგძიგებ-ს (იყენ. იძიგძიგა, უძიგძიგია), იგივეა, რაც ძაგძაგებ-ს; შღრ. ძაგძაგებ-ს (იყენ. იძაგძაგა... და აძაგძაგდა...).

ლექსიკონში ამ მოდელით (მეფობს — იყენ. იმეფა, უმეფია) არის წარმოდგენილი ზმნები:

ავადმყოფობს, ანჩხლობს, ბზუის, ბიბინებს, ბრდღვინავს, ბუტბუტებს, ეშმაკობს, თახთახებს, კაპასობს, კვნესის, კისკისებს, მღერის, რახრახებს, ტირის, უფროსობს, ღრიალებს, შიშინებს, შრიალებს, ჩურჩულებს, ციმციმებს, წივის, წრიალებს, წუწუნებს, წუხს, ქიკჭიკებს, კრიალებს, ხმაურობს და მრავალი სხვა.

ამგვარი ვითარება — არაერთგვაროვნება მედიოაქტიურ ზმნათა უღვლილების სისტემაში მოსალოდნელი იყო. იგი რეალური შედეგია, ჩვენი აზრით, იმ არამართებული თვალსაზრისისა, რომელიც მედიოაქტიურ ზმნათა II (ასევე — III) სერიის მწკრივებში კვალიფიკაციით იყენ. („იყენებს“) „გარდამავალი“ (აქტიური) 0- პრეფიქსიანი ფორმების პარალელურად (ზოგჯერ — დამოუკიდებლად) <sup>1</sup> -დ სუფიქსიან ვნებითებსაც უშვებს, მათ ერთი და იმავე პარადიგმის წევრებად განიხილავს.

როგორც ამ თვალსაზრისით განმარტებითი ლექსიკონის მასალის განხილვა გვიჩვენებს, აღნიშნულ პრინციპს ლექსიკოგრაფიული პრაქტიკა არ ამართლებს. მისი თანმიმდევრული გატარება ვერ ხერხდება. მიზეზი თვით პრინციპშია.

ჩვენი აზრით, იავაზაკა — გაავაზაკდა, იზარმაცა — გაზარმაცდა, იყვირა — აყვირდა რიგის წყვილები, რომლებიც დრო-ცილობთა II სერიის მწკრივებში პარალელურადაა წარმოდგენილი, როგორც შესაბამის მედიალურ (სტატიკურ) ზმნათა: ავაზაკობს, ზარმაცობს, ყვირის

---

<sup>1</sup> შღრ. აბეზარობ-ს (იყენ. გააბეზარდა, გააბეზარებულა), ბრაზობ-ს (იყენ. გაბრაზდა, გაბრაზებულა), ბრქუფვიალებ-ს (იყენ. აბრქუფიალდა, აბრქუფიალებულა), ბრწუფინავ-ს (იყენ. გაბრწუფინდა, გაბრწუფინებულა)... მაგრამ სხვა ტომების რელაქტორთა მიერ არც ეს მოსაზრებაა ყოველთვის გაზიარებული; შღრ. დუმ-ს (მხოლოდ ნაკეთთა აწმყოს წყებაში), ღვიფი-ს (მნაწ), უვაფი-ს (მნაწ), ცხარობ-ს (მნაწ), ხურ-ს (მნაწ) და სხვა.

მონაცვლე ფორმები, არ არიან ერთი და იმავე პარადიგმის წევრები. ისინი განსხვავებულ ფორმასთან ერთად სხვადასხვა სემანტიკურ ნიუანს გადმოსცემენ, განსხვავებული სახის მოქმედებას გამოხატავენ. ამიტომ აწმყოში ფორმაწარმოების თვალსაზრისით სხვადასხვა მიმართებებს ქმნიან. მათი — *მ*- პრეფიქსიანი „გარდამავალი“ ზმნებისა და იმავე ფუძის დონიანი ვნებითების (აწმ. ბატონობს — აორ. იბატონა და გაბატონდა ტიპი) განხილვა ერთ სიბრტყეზე, ჩვენი აზრით, უმართებულოა.

სემანტიკურად სხვადასხვაა: ი ა ვ ა ზ ა კ ა („ავაზაკობა ჩაიდინა“) და გ ა ა ვ ა ზ ა კ დ ა („ავაზაკი გახდა“), ი ზ ა რ მ ა ც ა („სიზარმაცე გამოიჩინა“) და გ ა ზ ა რ მ ა ც დ ა („ზარმაცი გახდა“), ი ყ ვ ი რ ა („ხმამალლა დაიძახა, „ყვირილის ხმა გამოსცა“) და ა ყ ვ ი რ დ ა („ყვირილი დაიწყო, ყვირილს მოჰყვა“) და სხვა.

ამგვარ ანალიზს მხარს უჭერს მედიოაქტიურ ზმნათა ფორმაწარმოების ისტორიაც. შდრ. ძვ. ქ. აწმ. *ებრდლუენს* — აორ. *ებრდლენა* → ახ. ქ. *ბრდღენაგს* — *ებრდღენა*; ძვ. ქ. \**მცურს* (ლაზ. ინჩვირის „id“) — *მცურა* (ლაზ. ინჩვირუ „id“) → ახ. ქ. *ცურაგს* — *მცურა*...<sup>1</sup>

სუფიქსიანი ვნებითები ამ პარადიგმის გარეთ რჩება. ისინი უღვლილები და მოუცილებელი, სხვა სისტემას ქმნიან.

ამ მოსაზრებათა გამო მედიოაქტიურ ზმნებს აორისტის სერიის მწკრივებში (როცა იგი მათ ეწარმოებათ) მიზანშეწონილად მიგვაჩინა დაეწეროს იმავე ფუძის მხოლოდ აქტიური ზმნის *მ*- პრეფიქსიანი ფორმები: ავაზაკობს — იავაზაკა, მეფობს — იმეფა, ყვირის — იყვირა, ჩქარობს — იჩქარა... სხვა დანარჩენ შემთხვევებში — დუმს, ღვივის, ყვავის, ცხარობს, ხურს, დააქენებს, მიმდინარეობს, მოწმობს

<sup>1</sup> მედიოაქტიურ ზმნათა აწმყოს უძველეს ფორმებში *მ*- პრეფიქსი, ჩვენი აზრით, ფონეტიკურად უნდა იყოს მოკვეცილი თემატური სუფიქსების დართვის შედეგად.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ამ ჩგუფის ზმნათა ისტორიულ-შედარებითი განხილვა ადასტურებს მართებულობას ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებული დებულებებისა — პრეფიქსაცია ქართველურ ენათა მორფოლოგიის ძველისძველი დამახასიათებელი პრინციპია; და რომ, ისტორიულად გაცილებით მეტი ცვლილებები ზმნის აწმყოს ფუძეზე მოდის. იგი განუცდია პრეფიქსებსაც, ოღონდ უფრო მეტად ფონეტიკური ხასიათისა (არნ. ჩიქობავა). ამის შესახებ ვრცლად იხ. ლ. ნოზაძე, 1974, გვ. 25-53; 2000.

რიგის ზმნებს — კვალიფიკაცია: მხოლოდ ნაკეთთა აწმყოს წყებაში, როგორც არის ეს განმარტებით ლექსიკონში.

ამით მედიოაქტიურ ზმნათა უღვლილების სისტემაში მიიღწევა ერთგვარონება და ამასთან, ჩვენი აზრით, მეცნიერული თვალსაზრისითაც იქნებოდა გამართლებული.

მედიოაქტიურ ზმნათა გრამატიკული თვალსაზრისით კვალიფიკაციისას, ჩვენი აზრით, კორექტირებას საჭიროებს კიდევ ერთი საკითხი; კერძოდ, როგორც ცნობილია, ქეგლ-ში ამ სისტემის ზმნებს დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმებში ახლავს განმარტება — იყენ. (=იყენებს); შდრ. ავადმყოფობ-ს (იყენ. იავადმყოფა, უავადმყოფია), მეფობ-ს (იყენ. იმეფა. უმეფია), ტირ-ს (იყენ. იტირა, უტირია)... ეს კი, ვფიქრობთ, ენობრივი მოვლენის სინქრონიულ დონეზე ანალიზისას დიაქრონიული (ახსნითი) თვალსაზრისის შემოტანას ნიშნავს, რაც აღწერითი მეთოდის არათანმიმდევრულ გამოყენებაზე მიუთითებს და ამდენად ნაშრომის ნაკლს წარმოადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ განხილულ შემთხვევებში იყენ. კვალიფიკაციის გამოყენება მეთოდოლოგიურის გარდა, ჩვენი აზრით, არ არის მართებული მეცნიერული პოზიციიდანაც — საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი (მართალია, გაბატონებული) — მედიოაქტიურ (სტატიკურ — არნ. ჩიქობავა) ზმნათა აორისტის (ასევე — თურმეობითის) სერიის ფორმები წარმოშობით სათავისო ქცევის ფორმებია (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა...), კოლექტიური ხასიათის ნაშრომში, თანაც არასპეციალურ გამოკვლევაში — ისიც განმარტებით ლექსიკონში (და არა ისტორიულ-ეტიმოლოგიურში) ფაქტის დონემდგა აყვანილი, რაც ჩვენი აზრით გაუმართლებელია.

ამით გამორიცხულად მიიჩნევა საპირისპირო თვალსაზრისის არსებობის შესაძლებლობა — დაშვება ვარაუდისა, რომლის მიხედვითაც მედიოაქტიურ ზმნათა: მღერის, კვნისის, ბრდღვინავს, ცურავს და სხვ. შესაბამისი **ე-** პრეფიქსიანი ფორმები დრო-კილოთა მეორე სერიის მწკრივებში — იმღერა, იკვნესა, იბრდღვინა, იცურა და სხვ. ისტორიულად შესაძლოა „საკუთარი“ პარადიგმის“ წევრები იყოს (და არა — ნასესხები). შდრ. ძვ. ქ. იმღერს (აწმ.) — იმღერა (აორ.), იკუნესს — იკუნესა...; და რომ, **ე-** პრეფიქსის მიხედვით დაპირისპირება (სხვაობა) აწმყოსა და აორისტის წყების ფორმათა შორის (ცურავს — იცურა) მეორეული მოვლენაა (ლ. ნოზაძე, 1974, გვ. 25-53;

2000; შდრ. დ. მელიქიშვილი, 2002).<sup>1</sup>

ამ მოსაზრებათა გამო, ვფიქრობთ, რომ ქეგლ-ში მედიაოპტიურ ზმნათა მეორე სერიის ფორმებს კვალიფიკაცია იყენ. („იყენებს“) არ უნდა მიეწეროს ისევე, როგორც არ უწერია იგი რამდენსამე შემთხვევაში ე. წ. სტატიკური ვნებიტებისა (არა აქვს მნიშვნელობა მიზნის) და სისტემატურად — უპრევერბო -დ სუფიქსიანი (ზოგჯერ — ენიანი) ვნებიტების II სერიის მწკრივებში წარმოდგენილ მონაცვლე პრეფიქსიან ფორმებს. ნიმუშები:

ა ბ ჯ ე ნ ი -ა (ებჯინა, ბჯენილა), ა გ დ ი -ა (ეგდო, გდებულა), ა გ ი -ა (ეგო, გებულა)...<sup>2</sup>

ა ვ ა დ დ ე ბ -ა (დაავადდა, დაავადებულა), ბ ე რ დ ე ბ -ა (დაბერდა, დაბერებულა), ბ რ ა ზ დ ე ბ -ა (გაბრაზდა, გაბრაზებულა), ბ რ მ ა ვ -დ ე ბ -ა (დაბრმავდა, დაბრმავებულა), მ წ ი ფ დ ე ბ -ა (დამწიფდა, დამწიფებულა), ლ ვ ი ვ დ ე ბ -ა (გაღვივდა, გაღვივებულა), ყ ვ ა ვ დ ე ბ -ა (აყვავდა, აყვავებულა)... ე ც ი ნ ე ბ -ა (გაეცინა, გასცინებია), ე ც ო -დ ე ბ -ა (შეეცოდა, შესცოდებია), ე ძ ა ბ ე ბ -ა (დაეძაბა, დასძაბვია) და სხვა.

შ ე ნ ი შ ე ნ ა : თანამედროვე ქართულში (სინქრონიულ დონეზე განხილვისას) მედიაოპტიურ ზმნათა II სერიის მწკრივებში ე- პრეფიქსი ფორმალწარმოების თვალსაზრისით იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც პრევერბები დონიან (ზოგ — ე- პრეფიქსიანი) ვნებიტებთან: მეფობს — იმეფა, შდრ. მეფდება — გამეფდა, ეცოდება — შეეცოდა... (ლ. ნოზაძე, 1974, გვ. 50).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგი მკვლევარი პრევერბიან ფორმებს განსხვავებულ ფუნქციას მიიჩნევს.

აღსანიშნავია რომ, თუ იყენ. კვალიფიკაციის გამოყენების წესში არსებულ სხვაობას არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა შემთხვევაში ქეგლ-ი ერთგვაროვან დამოკიდებულებას ავლენს ამ ორი სხვადასხვა სისტემის ზმნების მიმართ; სახელდობრ: როგორც მედიაოპტიურ ზმნათა, ისე -დ სუფიქსიანი ვნებიტების ა წ მ ყ ო ს ფ ო რ მ ე ბ ი ს ა -

---

1 როგორც ცნობილია, თანამედროვეართა რიცხვანობა თვალსაზრისის მართებულობას ვერ გადაწყვეტს და მეცნიერული აზრის სისწორედ ავტორთა რანჟით არ განიზომება.

2 ჩვეულებრივ, როგორც ცნობილია, „სტატიკურ ვნებიტებს“ II სერიის მწკრივებში მედიაოპტიურ ზმნათა მსგავსად მიწერილი აქვთ იმავე ფუნქციის ე-პრეფიქსიანი ფორმები იყენ. კვალიფიკაციით: ა ნ თ ი -ა (იყენ. ენთო, ნთებულა)...



დმი მიძღვნილ სალექსიკონო სტატიებში დოკუმენტაცია წარმოდგენილია მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივებისა. აორისტის სერიის ფორმები, რომლებიც ფრჩხილებშია მოცემული, ორსავე შემთხვევაში ილუსტრაციების გარეშეა. მაგალითად:

**ნადირობ-ს** (იყენ. ინადირა, უნადირნია)... ნეტა, როტომ არ ეშინიათ... ფშავლებს და თუშებს, ტყეში რომ დადიან და ნადირობენ (თ. რაზიკ.). გური... ნადირობდა, თევზაობდა (ა. ლომ.) || ლომი მხოლოდ ღამე ნადირობს (ი. გოგ.).

**ბერდებ-ა** (— დაბერდა, დაბერებულა)... დღეები რბიან და მე ვბერდები (გ. ტაბ..) მალე ვბერდებით, ნასერიც მალე გვერევა თმაშია (ვაჟა). ივანე ბერდება და მიდის, პეტრე იბადება და მოდის (ილია)..

ჩვენი აზრით, ერთგვაროვანი უნდა იყოს „იყენებს“ კვალიფიკაციის გამოყენების წესიც: იგი არ უნდა მიეწეროს არც მედიოაქტიურ ზმნებს და საზოგადოდ არცერთი სისტემის ზმნათა || სერიის ფორმებს: შდრ. კენესი-ს (იყენ. იკენესა, უკენესია), ჰკიდი-ა (იყენ. ეკიდა, კიდებულა), დეგ-ს (იყენ. იდო, დებულა)..

ამგვარად, ზემოთ წარმოდგენილი არგუმენტები: მეთოდოლოგიური სიზუსტის დაცვა, განსხვავებულ თვალსაზრისთა გათვალისწინება, იმავე რიგის ზოგ სხვა მოვლენასთან ანალოგია, ვფიქრობთ, უქერს მხარს იმას, რომ იყენ. („იყენებს“) კვალიფიკაცია ამოღებული იქნას მედიოაქტიურ ზმნათა განმარტების ტექსტიდან და საზოგადოდ ქეგლ-ის მასალიდან.

დაბოლოს, ქეგლ-ის ახალ გამოცემასთან დაკავშირებით აქ განხილული შენიშვნები და ზოგი სხვაც, რ/-+მელიც ვრცლად არის წარმოდგენილი ხელნაწერ ვარიანტში და სხვა სახითაც (გადაეცა ლექსიკოლოგიის განყოფილებას), მიზნად ისახავს მხოლოდ ზოგ იმ უზუსტობათა თავიდან აცილებას, რომელიც, ჩვენი აზრით, დასტურდება ლექსიკონში (რომლის შედგენის ერთ-ერთი მონაწილე ამ სტატიის ავტორიცაა).

მათი გათვალისწინება, ვფიქრობთ, ერთგვარად გააუმჯობესებს მას — ლექსიკონს, რომელიც, არ უნდა იყოს სადავო, უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია მე-20 საუკუნის ქართული ენათმეცნიერებისა.

3. ფოგტის გამონათქვამი რომ მოვიშველიოთ: „სრულყოფილი ლექსიკონი საზოგადოდ არ არსებობს და ეს ლექსიკონი უქველად კვლავ გამოიცემა გადასინჯული და შესწორებული. ამ სახითაც, რო-

გორც ის დღეს არის, იგი დაიქვრს ფრიად მნიშვნელოვან ადგილს ჩვენი დროის ერთენოვან ლექსიკონებს შორის. ეს არის ძველი აღმართული ენისა და მისი ძველი, ათასწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად და საამაყო მათთვის, ვინც ჩაიფიქრა ეს სასიქადულო საქმე და ვინც განახორციელა იგი (პ. ფოგტი, 1970, გვ. 364).

### ლიტერატურა

**დ. მელიქიშვილი, 2001** — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.

**ლ. ნოზაძე, 1974** — ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა ზოგი საკითხი ქართულში (წინასწარი მოხსენება), იკვ, XIX, გვ. 25-53, თბ., 1974.

**ლ. ნოზაძე, 2000** — ლ. ნოზაძე, ისევ მედიოაქტიური ზმნების შესახებ ქართულში, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 59-ე სამეცნიერო სესიის მასალები, 2000 წ. 12-15 დეკემბერი, გვ. 44-45 (სტატია გადაცემულია დასაბეჭდად იკვ-ს LV ტომში.)

**პ. ფოგტი, 1970** — პ. ფოგტი, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I-VIII, თბ., 1950-1964, იკვ, XVII, 1970.

**ა. შანიძე, 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ. 1973.

**არნ. ჩიქობავა, 1950** — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ. ტ. I, თბ., 1950.

## ზოგი ტექნიკური საკითხის გამო „ქართული ენის განმარტავით ლექსიკონში“

„ქველ“-ის (I-VIII, 1950-1964) ახალ გამოცემასთან დაკავშირებით სხვადასხვა ავტორის მიერ წაკითხული და დაბეჭდილი იქნა რიგი მოხსენება ლექსიკოგრაფიისა და მორფოლოგიის ზოგი პრობლემის შესახებ.<sup>1</sup>

ამჯერად საკითხი ეხება იმ არაერთგვაროვნებას, რომელიც შეინიშნება „გლ“-ში დამოწმებულ ავტორთა გვარ-სახელების შემოკლებებში.<sup>2</sup> ასეთი ვითარება, ჩვენი აზრით, შედეგია იმისა, რომ „გლ“-ში არ იკვეთება რაიმე გარკვეული პრინციპი, რომელიც ბოლომდე გატარებული ამ თვალსაზრისით.

გვარ-სახელთა შემოკლებებისას მხოლოდ „გაგებიანების პრინციპზე“ დამყარება არ არის მისაღები (ამ მიზნით ერთვის ნაშრომებს, მათ შორის ქველ-ს, შემოკლებათა განმარტება). არ არის გასაზიარებელი იმიტომაც, რომ იგი აულრესად სუბიექტური კრიტერიუმია ორი გარემოების გამო (ორმხრივ):

1) მკითხველის დონის არათანაბობა. ზოგისათვის რომ შესაძლებელია საკმარისი იყოს უკიდურესი შემოკლება რიგი გვარ-სახელისა: **ჭ. ა.** (ჭ. ამირეჯიბი), **რ. ი.** (რ. ინანიშვილი), **კ. გ.** (კ. გამსახურდია), **ა. წ.** (ა. წერეთელი) და მისთ., სხვისთვის — შეძლებისდაგვარად მაქსიმალური სიგრძე გვარისა: **ჭ. ამირეჯ., რ. ინანიშვ., კ. გამსახ., ა. წერეთ.** და ა. შ.

2) სხვადასხვა მკვლევრის („შემმოკლებლის“) განსხვავებული და-

---

\* პირველად გამოქვეყნდა 2003 წელს (იხ. ირნოდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 62-ე სამეცნიერო სესია, მასალები, 2003 წ. 23-25 დეკემბერი, თბ.).

<sup>1</sup> თ. ბეროზაშვილი, სტატისტიკური ზმნების გადმოცემის შესახებ ქველ-ში (მე-60 სამეცნ. სესიის მასალები, 2001, 21-22). ა. კობახიძე, ზოგი ტერმინის დეფინიციისათვის განმარტებით ლექსიკონში („არნ. ჩიქობავას საკითხავები“, XIII, 2002, 53). ლ. ნოზაძე, ზმნური სალექსიკონო ერთეულის პრობლემა ქართულში „არნ. ჩიქობავას საკითხავები“, XII, 2001, 70). მისივე, შენიშვნები „ქველ“-ზე.. (საენათმ. ძიებანი, XIII, 2002, 226-241); მისივე, მასდარის წარმოების ზოგი საკითხი და ქველ-ი (საენათმ. ძიებანი, XIV, 2003) და სხვ.

<sup>2</sup> როგორც ცნობილია, ნებისმიერ ნაშრომს ჩრდილს აყენებს კორექტურული შეტდომებიც კი, მით უმეტეს — არათანმიმდევრულობა, რა სფეროშიც უნდა ვლინდებოდეს იგი.

მოკიდებულება „გაგებინების პრინციპისადმი“. მაგალითად, ერთის აზრით რომ ლექსიკონის მომხმარებლისათვის საკმარისია შემოკლება **ხ. მგალ., გ. ბეტრ.** და მისთ. (მ. მესხიშვილი, ქეგლ-ის დამატებითი ტომის მასალა; მ. ჰაბაშვილი, ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონის მასალა)<sup>1</sup>, სხვა მოსაზრების მიხედვით ასეთია: **ხ. მგალობ., გ. ბეტრ-რიაშვ. ...** (ქეგლ-ი) და პირიქით, ქეგლ-ის მიხედვით რომ შემოკლება **თ. სახ.** არის მიჩნეული მიზენშეწონილად, სხვა ავტორები უმჯობესად თვლიან შემოკლებას **თ. სახოკ.** (მ. მესხიშვილი, მ. ჰაბაშვილი); შდრ. აგრეთვე **ო. იოს.** (მ. მესხიშვილი) და სხვ.

მ. მესხიშვილის გვარ-სახელთა აბრევიატურაში მიღებულია ფორმები: **ჰ. ამირეჯ., თ. ბიბილ..., მ. ჰაბაშვილთან გვაქვს: ჰ. ამირ., თ. ბიბ...,** რაც სრულიად ბუნებრივია — მხოლოდ „გაგებინების პრინციპზე“ დამყარებული გვარ-სახელთა შემოკლებანი მისი სუბიექტური ხასიათის გამო ვერ იქნება თანმიმდევრული (ერთგვაროვანი), როგორც მოყვანილი ნიმუშებიდანაც ჩანს, თვით ერთ ავტორთანაც კი.<sup>2</sup>

მაშასადამე, აღნიშნული პრინციპით გვარ-სახელთა შემოკლების ერთიანი სისტემა ვერ აიგება, თუმცა არ ჩანს, რომ ქეგლ-ში დამოწმებულ ავტორთა გვარების შემოკლება ბოლომდე ეფუძნება ამ პრინციპს; შდრ. **ა. ადამ. (ა. ადამია), ვ. გუნ. (ვ. გუნია), რ. ქორქ. (რ. ქორქია) — ი. ჰყ. (ი. ჰყონია), აგრეთვე — გ. ლასხ. (გ. ლასხიშვილი), ნ. საბ. (ნ. საბაშვილი), ი. ტატ. (ი. ტატიშვილი)...** და — **ი. ლისაშ. (ი. ლისაშვილი), ი. მოსაშ. (ი. მოსაშვილი), ე. ნინოშ. (ე. ნინოშვილი), ი. ნონეშ. (ი. ნონეშვილი)...**

ქეგლ-ში არც შესამოკლებელ გვართა მარცვლიანობაზე დამყარებული წესია გამოკვეთილი, თანმიმდევრულად გატარებული; შდრ.:

**შგილ-ზე დაბოლოებული გვეარები: ეკ. გაბ. (4:1), კ. მაყ. (4:1), გ. ქურ. (4:1)... დ. თომაშ. (4:2), ი. ლისაშ. (4:2), მ. ჯანაშვ. (4:2)... ა. ბელ. (5:1), ვ. გაფრ. (5:1), ს. შანშ. (5:1)::: ნ. ბარათ. (5:2), ი. გოგებ. (5:2), დ. გურამ. (5:2), თ. რაზიკ. (5:2), გ. ჩუბინ. (5:2)...**

<sup>1</sup> შემდგომში შემოკლებით — ქეხლ-ი, მზადდება არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში.

<sup>2</sup> გასათვალისწინებელია ისიც, რომ გლ-ის დამატებითი ტომის მასალაში არსებული ეს სიჭრელე გვარ-სახელთა აბრევიატურისა ერთიანი პრინციპის უქონლობის პირობებში ავტომატურად გადავა „ქეგლ“-ის ახალ გამოცემაში, რაც კიდევ უფრო გააუარესებს ვითარებას ამ თვალსაზრისით.

ა. გომიაშ. (5:3), გ. პეტრიაშ. (5:3)...

ძე-ზე დაბოლოებული გვარები: ნ. ლორთქ. (5:1)... ი. ქუთათ. (5:2)... ე. ზედგ. (4:1), კ. კეკ. (4:1), ზ. ჭიჭ. (4:1)... კ. ბობოხ. (4:2), ნ. ნაკაშ. (4:2), გ. შარაშ. (4:2) და სხვანი.

გ ვ ა რ - ს ა ხ ე ლ თ ა შე მ ო კ ლ ე ბ ი ს (აბრევიატურის) ჩვენს მიერ მიღებული პრინციპის მიხედვით<sup>3</sup> საილუსტრაციო მასალაში დამოწმებულ ავტორთა სახელებში, როგორც წესი, მოკლდება პირველ ასოზე ჰველა შემთხვევაში — ხმოვანია იგი, თუ — თანხმოვანი<sup>4</sup>: გ. ბარნ., ა. ბულ., კ. გაშს., ი. ევლ., ა. შან. და სხვ.

გვარებში, ჩვეულებრივ, მოკლდება პირველ<sup>5</sup> დახურულ მარცვალზე<sup>6</sup> მომდევნო ხმოვანმდე<sup>7</sup>: ლ. არდ., ვ. ბარნ., ზ. ბოლქვ., პ. იაშვ., ს. მგალ., შ. მღვიმ., თ. რაზ., გ. წერ., ა. ჭავჭ. და სხვ.<sup>8</sup> თუ გვარის

---

<sup>3</sup> იგი განხილული და მიღებული იქნა ლექსიკოლოგიის განყოფილების სხლომაზე. ეს წესია გატარებული ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონის მასალაში. იგი გაზიარებულია „ქართული ენის თეზაურუსის შემდგენელთა მიერ (მთ. რედ. თ. გამურელძე).

<sup>4</sup> ასეა შემოკლებული ავტორთა სახელები ჰველ-შიც, გამონაკლისია ეკ. გაბ., ივ. ჯავახ.

საყურადღებოა, რომ ა. შანიძე ივანე ჯავახიშვილის სახელს • ხმოვანზე ამოკლებს, გვარს — ჭავ- მარცვალზე (შანიძე 1973, 655). ეს ეც ტრადიციია.

<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ ჰველ-ში უპირატესია ერთმარცვლიანი შემოკლებები. 167 ერთეულიდან პირველ მარცვალზე შემოკლებულია 95 გვარი, ორმარცვალზე — 61.

<sup>6</sup> „მარცვალი“ აქ პირობითად (ტექნიკური მოსაზრებით) არის ნახმარი.

<sup>7</sup> ამით შეძლებისდაგვარად თავიდან არის აცილებული არათანმიმდევრულობა (მერყეობა) ლექსიკონის ამ ნაწილში. ეს წესი ავტომატურს ხდის „გლ“-ში დამოწმებული ავტორების გვართა შემოკლებების პროცესს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტენდენცია — ზოგადად გვართა შემოკლება მომდევნო ხმოვანმდე შეინიშნება ჰველ-ში. მაგ., ვ. ბალანჩ., ი. ელფეთ., ე. ზედგ., ლ. ისარლ., ნ. კერდლ., კ. ლორთქ., ა. მირცხ., მაყ. მრეკლ., მკედლ., გ. შატბ., და სხვ. (შდრ. Л. Андр., А. Некр., М. Остр., С. Пушк., Л. Толст., Ф. Тург... Словарь соврем? русск. литер. языка, 1950, т. 1).

მაგრამ ეს წესიც არ არის ბოლომდე გატარებული: შდრ. ნ. ურბ. (ნ. ურბნელი), გ. ცეცხ. (გ. ცეცხლაძე)... დ. თომაშ. (დ. თომაშვილი), ი. ლისაშ. (ი. ლისაშვილი), ი. მოსაშ. (ი. მოსაშვილი), ი. ნონეშ. (ი. ნონეშვილი), ნ. ციციშ. (ნ. ციციშვილი)... მაგრამ — მ. ჩანაშვ. და სხვ.

<sup>8</sup> გვარებს: მგალობლიშვილი, წერეთელი ასევე — მგალ., წერ. ამოკლებს ა.

პირველი დახურული მარცვალი წარმოადგენს VC სტრუქტურის (ე.ი. მხოლოდ ორი გრაფემისაგან შემდგარ) სეგმენტს, მისი შემოკლება ხდება შემდგომ დახურულ მარცვალზე მომდევნო ხმოვნამდე: ი. აბაშ., ი. აბულ., ჭ. ამირ., ლ. ასათ., ი. ეკალ., რ. ერისთ., ქ. ირემ., გ. იმედ... ნ. აგიაშვი., ჯ. აჭიაშვი., მ. ელიოზ. და სხვ.<sup>1</sup>

როდესაც გვარის შემოკლება ზემოგანხილული წესების მიხედვით არ ხერხდება, დაშვებულია VC ტიპის შემოკლება: ო. ეგ. (ო. ეგაძე), ლ. ერ. (ლ. ერაძე), თ. ონ. (თ. ონიანი)...

თუ ასეთი წესით შემოკლებისას ფორმები ემთხვევა ერთმანეთს, ერთ-ერთის (ჩვენი მასალის მიხედვით, შედარებით ნაკლებ ხმარებული) სახელის შემოკლება განივრცობა (გათვალისწინებულია „ეკონომიურობის პრინციპი“). მაგ. მ. აბაშ. (მერაბ აბაშიძე), შდრ. მემ. აბაშ. (მემედ. აბაშიძე), კ. დევდ. (კარლო დევდარიანი), შდრ. კლ. დევდ. (კლავდია დევდარიანი); მ. მრევლ. (მაყვალა მრევლიშვილი), შდრ. მიხ. მრევლ. (მიხეილ მრევლიშვილი); გ. რჩეულ. (გურამ რჩეულიშვილი), შდრ. გრ. რჩეულ. (გრიგოლ რჩეულიშვილი) და სხვ.

როდესაც ერთიდაიმავე გვარ-სახელის ორი ავტორია, ერთ-ერთი მათგანის გვარი („ეკონომიურობის პრინციპის“ დაცვით) განივრცობა. მაგ., გ. წერ. (გიორგი წერეთელი — XIX ს. მწერალი), გ. წერეთ. (ენათმეცნ.)...

ორი ერთეულისაგან შემდგარი გვარის შემთხვევაში თითოეული მათგანი მოკლდება პირველ დახურულ მარცვალზე (მომდევნო ხმოვნამდე), როგორც ეს მიღებულია ქველ-ში; მაგ. ა. ერ. — ხოშტ., დ. კოკ. — ფანჯ. (დ. კოკია-ფანჯიკიძე).

ზოგადი წესისაგან გამონაკლისს წარმოადგენს ოდენ თანხმოვნის შემოკლებანი: დ. კლდ., ა. მხ. (ა. მხეიძე), ბ. ჟდ. (ბ. ჟდენტი), ლ. ფრ. (ლ. ფრუიძე), ნ. ჩხ. (ნ. ჩხეიძე).<sup>2</sup>

ამგვარად, ზემოთ წარმოდგენილი წესის გამოყენებით, ვფიქ-

შ ა ნ ი ძ ე (1973, 633; შდრ. ს. მგალობ., გ. წერეთ. — „გლ“-ი). მაშასადამე, ამგვარ შემოკლებებსაც ვარკვეული „ტ რ ა დ ი ც ი ა“ აქვს.

<sup>1</sup> გვარის სამმარცვლიანი შემოკლება ჩვენი მასალის მიხედვით იშვიათია.

<sup>2</sup> როგორც ცნობილია, ზოგი მათგანი („ძველი ავტორები“) ასეა დამოწმებული ქველ-ში.

რობთ, შესაძლებლობისდაგვარად სისტემური ხასიათი ეძლევა, ერთი-  
ან ყალიბში ექცევა ქველ-ის სადოკუმენტაციო ფონდში დამოწმებულ  
600-მდე (საჭიროების მიხედვით — მეტისაც) ავტორის „გვარ-სახელ-  
თა აბრევიატურა“ ისე, რომ ტ რ ა დ ი ც ი უ ლ (ანუ გლ-ისეულ)  
შემოკლებათაგან ცვლილება ეხება შედარებით მცირე ნაწილს) 167-  
დან 50-მდე ერთეულს (გვარს).<sup>3</sup>

ამასთან, „გაგებინებისა“ და „ეკონომიურობის“ პრინციპზე  
დამყარებული ეს სისტემა იმავდროულად ფორმალიზებულია, გვარ-  
სახელთა შემოკლების პროცესი — ავტომატური.

---

<sup>3</sup> ამ პრინციპით არის შედგენილი ქველ-ში დამოწმებულ ავტორთა გვარ-  
სახელების შემოკლებათა სია (ინახება ლექსიკოლოგიის განყოფილებაში).

## ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი და მასთან დაკავშირებული პრობლემები<sup>1</sup>

სინონიმთა (სინონიმურ სიტყვათა და იდიომატურ გამოთქმათა) ლექსიკონს<sup>2</sup> ერთენოვან ლექსიკონებს შორის, როგორც ცნობილია, მოხმარების თვალსაზრისით პირველი ადგილი უკავია განმარტებითი ლექსიკონის შემდეგ. იგი განკუთვნილია ფილოლოგთა ფართო წრეებისათვის, მწერლებისა და მთარგმნელებისათვის, პრესის მუშაკების, ჟურნალისტების, მასწავლებლებისა და საერთოდ მათთვის, ვინც დაინტერესებულია ამა თუ იმ სალიტერატურო ენის შესწავლით.

ამიტომ არის, რომ, მაგალითად, მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გამოიცა რუსული ენის სინონიმთა რამდენიმე ლექსიკონი სხვადასხვა პირთა რედაქტორობით: ვ. ნ. კლუევა (1956, 1961), ზ. ვ. ალექსანდროვა (1968), ა. პ. ევგენიევა (1970-1971), ი. დ. აპრესიანი (1995, 1997) და სხვა.<sup>3</sup>

ქართული ენის სინონიმთა სოლიდური, სათანადო მეცნიერულ დონეზე შესრულებული ლექსიკონი, შეიძლება ითქვას, არა გვაქვს.

1951 წელს გამოვიდა ა. ნეიმანის საკმაოდ ვრცელი „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ (მეორე გამოცემა — 1961 წ.). ეს იყო პირვე-

---

<sup>1</sup> პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში „საენთამეცნიერო ძიებანი, XXIV, თბ., 2006, გვ. 185-201.

<sup>2</sup> ამავე დროს აღნიშნული სტატია წარმოადგენს „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონის“ შემდგენელთა ჯგუფის მიერ 1997-2005 წლებში შესრულებული სამუშაოს ზოგად ანგარიშს

<sup>3</sup> არსებობს თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, არასწორი, რომლის მიხედვითაც სინონიმური სიტყვებისა და იდიომატური გამოთქმების (ფრაზეოლოგიზმების) ერთ რიგში წარმოდგენა გაუპართლებელია. ისინი დამოუკიდებელ, ცალკე ლექსიკონებს უნდა ქმნიდნენ (კოკციძე, 1964, № 1, გვ. 194-195).

როგორც ცნობილია, იდიომა, რამდენი ერთეულისაგანაც უნდა შედგებოდეს იგი, მნიშვნელობით ერთი სიტყვის ფარდია. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ისინი განიხილებოდნენ შესაბამის სინონიმურ სიტყვათა მწკრივში.

სინონიმურ ერთეულთა ლექსიკონებში განლაგების ზემოთ შემოთავაზებული წესი თეორიულ თვალსაზრისით ეწინააღმდეგება იდიომათა არსს, მათ საყოველთაოდ მიღებულ დეფინიციას, პრაქტიკულად — ნიშნავს სინონიმთა მწკრივების მექანიკურ დანაწევრებას მარტივ და რთულ ელემენტებად (შესაბამის ლექსიკონებში შეტანით), საბოლოოდ — სინონიმური რიგების გაღარიბებას.

ჩვენში ქართული ენის სინონიმის თემას სხვადასხვა თვალსაზრისით ეხება ცალკეულ ავტორთა შრომები. წარმოდგენილ სტატიაში ერთვის იმ ნაშრომთა სია, რომლებიც ტექსტშია დამოწმებული.



ლი ამ ხასიათის ნაშრომი. იგი დიდ სამსახურს უწევს ქართული სიტყვით დაინტერესებულ პირებს, მაგრამ მას სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნია. იგი ვერ პასუხობს ლექსიკოლოგიის თანამედროვე მოთხოვნებს, მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკონის შედგენის პრინციპები.

ა. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ შესული მასალა ხშირად დიალექტურია, ანდა დამახასიათებელია ძველი ქართულისათვის. ისინი ლექსიკონში შეტანილია უსისტემოდ — რაიმე გარკვეული პრინციპის გარეშე.<sup>4</sup>

სიტყვები მხატვრული ლიტერატურიდან შედარებით მწირად არის წარმოდგენილი.

მთელ რიგ შემთხვევაში არ არის სწორად გამოყოფილი სინონიმური მწკრივები, რაც, თუ გავითვალისწინებთ სიტყვათა ამგვარი კლასიფიკაციის სირთულეს და იმასაც, რომ ა. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ პირველი ამ ხასიათის ნაშრომია, მოულოდნელი არ არის. მაგრამ აქ ხაზგასასმელია ის, რომ სინონიმთა რიგები ხშირად თემატური ნიშნით (იდეოგრაფიული ლექსიკონის პრინციპების მსგავსად) არის შედგენილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხსენებულ ლექსიკონში სინონიმური რიგები უპირატესად განუმარტავია.<sup>5</sup> მათ, ხშირად, არ ერთვის საილუსტრაციო მასალა.

მხედველობაში მისაღებია ისიც (და ეს არსებითია), რომ ა. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ (1951, 1961) მიახლოებითაც ვერ ასახავს სინონიმთა იმ მდიდარ ფონდს, რომელიც ქართულ სამწერლობო ენას გააჩნია.

რამდენიმე ნიმუში დასახელებული შრომიდან: **ჯანსაღი**, სალი, **ჯანმრთელი**, **ჯანიანი**, **ჯანთ** სავსე, **უვალო**, **საღ(ი)სალამათი**, **საღსალამათი**, **მაგარი აგებულებისა**, **თავის დღეში ფრჩხილი არ წამოსტკივებია**, **ჭირკუტანა**, **ჩასხმული**, **ჩაფსკნილი**, **სას. ძირმაგარა** (ევა ძირმაგარიანთ გვარისა).

**ცუდი**. **უხეირო**, **ავი**, **უვარგისი**, **ნაბოლოვარი**, **უგვანო**, **მდარე**, **გლახა**, **უხამსი**, **გადასაყრელი...** **არამი**, **არაფრად ვარგა**, **ხელიდან წასული**, **ჩათლახი**, **ჩირთი-ფურთები...**

**ცრუობა** (ცრუობს), **ტყუება** (ტყუის)... **ტყუილის გამოცხობა**, **ტყუილებში შე-**

<sup>4</sup> ამ თვალსაზრისის არსებითი განხილვა ვრცლად წარმოდგენილია ქვემოთ.

<sup>5</sup> ზოგჯერ განმარტება სინონიმთა მწკრივშია შეტანილი.

ტოპა, შეთხვა, ტყუილების დახეთქება, ისეთი ტყუილების დახეთქება იცის, რომ მკვლარს ფეხებს გააქნევენებს, მტნარი სიცრუე, ცოცხალი ტყუილი, მიჰარვა (მიჰქარავს), რახუნნი... როშვა, წისკვილივით როშავს... ნათქვამი სიმართლეს არ შეეფერება, ნათქვამი სიმართლეს დაშორებულია, სიმართლეს გადაუხვია, ცდება, ამეტებს, აჰარბებს.

**ოინი**, თვალთმაქცობა, ნილაბი (მისი ჩაცმულობა, ყოფა-ქცევა, სიტყვები — ყველაფერი ეს ნილაბია, თვალთმაქცობა).

**არჩვი**, ფსიტი, ჭერიანი, ჭიხვი, (მამალი ჭიხვი) ხარჭიხვი, (დედალი ჭიხვი) შანი, ნიამორი, ქურციკი, გარეული თხა, შველი, (ახალგაზრდა არჩვი) ლიკლიკა;

**დედალი ცხოველი**, (კატა) ძუ, (ძალი) ძუენა, (ცხვარი) ნერბი, (ცხენი, სახედარი) ფაშატი, ჰაკი, ხრდალი, ჰავი; (ღორი, თხა) ნეზვი, ქუბი, (აქლემი) ჯამა, (მსხვილფეხა საქონელი) ფური, (საფურე ხბო ერთი წლისა) მოცედი... (ბერწფური) ურწანი, უზვი, ფურბერწი, (დედალი ჭიხვი) შუნი, (დათვი) ბრანგი.

ამგვარი ბუდეები ლექსიკონში მრავლადაა.<sup>1</sup>

ხსენებული ლექსიკონის შედარებით ვრცელი და ჩვენი აზრით, არსებითად, სწორი ანალიზი მოცემულია ბ. კიკვიძის სტატიებში

---

<sup>1</sup> ვითარებას არ ცვლის კ. ჭორჩანელის ავტორობით ასლახან გამოცემული „ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი“ (2003).

ა. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონ“-თან დაკავშირებული ზემოთ წარმოდგენილი ზოგადი შენიშვნები, არსებითად, შეეხება კ. ჭორჩანელის ნაშრომსაც.

უფრო მეტიც — ა. ნეიმანისაგან განსხვავებით ზმნურ სალექსიკონო ერთეულად პირიან ფორმათა მიღების წესით (ამ პრინციპის თეორიული თვალსაზრისით უმართებულობაზე რომ არაფერი ვთქვათ — იხ. ა. შანიძე, 1999, №2. ლ. ნოზაძე, 2002, გვ. 226-242; 2003, 64-98; 1. 2004, 91-106 და სხვ.), ფაქტობრივად კ. ჭორჩანელის „ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი“ (2003) ხელოვნურად (გაუმართლებლად) დიდად არის გაზრდილი (აღნიშნული ლექსიკონის ვრცელი ანალიზი — სხვაგან).

რამდენიმე ნიმუში:

**ლამაზი**, პირლამაზი, პირშინანი, შშვენიერი (1), შშვენი (2), ტურფა, სახიერი (1), კვლუცი (1), კოპწია, კობტა...

**ლამარაკი**, მეტყველება, ტიტინი, ტიკტიკი; ლიკლიკი (2), ლუკლუკი (2), (ტბილი) ჰუკჰუკი (2); ჩურჩული, ჩიფჩიფი, ბუტბუტი, დუდუნი, ლულულუი, ბურტყუნი, ბურდღუნი, ბლუყუნი, ბლოყინი (მთვრალის — გაურკვევლად), დუდღუნი, ბუზღუნი, (ჩაგონებით) ჩიჩინი, რატრავტი (1), ლაშლაში, ქაქანი (2), ყაყანი, ყაჯყავი (2), როხროხი, როტვა, როშვა (2), როხვა (2), ჩმახვა (3), ბოდვა, საუბ. ლაილაი, ლაქლაქი... ლაყაფი, (ენის) ტლიკინი, (ენის) ტარტარი... ჰაჰყანი, ტატყანი... ცაცხანი, ჯაქლანი, ჭიჭინი...

**ხიარული**, სვლა (1), რონინი, ტატი, ხეტიალი, ყიალი, (გადატ.) კონკილი (2) (მარტობედ, ცალად სიარული), წოწიალი, წანწალი, წიალი, ტანტალი, ტუნტული, ტუსტუსი, ლაჭუნი, ლაყუნი, ჩანჩალი, ფრატუნი (1), ლასლასი, ლაწლაწი... და სხვა.

(1963, 1964). ავტორის დასკვნითი დებულებაა: „ქართული ენის (როგორც ძველი, ისე — ახლისა და მისი დიალექტების) სინონიმთა ლექსიკონის შედგენა მომავლის საქმეა. განხილული შრომა ოდნავადაც ვერ ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ამ მხრივ ჩვენს სინამდვილეში არსებობს (ხაზგასმა — ლ.ნ.), კიკვიძე (1963, 209).<sup>2</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ა. ნეიმანის სინონიმთა ლექსიკონის გამოსვლიდან გავიდა 40 წელზე მეტი. ამ ხნის განმავლობაში გამოიცა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით (I-VIII, 1950-1964) და ბევრი სხვა ლექსიკონი, მათ შორის — „განმარტებითი ლექსიკონის“ ბაზაზე შექმნილი ლექსიკონები: „ინვერსიული ლექსიკონი“ (რედ. ბ. ფოჩხუა, მ. ჰაბაშვილი, 1967), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული (მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, რედ. მ. ჰაბაშვილი, 1986), ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი“ (ბ. ჭობენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, 1988), „ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი“ (გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, 1989) და სხვა.

მაგრამ არა გვაქვს უმთავრესი — ამ რიგის „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი“.

აღნიშნული ხარვეზის შესავსებად — ახალ „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი“-ს შესადგენად არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში შეიქმნა თანამშრომელთა მცირერიცხოვანი (6-მდე წევრისაგან შემდგარი)<sup>3</sup> ჯგუფი.<sup>4</sup>

---

<sup>2</sup> იგივე შეიძლება ითქვას კ. ჭორჩანელის „სინონიმთა ლექსიკონის“ (2003) შესახებაც.

<sup>3</sup> შდრ. ა. ე. ევგენიევას რედაქტორობით შედგენილი „რუსული ენის სინონიმთა ლექსიკონი“ (I-II, 1970, 1971), რომლის შემზადებაზეც ათი წლის განმავლობაში მუშაობდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან შემდგარი ჯგუფი (25-მდე წევრით).

<sup>4</sup> ჯგუფის ხელმძღვანელი და სალექსიკონო მასალის რედაქტორი — მ. ჰაბაშვილი (1991-1996), 1997 წლიდან — ლ. ნოზაძე.

აღნიშნული ლექსიკონის შედგენაზე ძირითად მუშაობდნენ (1997 წლიდან): ლ. ქადაგიძე, ხ. რუხაძე, ლ. კინჭარაული, ნ. რაზმაძე, ნ. თაქთაქიშვილი, ა. ჰაბაშვილი.

ლექსიკონის შედგენის სამუშაოებში სხვადასხვა დროს მონაწილეობას იღებდნენ: ლ. ასათიანი, მ. ვალდავაძე, მ. კანდელაკი, მ. კულენჯერიძე, ლ. ნოზაძე, მ. ხომასურიძე.

**შენიშვნა:** სინონიმთა დადგენისას ვებლმძღვანელობთ თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც სინონიმები ერთნაირ (მსგავს) ცნებათა, resp. მნიშვნელობების (ერთგვარ საგნობრივი მიმართების) აღმნიშვნელი სიტყვებია, რომლებიც ს ი ნ ქ რ ო ნ ი უ ლ ა დ იხმარება ერთ ენობრივ (resp. დიალექტურ) წრეში, აქეთ საერთო დისტრიბუცია და შესწევთ უნარი კონტექსტებში ურთიერთ ჩანაცვლებისა.<sup>1</sup>

სინონიმები ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ კონოტაციის მიხედვით — გრძობითი ელფერით, მეტნაკლები ექსპრესიულობით, გამოყენების სფეროს მიხედვით („ფუნქციური სტილით“).<sup>2</sup>

რაც ენათმეცნიერთა კვალად, მიჩნეულია, რომ აბსოლუტური სინონიმები ენაში არ არსებობს. ისინი არ დასტურდება თვით სინონიმურ ტერმინთა შემთხვევაშიც კი.

თეორიულად არ არის გამორიცხული შესაძლებლობა ტერმინებს შორის აღმოჩნდეს სხვაობა, კერძოდ, სიხშირის, სიტყვაწარმოებისა და მისთ. ნიშნით მაშინაც, როცა გარკვეულ ეტაპზე იგი რეალურად დადასტურებული არ არის.

აღნიშნულ თვალსაზრისთა გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა აქვს სინონიმური მწკრივების შედგენისას.

შემუშავდა ლექსიკონის შედგენის პრინციპები („ქართულ სინონიმთა ლექსიკონის პროსპექტი“), რომელიც განხილული იქნა ლექსიკოლოგიის განყოფილების სხდომაზე.<sup>3</sup>

შედგა გარკვეული რაოდენობის (6000-მდე) სინონიმური მწკრივი.<sup>4</sup> მისი მცირე ნაწილი — სანიმუშო მასალა, ამოღებული სხვადასხვა მონაკვეთებიდან, გამოქვეყნდა იკე-ს XXXII ტომში (1993).

ახალ „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონის“ მასალა (შემდგომში შემოკლებით — „ქესლ“-ი)<sup>5</sup> ძირეულად განსხვავდება ზემოთ განხილული შრომებისაგან (ნეიმანი, 1951; ჯორჯანელი, 2003).

სხვაობაა უპირველეს ყოვლისა შედგენის პრინციპების თვალსაზ-

---

<sup>1</sup> სრულიად სამართლიანად შენიშნავენ, რომ სინონიმის განსაზღვრისას მთავარია ერთგვარი საგნობრივი მიმართების („მიმართება საგანთან“) არსებობაზე მითითება, სხვა — მეორეულია (ფოჩხუა, 1974, 267).

<sup>2</sup> აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ყოველთვის არ არის ადვილად გასამიჯნი სიტყვის ექსპრესიული და ინტენსიური მნიშვნელობანი.

<sup>3</sup> აღნიშნულმა „პრინციპებმა“ („პროსპექტმა“) შემდგომში (მუშაობის პროცესში), ძირითადად, 1997 წლიდან არსებითი ხასიათის ცვლილებები განიცადა (ამის შესახებ ვრცლად — ქვემოთ).

<sup>4</sup> 1997 წლამდე სინონიმურ მწკრივთა რაოდენობა 800 ერთეულს არ აღემატებოდა.

<sup>5</sup> აქაც და სხვა შემთხვევაშიც მხედველობაშია „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“, რომელიც მუშავდება არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში.

რისით, აგრეთვე — „სიტყვანის“ მიხედვით და მრავალი სხვა ნიშნით. კერძოდ:

ახალ „ქესლ“-ის „სტყვანი“ (ლექსიკური ბაზა), ძირითადად, ემყარება ქეგლ-იდან (I-VIII, 1950-1964), აგრეთვე ზოგი სხვა სალექსიკონო წყაროდან<sup>6</sup> მოპოვებულ მასალებს.

აღნიშნული მასალა ხსენებულ ლექსიკონში, ძირითადად, შეტანილია იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც გატარებულია ქეგლ-ში.<sup>8</sup> კერძოდ:

**„ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონში“ შედის:** არსებითი სახელები, ზედსართავეები, ნაცვალსახელები, ზმნები — ყველა კატეგორიისა (მოქმედებითი, ვნებითი, ქცევის ფორმები...), სახელზმნები (მასდარი, მიმღობა), ზმნისართები (მყის, მსწრაფლ... უწინ, უმალ... ცერად, ქუშად... ტიპისა), აგრეთვე — ნაწილაკები და კავშირები (დიან, კი, ჰო... ზოლო, მაგრამ...), ზოგჯერ — სიტყვის ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტები: თანამიმდევრული || თანამიმდევრული, ააგლეჯს || აპგლეჯს, ულურწავს || ულურჭავს, ყიჟინი || კიჟინი რიგისა.

**ლექსიკონში არ შედის:** შორისდებულები (ვაი! აფსუს! ოჰ!...), ფონეტიკური ვარიანტები: აკვარიუმი || აქვარიუმი, რაქტი || რახტი ტიპისა; ზ მ ნ ი ს ა რ თ ე ბ ი, რომლებიც წარმოადგენენ ვითარებითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებს და იმეორებენ შესაბამისი სახელობითის ფორმებით გამოხატულ სინონიმურ მწკრივთა ლექსიკურ მნიშვნელობებს. მაგალ.:

წესიერად, ხეირიანად, რიგიანად... (შდრ. წესიერი, ხეირიანი, რიგიანი...).

ბარბაცით, ლასლასით, რაცრაციით... (შდრ. ბარბაცი, ლასლასი, რაცრაცი...).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სინონიმთა სალექსიკონო მასალაში, როგორც წესი, არ განიხილება დიალექტური და ძველი სიტყვები, რომლებიც ექვემდებება-

---

<sup>6</sup> რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1937; ჩუბინაშვილი, 1901; დათკაშვილი, 1953-1967; რუსულ-ქართული ლექსიკონი, I-III, 1956-1959; სახოკია, I-III, 1950-1955 და სხვა.

აღნიშნული სალექსიკონო მასალა (300 000-მდე ბარათი) თავდაპირველად დალაგებული იყო ანბანის რიგზე. 1993-1994 წლებში გადალაგდა ბუდეზად — ფუძეების მიხედვით (ინიციატორი და სამუშაოს ხელმძღვანელი, ასევე მონაწილე — ლ. ნოზაძე).

<sup>8</sup> თუმცა არის ზოგი არსებითი ხასიათის სხვაობაც. მათ შესახებ მსჯელობა მოგვიწევს გზადავ ზა.

რება კვალიფიკაციას: დიალ., ძვ.<sup>1</sup> აგრეთვე — ვიწროსპეციალური, ტერმინოლოგიური ლექსიკა, რომლებიც იხმარება მხოლოდ რომელიმე სამეცნიერო, ტექნიკურ, პროფესიულ დარგში ან ვიწრო წრეში; არ გვხვდება მის სფეროს გარეთ, არ სცილდება მის საზღვრებს.<sup>2</sup>

რაც შეეხება ზმნურ სალექსიკონო ერთეულს, „ქესლ“-ი, ცხადია, ამ შემთხვევაშიაც ემყარება იმ პრინციპს, რომელიც გატარებულია „ქეგლ“-ის რვატომეულში: ნაზმნარ სახელებთან (მასდარი, მიმლეობა) ერთად დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულებად გამოტანილია სინონიმურ ზმნათა პირიანი ფორმები: ქვევის, გვარის, კაუზატივის მნიშვნელობათა გამომხატველი ერთეულები მყოფადისა (პრევერბიანი) და აწმყოს (უპრევერბო) მხ. რიცხვის III პირში (იხ. ჩიქობავა, 1950, 011, 017; 1964, 06; აგრეთვე — „ქეგლ“-ი, I-VIII, 1950-1964).

ლექსიკონის ყოველი სინონიმური რიგი განმარტებულია (შდრ. ნეიმანი, 1961; ჯორჯანელი, 2003).

შენიშვნა: სინონიმთა ლექსიკონის ერთ-ერთ სირთულეს სხვა ერთენოვან ლექსიკონებთან შედარებით სინონიმური მწკრივების განმარტება ქმნის. იგი უნდა წარმოადგენდეს არსებით ნიშნებზე დამყარებულ დეფინიციას, სადაც არ შეიძლება გამოყენებული იქნას სინონიმური ერთეული. თუარადა, ძირეულ განმარტებასთან ერ-

---

<sup>1</sup> ძველი და აშკარად დიალექტური, ასევე — ზოგი სხვა სიტყვების შეტანას განმარტებით ლექსიკონში (ისიც გარკვეული პრინციპების შესაბამისად და სათანადო კვალიფიკაციებით) შეიძლება ახსნა მოეძებნოს — განმარტებით ლექსიკონს ევალება ახსნას თანამედროვე სიტყვაკაზმულ მწერლობაში, პრესაში, სამეცნიერო, თუ პოლიტიკურ ლიტერატურაში, ცოცხალ (სასაუბრო) მეტყველებაში დადასტურებული სიტყვები, მათ შორის — იშვიათად ფიქსირებულიც.

სინონიმთა ლექსიკონში — პირიქით. მასში, სინონიმთა არსის გათვალისწინებით, უნდა შედიოდეს თანამედროვე ენის ამათუიმ სფეროში მეტნაკლებად დამკვიდრებული სინონიმური ერთეულები.

სხვადასხვა დიალექტებისათვის დამახასიათებელი სიტყვები, როცა ისინი ხშირადაა ფიქსირებული სამწერლობო ენაში და დგანან საერთო-სახალხო ხმარების ზღვარზე, სალიტერატურო ენაში (რესპ. — სინონიმთა ლექსიკონში) იმკვიდრებენ ადგილს დამოუკიდებელი სახით, ან კვალიფიკაციით — საუბ. („სასაუბრო“), ძველი სიტყვები — წიგნ. („წიგნური“).

სინონიმთა ლექსიკონებში ძველ და დიალექტურ სიტყვათა შეტანის წესი კვალიფიკაციით — ძვ. („ძველი“), დიალ. („დიალექტური“) — განმარტებით ლექსიკონების გადგენის შედეგია (შდრ. — ა. ბ. ევგენიევა, I-II, 1970-1971 და სხვ.).

<sup>2</sup> უარგონული ლექსიკა (კვალიფიკაციით: ვულგ., საუბ.) — მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი ენაში დამკვიდრებული ფუძის ახალ მნიშვნელობას წარმოადგენს. მაგალ., მაგარი (საუბ.) „ძალიან, მეტისმეტად კარგი; ძლიერი...“;

თად სინონიმური სიტყვების მოხმობა განმარტებას ძალას მიტებს (შდრ. კამახ-ი ვინც უმნიშვნელო მიზეზის გამო ბრაზობს და ჩხუბობს, — ანჩლი, ავი...).

და პირიქით, ცნების (რსფ. სიტყვის მნიშვნელობის) განმარტება მხოლოდ სინონიმებით, რაც არცთუ იშვიათად გვხვდება განმარტებით ლექსიკონებში, არ არის საკმარისი. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ფაქტობრივად ეს არის „უცნობის ახსნა უცნობით“; ამიტომ ჩვენი აზრით — არამისაღები ვარიანტი ერთნოვან ლექსიკონებში გამოსაყენებლად. რამდენიმე ნიმუში „ქველ“-იდან:

ხევდა „დარდი, ნალველი, კაეშანი, ვარამი“.

კაეშანი „დარდი, სევდა, ნალველი“.

დააწუნარებს „დაამშვიდებს, დაშოშმინებს“.

დააშოშმინებს „დაამშვიდებს, დააწუნარებს“ და სხვ.

ზემოთ დასახელებული „ქართულ სინონიმთა ლექსიკონები“-საგან (ა. ნეიმანი, კ. ჭორჯანელი) ახალ „ქართულ სინონიმთა“ სალექსიკონო მასალა განსხვავდება იმითაც, რომ სინონიმური მწკრივის ყოველი ერთეული შეძლებისდაგვარად დოკუმენტირებულია ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებიდან ამოწერილი საილუსტრაციო გამონათქვამებით.<sup>3</sup>

შენიშვნა: საილუსტრაციო მასალის დართვა ხელს უწყობს სიტყვის სემანტიკის უკეთ წარმოჩენას, გასაგებს ხდის მის ადგილს „რანგების მიხედვით“, ამ შემთხვევაში — კლებადი სემანტიკური მოცულობის (ტევალობის) ნიშნით განლაგებულ სინონიმთა მწკრივში. მეთაური, საყრდენი სინონიმი ყველაზე სრულად გამოხატავს სინონიმური მწკრივით გადმოცემულ მნიშვნელობას.<sup>4</sup>

---

<sup>3</sup> ამ მიზნით გამოყენებული იქნა „ქველ“-ის ილუსტრაციები XIX-XX ს. მწერალთა ნაწარმოებებიდან, აგრეთვე — ლექსიკოლოგიის განყოფილებაში 1960 წლიდან შექმნილი ახალი (დამატებით) ფონდის მასალა (მილიონამდე ბარათი), რამაც საჭირო გახადა შემქმნელებლიყო „ქველ“-ში დამოწმებულ ავტორთა (500-მდე მწერლის) გვარ-სახელების შემოკლების წესები (ნოზაძე, 2003, 26-30); შედგენილიყო სია.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ თავდაპირველად — საწყის ეტაპზე (1988-1989) იყო განზრახვა „ქველ“-ის (I-VIII, 1950-1964) შედგენის პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებულიყო სინონიმური რიგების „სიტყვანი“ — სია ილუსტრაციების დართვის გარეშე (მ. კვაბაძე).

იგი არ იქნა გაზიარებული როგორც არამიზანშეწონილი ამ შემთხვევისათვის.

<sup>4</sup> „ვლ“-ისაგან განსხვავებით „ქველ“-ში ნათარგმნი ტექსტებიდან მოხაზილი ილუსტრაციების არა აქვს კვალიფიკაცია თარგმ. („თარგმანი“) — 1. თეორიული მოსაზრების გამო: ივარაუდება, რომ თარგმნილი ტექსტში სათანადო ხიტუვებს „ავტორია“ მთარგმნელი. შდრ., ეს წამოჩინებული ვუკაცები ყველანი ერთმანეთს ჰგვანან (დ. კოკ., თარგმ.?). ბედნიერმა ცოლმა და უშუღ-ბუშუღებმა ახლა ამ თავლაში დაიდეს ბინა (ჭ. თითმ., თარგმ.?). ყრუ ფიქვინ-ფიქვინი ყუმბარების

სინონიმთა მწკრივის ცალკეულ წევრს სათანადო შემთხვევაში აქვს აღნიშვნა:

ალერს. „საალერსო“, დამც. „დამცირებითი“, ევფ. „ეფეფემიზმი“, ვულგ. „ვულგარული“, ირონ. „ირონიული“, კინინ. „კინინობითი“, ლანძღ. „სალანძღავი“, მოფ. „მოფერებითი“, „პატ. „პატივისცემით“, პოეტ. „პოეტური“, რელიგ. „რელიგია“, უპატ. „უპატივცემულო“, ფიგურ. „ფიგურალური, წიგნ. „წიგნური“, ხელ. „ხელოვნური“, ხმაბ. „ხმაბაძვითი“ და სხვ. (შდრ. „ქეგლ“-ი, I-VIII, 1950-1964).

შენიშვნა: ხაზგასასმელია ისიც, რომ ხსენებულ სალექსიკონო მასალაში ერთი ფუძისაგან სხვადასხვაგვარად (სხვადასხვა ფორმანტებით) ნაწარმოები ერთიდიამივე ლექსიკური მნიშვნელობის ფორმები — გრამატიკული სინონიმები — არ წარმოადგენენ სინონიმურ მწკრივთა დამოუკიდებელ ერთეულს. ლექსიკური სინონიმებისაგან განსხვავებით ამგვარი გრამატიკული ვარიანტები ერთმანეთისაგან გამოყოფილია პარალელური ხაზებით. მაგალ.:

ბეჭითი, მუყაითი, გამრჩე || გამრჩელი, მშრომელი, მუშა...

დაამადლებს || დაამადლის, დააუგედრებს || დააუგედრის, დაამუნათებს...

ეს წესი ახალ „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონის“ მნიშვნელოვანო სიახლეა. ამით იგი არსებითად განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი სხვა ანალოგიური ლექსიკონებისაგან (შდრ. ზ.ვ. ალექსანდროვა, 1968; ა. პ. ვევენიევა, 1970-1971; ა. ნეიმანი, 1951, 1961; კ. ჭორჩანელი, 2003 და სხვ.).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზმნური სალექსიკონო ერთეულის გამოტანის წესი ქართული ენის სინონიმთა სალექსიკონო მასალაში ემყარება იმ პრინციპს, რომელიც გატარებულია „ქეგლ“-ში (I-VIII, 150-164).

თუმცა ამ სფეროშიც არის ერთგვარი სიახლე, გარკვეულწილად დაკავშირებული სინონიმთა ლექსიკონის სპეციფიკასთან.

ახალ „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონ“-ში პრევერბიან (მყოფადის) სინონიმურ ზმნათა რიგის პარალელურად (ქვეშშიწერიტ), როცა ეს ხერხდება, გამოტანილია მათი უპრევერბო (აწმყოს) ფორმების სინონიმური მწკრივებიც,<sup>1</sup> გამოყოფილი აბზაციტ და გან-

---

გრიალ-გრიალს უერთდება (კ. გამს., თარგმ.) და სხვა. (ამგვარ კონტექსტებში კვალიფიკაცია თარგმ. ფორმალურ ხასიათს ატარებს). 2. „ტექნიკური“ მოტივი — მითითების ტექსტი იზრდება არაარსებითი, ზედმეტი ინფორმაციით.

გამონაკლისს ქმნის ე. წ. საშუალი გვარის ზმნები, რომელთაც ახ. ქართულში სხვადასხვა მწკრივში (აწმყო-მყოფადი, II სერიის მწკრივები) განსხვავებული ფუძეები აქვთ. ამგვარ ზმნათა აწმყოს და მყოფადის სინონიმური მწკრივები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი: ცეკვავს, თამაშობს... შდრ. იცეკვებს, ითამაშებს...



სხვაეხული (საგანგებო) შრიფტით.<sup>2</sup>

განმარტება პრევერბიანი ფორმებისაა, თუმცა, არსებითად, ის მოიცავს აწმყოს ფორმებსაც.

ილუსტრაციები შეძლებისდაგვარად დაერთვის ბუდის ყველა წევრს თანმიმდევრობით — ჯერ პრევერბიანს, შემდეგ — იმავე ფუძის უპრევერბო ფორმას დადგენილი რიგის მიხედვით.<sup>3</sup> მაგალითად:

**გაადვილებს, გააიოლებს, გამარტივებს, შეამსუბუქებს...**

აწმ. აადვილებს, აიოლებს, ამარტივებს, ამსუბუქებს...

იოლს ადვილად შესასრულებელს გახდის.

(ილუსტრაციები).

**გაუადვილებს, გაუიოლებს, გაუმარტივებს, შეუმსუბუქებს...**

აწმ. უადვილებს, უიოლებს, უმარტივებს, უმსუბუქებს...

იოლს, ადვილად შესასრულებელს გახდის მისთვის.

(ილუსტრაციები).

**გაადვილდება, გაიოლდება, გამარტივდება, შემსუბუქდება...**

აწმ. ადვილდება, იოლდება, მარტივდება, მსუბუქდება...

იოლად, ადვილად შესასრულებელი გახდება.<sup>4</sup>

---

(საშუალო გვარის აწმყოსა და მყოფადის ფორმები დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულადაა შეტანილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებშიც — რეატომეულსა (1950-1964) და ერთრემულში (1986).

<sup>2</sup> პრევერბიან და უპრევერბო სინონიმურ ფორმათა მწკრივების ერთად წარმოდგენის პრინციპით „ქესლ“-ი, ერთგვარად ეხმარება ცნობილი რუსი ლექსიკოლოგის ა. პ. ევგენიევის რედაქტორობით შედგენილ „რუსული ენის სინონიმთა ლექსიკონს“ (ა. ე. ევგენიევა, I-II, 1970-1971).

<sup>3</sup> თავდაპირველად („პროსპექტის“ მიხედვით) ჩვენთვის გაუგებარი მოტივით არ იყო გათვალისწინებული ლექსიკონში აწმყოს სინონიმურ ფორმათა ილუსტრირება. 1977 წლიდან ეს ხარვეზიც შეივსო.

<sup>4</sup> ამავე დროს „პროსპექტიდან“ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრთა დიდი უმრავლესობის თანხმობით ამოღებული იქნა, რბილად რომ ვთქვათ, ლექსიკონისათვის სრულიად ზედმეტი, გაუმართლებელი („შებრუნებული წყობის“) სინონიმური მწკრივები. რამდენიმე ნიმუში:

აადვილებს, აიოლებს, ამარტივებს, ამსუბუქებს, იხ. გაადვილებს, გააიოლებს, გამარტივებს, შეამსუბუქებს...

ახუნებს, აღავეებს; აბაცებს, აცრიატებს, აუფერულებს იხ. გაახუნებს, გააღავეებს, გააბაცებს, გააცრიატებს, გააუფერულებს.

ამშვიდებს, აწუნარებს, აშეშინებს იხ. დაამშვიდებს, დააწუნარებს.

(ილუსტრაციები) და ა. შ.

ასეა წარმოდგენილი ამ ფუძის (ბუდის) სხვა ფორმებიც და საერთოდ მთელი სინონიმური მასალა ზმნური ერთეულებისა, ასევე — შესაძლებლობისადაგვარად, სახელზმნებისაც, ოღონდ ამ შემთხვევაში პრევერბიანი და უპრევერბო ფორმები ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებით არის გამოყოფილი (აშენება || შენება, აგება || გება...).

ამგვარი წესის შემოღებით ახალ „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონში“ თავიდან არის აცილებული აწმყოსა და შესაბამისი მყოფადის სინონიმურ რიგთა განმარტებების განმეორება (შდრ. ადვილდება, იოლდება... „ადვილი, იოლი ხდება“; გაადვილდება, გაიოლდება... „ადვილი, იოლი გახდება“...; თავხედდება, კადნიერდება... „თავხედი, კადნიერი ხდება“; გათავხედდება, გაკადნიერდება... „თავხედი, კადნიერი გახდება“...), რის შედეგადაც ლექსიკონის ტექსტი ამ თვალსაზრისით შედარებით დახვეწილად წარმოდგება.

მაშასადამე, „ქესლ“-ში ზმნის (ასევე — სახელზმნების) პრევერბიან (მყოფადის) სინონიმურ მწკრივთა პირველ რიგად წარმოდგენის წესით პრაქტიკულად (და თეორიული თვალსაზრისისთაც) გარკვეული უპირატესობა პრევერბიან ფორმებს ეძლევა უპრევერბო (აწმყოს) ფორმებთან შედარებით ისევე, როგორც „ქეგლ“-ის ერთტომეულში.

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ არნ. ჩიქობავა ზმნათა განმარტებისას პრევერბიან ფორმას ანიჭებს უპირატესობას. მისი აზრით „წინდებულისი ზმნის (გააკეთებს, გააღნობს, წააწუხებს...) განმარტება უფრო ადვილია, რამდენადაც სრული სახე უფრო კონკრეტულია. შეიძლება ა-ზე არც მოგვეცა განმარტება „აღნობს, აკეთებს, აწუხებს“ — რიგის ზმნებისა და მხოლოდ მიგვეთითებინა სათანადო წინდებულისიან ერთეულზე (მაგალ., აკეთებს იხ. გააკეთებს...)“ (ჩიქობავა, 1950, 017).

არნ. ჩიქობავას ეს თვალსაზრისი შემდგომში საფუძვლად დაედო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულში (მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, რედ. მ. კვაბაშვილი, 1986) პრევერბიან და შესაბამის უპრევერბო ზმნათა წარმოდგენის წესს.

---

#### დაამოწმინებს.

ამგვარი რიგები არ გამოდგება არც საძიებლად. სინონიმურ ერთეულთა სრული საძიებელი ლექსიკონს დაერთვის ბოლოში (იხ. ა. ვკვნივეა, 1971. შდრ. ნეიმანი, 1951; ალექსანდროვა, 1968; ჟორჯანელი, 2003...).

საძიებლის ტექსტის გარეთ გამოტანით თავიდან არის აცილებული გვერდების წვება „იხილეთ“-ებთან. ამით მიიღწევა ლექსიკონის ტექსტის ერთგვაროვნება, კომპაქტურობა.

აღნიშნულ ლექსიკონში უზმნისწინო (აწმყოს) ფორმები, ჩვეულებრივ, მითითებულია სათანადო ზმნისწინიან (მყოფადის) ფორმაზე. განმარტება და საილუსტრაციო გამონათქვამები მოცემულია პრევერბიან ფორმებთან. მაგალ.:

აადვილებ-ხ იხ. გაადვილებს

გაადვილებ-ხ (აწმ. აადვილებს)

ადვილს გახდის, — გააიოლებს. ტექნიკის განვითარებამ ადამიანის შრომა გაადვილა.

აიოლებ-ხ იხ. გააიოლებს

გააიოლებ-ხ (აწმ. აიოლებს).

იოლს გახდის, — გააადვილებს. ავტობუსების დანიშვნამ სოფლებს შორის მიმოსვლა გააიოლა. და ა. შ. („ერთობმული“, 1986).<sup>1</sup>

ასპექტური (დროული) ნიშნით დაპირისპირებულ წევრთა — პერვერბიან და სათანადო უპრევერბო ფორმათა ამგვარი წარმოდგენის მეთოდით „ქველ“-ის ერთობმულში (1986) თავიდან არის აცილებული სიტყვა-სტატიათა ფაქტობრივად, განუყოფად — კობირება (შღრ. აკონსპექტებს „კონსპექტს ადგენს“, დააკონსპექტებს „კონსპექტს შეადგენს“, ალაგებს „წესრიგში მოკყავს“, დაალაგებს „წესრიგში მოიყვანს“; ბერდება „ბებერი ხდება“. დაბერდება „ბებერი გახდება“ და სხვ. „ქველ“-ი, 1950-1964).<sup>2</sup>

ამის შედეგად ლექსიკონის ტექსტი გარკვეულწილად იხვეწება, მისი მოცულობა მცირდება.

ამდენად, პრინციპების დახვეწის თვალსაზრისით ზმნურ სისტემაში და ზოგი სხვა ნიშნითაც — მნიშვნელობათა დაზუსტება, განმარტებათა გამართვა, გრამატიკული კვალიფიკაციების მინიმუმამდე დაყვანა-შემცირება (გრამ., გრამ., მიმლ., მყ...; შღრ. „ქველ“-ი: გრამ. სუბ. ქც..., გრამ. ობ. ქც..., გრამ. ობ. ქც..., მიმლ. ვნებ. ნამ..., მიმლ. ვნებ. მყ...) და სხვ. ქველ-ის ერთობმული წინგადადგმული ნაბაჟიარგატომეულთან შედარებით (ამის შესახებ ვრცლად — ხხვაგან).

რა განაპარობებს საკითხის ამგვარ გადაწყვეტას? — რიგი ფაქტორებისა:

1) ზმნის (თუ ინფინიტივის) პრევერბიან და უპრევერბო ფორმებს შორის უპირატესობას ნაშრომის ხასიათი, მისი დანიშნულება განსაზღვრავს.

სინონიმთა ლექსიკონი სინონიმურ მწკრივთა კრებულია. სინონიმთა რიგების შესადგენად სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობანი

<sup>1</sup> ამ თვალსაზრისით „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი“ განმარტებითი ლექსიკონის ერთობმულის ერთგვარ მოდიფიკაციას წარმოადგენს.

<sup>2</sup> ამ ფაქტზე მინიშნებაა ჰ. ფოგთან (1970, 363).

მიიღება მხედველობაში. ზმნის სემანტიკა კი უფრო გამოკვეთილად, უფრო ნათლად პრევერბიან ფორმებში არის გამოხატული.<sup>1</sup>

2) პრევერბიან (მყოფადის) ზმნათა სინონიმური რიგი ხშირად უფრო სრულია აწმყოს (უპრევერბო ზმნათა) შესაბამის მწკრივთან შედარებით; ე. ი. აწმყოს რიგი ხშირად „წევრნაკლულია“. მაგალითად:

**შეაქცევს, გაართობს, მოალხენს...**

აწმ. — , ართობს, ალხენს...

.....  
**ააშენებს, ააგებს, აღმართავს || ამართავს...**

აწმ. ააშენებს, ააგებს, — , — ...

და სხვ.

უფრო მეტიც, ზოგჯერ პრევერბიან ზმნათა სინონიმური მწკრივი „უცალა“, არ მოეპოვება შესაბამისი სინონიმური რიგი აწმყოს ფორმებისა. მაგალითად:

**აღმართავს, ააფრიალებს (დროშას)**

აწმ. — , —

და სხვ.

მიზეზი გასაგებია: ზმნათა მნიშვნელოვან ნაწილს — ინხობაცივებს, რიგ სუფიქსიან ვნებითს, საზოგადოდ, ნასახელარ ზმნათა მთელ წყებას აწმყოს ფორმები ბუნებრივად არ ეწარმოება. მკვეთრად ხელოვნური ფორმები კი განსაკუთრებით მიუღებელია სინონიმთა ლექსიკონისათვის მისი სპეციფიკურობის გამო.

3) სახელზმნები (მასდარი, მიმღეობა) უპირატესად პრევერბებით გვხვდება:

**გახუნება, გაუფერულება, გალიავება...**

---

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, აწმყოს ფორმები ხშირ შემთხვევაში მეტად პოლისემიურია. მაგალითად, აქცევს ზმნა შეიძლება ნიშნავდეს: ა) დააქცევს, დაღვრის...) ბ) წააქცევს, დაავლებს, დასცემს (ძირს...), გ) გახლის, გარდაქმნის... დ) შეაქცევს, შეუბრუნებს (ზურგს) და ა. შ.

უფრო მეტიც, მ. მანჯგალაძის დაკვირვებით ქველ-ში **დგ(ებ)** — („ფეხზე ჩერდება“) ძირთან ცხრამეტი ზმნისწინია დაფიქსირებული, ჩვიდმეტი პრევერბიანი ფორმა დასტურდება სამ ძირთან: **ხად-**, **ხქდ-**, **ქც-** და ა. შ. (მანჯგალაძე, 1999, 6-7).

ამიტომ, ბუნებრივია რომ ლექსიკონში, სადაც ერთადაა წარმოდგენილი პრევერბიან (მყოფადის) და შესაბამის უპრევერბო (აწმყოს) ზმნათა სინონიმური მწკრივები, პირველ რიგად იყოს გატანილი და განმარტებული პრევერბიანი ფორმები.

თვით პრევერბიან და შესაბამის უპრევერბო სინონიმურ მწკრივთა ერთად წარმოდგენის მიზანშეწონილობაზე მსჯელობა სათანადო არგუმენტაციით მოცემულია ზემოთ (გვ. 16).

გახუნებული, გაუფერულებული, გაღიავებული...

მათი უპრევერბო ფორმები: ხუნება, უფერულება, ღიაება... ხუნებული, უფერულებული, ღიაებული... არ არის რეალური, ბუნებრივი.

ამ მოსაზრებათა გამო ეძლევა უპირატესობა ახალ „ქესლ“-ში პრევერბიან (მყოფადის) ფორმათა სინონიმურ მწკრივს.<sup>2</sup>

დაბოლოს, ზემოთქმული მოკლედ რომ შევაჯამოთ:

ქართული ენის სინონიმთა სალექსიკონო მასალაში მიღებული წესი პრევერბიან (მყოფადის) და უპრევერბო (აწმყოს) ზმნათა სინონიმური მწკრივების ერთად განლაგებისა წარმოადგენს ოპტიმალურ ვარიანტს, რომელიც იძლევა საშუალებას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის და ზოგი სხვა მასალის კომპაქტურად (შემქიდრობებულად) გამოცემისა ლექსიკონის ძირითადი პრინციპების დაცვით არსებითი ხასიათის ცვლილებების გარეშე, რასაც ამ ეტაპზე ისახავს მიზნად „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი“, რომელიც მუშავდება არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში.

#### ლიტერატურა

**კიკვაძე, 1963** — ბ. კიკვაძე, „ალ, ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა“, „მაცნე“, 1963, № 2.

**კიკვაძე, 1964** — ბ. კიკვაძე, კვლავ სინონიმთა ლექსიკონის შესახებ, „მაცნე“, 1964, № 1.

**მანჯგალაძე, 1999** — მ. მანჯგალაძე, გეზისა და ორიენტაციის კატეგორიები თანამედროვე ქართულში, ავტორეფერატი ფილოლ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.

**ნოზაძე, 2002** — ლ. ნოზაძე, შენიშვნები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე მის ახალ გამოცემასთან დაკავშირებით, „საენათმეცნიერო ძიებანი“, XIII, 2002, გვ. 226-242.

**ნოზაძე, 2003** — ლ. ნოზაძე, ზოგი ტექნიკური საკითხის გამო

---

<sup>2</sup> ეს საკითხი (და ზოგი სხვა) ლექსიკოლოგიის განყოფილებაში კარგა ხანს (1999 წლის სამეცნიერო სესიამდე) წარმოადგენდა დავის საგანს.

ქეგლ-ში, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 62-ე საენათმეცნიერო სესიის მასალები, 2003, გვ. 26-30.

**ნოზაძე, 2004** — ლ. ნოზაძე, მასდარის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში და ქეგლ-ი, „ენათმეცნიერების საკითხები“, 1. 2004, გვ. 91-106.

**ფოგტი, 1970** — ჰ. ფოგტი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბ., 1950-1964, იკე, XVII.

**ფოჩხუა, 1974** — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

**ფოჩხუა, 1974** — ბ. ფოჩხუა, ქართული სინონიმის ლექსიკოგრაფიული საკითხები, იკე, XXII, 1980, გვ. 292-299.

**შანიძე, 1999** — ა. შანიძე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (კრიტიკული შენიშვნები), ენათმეცნიერების საკითხები, 2, 1999.

**ჩიქობავა, 1950** — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I („ქართული ენის ზოგადი დახასიათება“), 1950, გვ. 011, 017.

**ჩიქობავა, 1964** — არნ. ჩიქობავა, „მთავარი რედაქციისაგან“, ქეგლ-ი, VIII, 1964.

**ჩიქობავა, 1986** — არნ. ჩიქობავა, „მთავარი რედაქციისაგან“, ქეგლ-ი, ერთტომეული, 1986.

**ქაბაშვილი, ნოზაძე, 1993** — მ. ქაბაშვილი, ლ. ნოზაძე, ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი (ნიმუშები) იკე, XXXII, 1993, გვ. 217-230.

„ქართლური დიალექტის ლექსიკონში“ (შემდგენლები: თ. ბერო-ზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, რედაქტორი მ. ჭაბაშვილი, თბ., 1981) წარმოდგენილია ქართული ენის ფუძე-დიალექტის — ქართლურის ლექსიკა. შედგენის პრინციპების მიხედვით იგი განსხვავდება მანამდე არსებული ლექსიკონებისაგან. მასში შეტანილია ზმნის ყველა ფორმა: საარვისო, სათავისო, სასხვისო ქცევა, კაუზატივი, მასდარი, მიმღეობა (თუ ისინი დადასტურებულია ტექსტებში), მაგრამ სიტყვის განმარტება მოცემულია მხოლოდ ზმნის ამოსავალ ფორმასთან (ჩვეულებრივ, მოქმედებითი გვარის ნეიტრალურ ქცევასთან), დანარჩენი ერთეულები კი წარმოდგენილია მოცემული ზმნის ბუდეში განუმარტავად<sup>1</sup>.

ის გარემოება, რომ ქართლური, როგორც ცნობილია, ქართული სამწერლო ენის საყრდენ დიალექტს წარმოადგენს (სალიტერატურო ენაში შესულია მისი ლექსიკური მარაგის უდიდესი ნაწილი), გარკვეულ სირთულეს ქმნიდა სალექსიკონო ერთეულების შერჩევისას. ამის გამო ქართლური დიალექტის ხსენებულ ლექსიკონში არ შევიდა მთელი რიგი ქართლში დადასტურებული ისეთი სიტყვები, რომლებიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შეტანილია „კუთხურის“ კვალიფიკაციის გარეშე, ე.ი. მიჩნეულია სალიტერატურო ენის კუთვნილებად, ან მის სარეზერვო ფონდად. ასეთებია: გაშანშლავს „გაფანტავს“, დაშარტავს „მაგრად შეკრავს“, მოინარიკლებს „ამოიკაშს“, ცეტერი „ცირად წაჭრილი (წნელი, შტო)“, წაკულაკი „შემოუსვლელი ნუში (აგრეთვე ჭერამი, ტყემალი)“ და სხვ. („ქართლ. დიალ. ლექს.“, 1981, 4).

ლექსიკონში არ შევიდა აგრეთვე სალიტერატურო სიტყვათა იმ

---

<sup>1</sup> წაკითხულია XVII რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე, ქ. თელავი, 1997 წ., 24-25 ოქტომბერი. გამოქვეყნდა ჟურნალში „საენათმეცნიერო ძიებანი“, XVII, 2004, გვ. 238-245.

<sup>1</sup> ამ წესით თავიდან არის აცილებული ერთდანიანე ზმნის ფუძის სალექსიკონო ერთეულებთან განმარტების გამეორება სხვადასხვა ფორმით. ამასთან იგი იძლევა ადგილის საგრძნობ ეკონომიას („ქართლური დიალექტის ლექსიკონი“, თბ., 1981, გვ. 5). შდრ. ამ თვალსაზრისით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიკობავას საერთო რედაქციით, 1950-1964) და მისი პრინციპების მიხედვით შედგენილი დიალექტური ლექსიკონები.

ტიბის ფონეტიკური ვარიანტები, როგორცაა, მაგალითად: გაიქავრებს „გაიქარვებს“, ლავარძალა „მრავალძარღვა“, შხირად „ხშირად“, ჩხლართვი „ჩხართვი“, მძვირი „ძვირი“, ბარცხნის „ვარცხნის“ და სხვ. (შდრ. ქართული ენის დიალექტური ლექსიკონები).

ამ კონტექსტში ქ. ლომთათიძის ყურადღებას იქცევს ლექსემა მძვირი, რომელიც, მისი აზრით, ხსენებულ ლექსიკონში ზემოთ აღნიშნული წესის (ლექსიკონში არ შედის სალიტერატურო სიტყვათა ფონეტიკური ვარიანტები) დარღვევით არის შეტანილი, რაც არ შეეფერება სინამდვილეს.

მკვლევრის ვარაუდით თვისების აღმნიშვნელ სიტყვაში — მძვირი, ასევე ლექსემებში: მშური „შურიანი“, მწვეტი 1. ცხვირწაწვეტებული (ქალი), 2. ავი, მოჩხუბარი (ქალი) მ მორფოლოგიური ფუნქციის აფიქსია — ადამიანის კატეგორიის გამომხატველი თავსართი.

ავტორის თქმით, „თითქოს გამოდის, რომ თვისების აღმნიშვნელი სახელი და არსებით სახელთა ფუძეები ასევე გარკვეული თვისების შემცველი მ პრეფიქსის დართვისას ამ თვისებით აღჭურვილ ადამიანთა სახელებად იქცევა; შდრ.: ერთი მხრივ, წვეტი და მეორე მხრივ — მწვეტი (ადამ.); ერთი მხრივ ძვირი და, მეორე მხრივ, — მძვირი (ადამ.), ერთი მხრივ, შური და, მეორე მხრივ, — მშური (ადამ.)“ (ლომთათიძე, 1995, 147-148).

მკვლევარი შესაძლებლად თვლის ამ ფაქტში დაინახოს ადამიანისა და ნივთის კატეგორიათა დაპირისპირების ახალი ტენდენცია. იგი ანალოგიურ მოვლენას ხედავს ფორმებში: შკითავა (შდრ. კითა) და სხვ. (იქვე).<sup>2</sup>

---

<sup>2</sup> ჩვენი აზრით, ხსენებულ სიტყვათა ზემოთ წარმოდგენილ ინტერპრეტაციას დაბრკოლებები ახლავს. კერძოდ, თუ მძვირი („ძუნწი“) ფუძეში მ წარმოშობით ადამიანის კატეგორიის გამომხატველი აფიქსია, მაშინ ასახსნელია იმავე დიალექტში შს არსებობა ისეთ ფორმებში, რომლებიც ადამიანს არ მიეპარება, როგორცაა მძვირი „ძვირი“, „დიდი ფასის მქონე (ხორცი, ყველი...)“, სიმძვირე, გამძვირება და მისთ.

ის ფაქტი, რომ ქართულში ლექსემა მძვირი („ძუნწი“) ზოგჯერ შს გარეშეც აღნიშნავს სიძუნწის თვისებას (შდრ. ეგე ძვირია, ფეტვი რო ექიროს, მარცვალი არ გვეპარება“, „ქართლ. დიალ. ლექს.“, 1981), შეიძლებოდა მეორეულ მოვლენად მიგვეჩინა, ძვირი ჩაგვეთვალა შს-ს დაკარგვის შედეგად მიღებულ ფორმად, მაგრამ, როგორც ცნობილია, ძკრ - ფუძე შს-ს გარეშე (ამ ფუძის ეტიმოლოგია არ გულისხმობს შს-ს არსებობას არც საწყის ეტაპზე — ამის შესახებ იხ. ქვემოთ) გამომხატავს სიძუნწის, ხელმოკერილობის თვისებას, რაც, ცხადია, ადამიანს მიეპარება.



ჩვენ ამჯერად შევეხებით მხოლოდ „ქართული ლექსიკონიდან“ (1981) დამოწმებულ სიტყვებს: მძვირი, მშური, მწვეტი.

აღსანიშნავია, რომ ქართულ დიალექტში სიტყვა **მძვირი** (მჭვირი), სადაც დიაქრონიულად მ, ვფიქრობთ, ფონეტიკური დანართია, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული მნიშვნელობის გარდა („დიდი ფასის მქონე“) აღნიშნავს აგრეთვე: „ძველს ხელმოკერილს“. ნიმუშები ლექსიკონიდან: ისეთი მძვირია, ისეთი კანდამწვარი ჩვენი ვანოი, რო კაპიკ ვერ გააგდებინეთ: ქვე: ქვე ძვირია, რო ფეტვი რო ეჭიროს, მარცვალი არ გეგპარება: ოძ... (სქართლ. დიალ. ლექს., 1981).

ძვირი ძუნწის მნიშვნელობით დადასტურებული აქვს ა. შანაძეს მთის კილოებში (1984, 447).

ფუძე ძვრ- ამავე მნიშვნელობით დასტურდება ძველ ქართულშიაც; შდრ. დაძვრება „ძუნწობა“: დასძვრდეთ და ვერ თავი- იდებდე მოცემად მათგანსა ვისამე, ბალავ. 81, 16 (აბულაფე. 1973). იგი გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“: ვგმობ მუხთალსა საწუთროსა, ზოგჯერ უხვსა, ზოგჯერ ძვირსა (ამ შემთხვევაში სიტყვა ძვრის მნიშვნელობა დავიწროებულია: ძვრი ავი, ცული“ → „ძუნწობა“).

---

შამასადაბე. ქართულში დადასტურებულ მძვირ-მძვირ- (ძუნწი) ფუძეში მ- დიაქრონიულად არ უნდა იყოს მორფოლოგიური ელემენტი. ლიტერატურული თვისებით აღტურვლი ადამიანთა სახელებად“ მაქცევარი პრეფიქსი, ანუ აღნიშნავს კლასის აღნიშნველი თავსართი (შდრ. ლომთათბე, 1995).

მშური, მწვეტი ფორმების შესახებ — ქვემოთ.

3 თ. გამყრელიძისა და გ. მაკავარიანის აზრით „ძვე ქართ. ძვრი ცული. ავ“ აღვადგენინებს \*ფძუნ — \*ფძუნე ზმნას (შდრ. განკუნ-და, მძუნ-გარე), რომლის ბოლოკიდური (ნ) უპირისპირდება სახელურ ფუძეში წარმოადგენილ (რ)ს (თ. გამყრელიძე, გ. მაკავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლატი ქართულურ ენებში, 1966, გვ. 263).

აღსანიშნავია, რომ რეკონსტრუირებული \*ძუნე/ძუნე (აბლატი, ვაგარ- ვარება“) ზმნის დერივატი წზე დაბოლოებული ფუძით — ძვნი ფუნქციონებდა ძველი ქართული ენის ძეგლებში როგორც ძირითადი (აბლატი) მნიშვნელობით. ისე გადატანითი (მეორეული) მნიშვნელობით. მაგ.: ძვნი 1. განზრებული რკინის ნაპერი: მსგავს იყო შენ ძვნსა რკინისასა, რომელსა სცემ მქედელი ფრიად: მცხ. 51 (ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ.). 2. მრისხანე, გაეცხლებული: შენ მიერ ვძლე ძვნსა და მსრელსა ვეშაჰსა A — 417, 6<sup>o</sup>, 10. 3. აული, ავი: დალაუ ყელილ განვსთქუმიდეთ მთ, დალაუ ძვნ განვსთქუმიდეთ A — 417, 289.

ძვნი-ი სიტყვისაგან ნ/ტ ცვლით არის მიღებული ძველ ქართულში დადასტურებული ფორმა ძვრი (ნ/ტ მონაცვლეობისათვის იხ. ლ. ნოზაძე, კან-/კარ- ტიპის ფუძეების შესახებ ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 4, 2001, გვ. 81-100).

ლექსება მძვირი (|| ძვირი) ამ განსხვავებული სემანტიკის გამო არის შეტანილი ქართლური დიალექტის ლექსიკონში (და არა მისი ფონემური შედგენილობის მიხედვით), რაც სრულ შესაბამისობაშია იმ პრინციპებთან, რომლის მიხედვითაც შედგენილია დასახელებული ნაშრომი. ხსენებულ ლექსიკონში არ შესულა ქართლურში (და არა მართო ქართლურში) ასევე გავრცელებული ფორმები: მძვირი, სიმძვირე, გამძვირდა (თოფურია, 1929, გვ. 136), გამძვირება, გამძვირებული და მისთ., რადგანაც ისინი მხოლოდ ფონეტიკური ვარიანტებია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული სიტყვებისა, სემანტიკურად — იდენტური.

რაც შეეხება დანარჩენ ორ ლექსემას, რომლებიც ქ. ლომთათიძის დასახელებულ სტატიაშია განხილული — მშური, მწვეტი, პირველი მათგანი — მშური „შურიანი“, უფრო ზუსტად — „მოშურნე“, წარმოადგენს სასუბიექტო მიმღობას, ნაწარმოებს შურს ზმნისაგან მ პრეფიქსით ისევე, როგორც ამავე დიალექტში დადასტურებული მიმღობური ფორმა მბაძი („მბაძავი“) წარმოქმნილია კბაძა<sup>4</sup> ვ-ს ზმნისაგან მ აფიქსით. შდრ. ნუ ხარ მშური, იყავ მბაძი („ქართლ. დიალ. ლექს.“, 1981; გვხვდება გარეკახურშიც მშური „შურიანი“, სახლთხუციშვილი, 2003)<sup>4</sup>.

სიტყვა მწვეტი კი აღნიშნული ლექსიკონის მიხედვით ქართლურში ნიშნავს: 1. ცხვირწაწვეტებული (ქალი): სონა უფრო მწვეტია და ანიკო ისეთი იყო, როგორც კალმით ნახატი (ძეგ.). ჩიტირეკიანთა მყოლიათ ერთი მწვეტი გოგო და იმასა მყვაროფსო ტევრულიანთ გოგია (წილკ.).<sup>5</sup> 2. ავი, მოჩხუბარი ქალი<sup>6</sup>: ისეთი

---

<sup>4</sup> არა გვჯონია, რომ მშური სიტყვაში მ ადამიანის კატეგორიის აღმნიშვნელი პრეფიქსი იყოს (შდრ. ქ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ.). სხვა საკითხია, რა ფუნქციას ასრულებდა მიმღობის მ პრეფიქსი საერთო-ქართველური ფუძე-ენის ადრეულ, საწყის ეტაპზე.

მწვეტი (|| მწვეტა) გადატანითი მნიშვნელობით ფიქსირებულია მოხეურშიც. ი. ქავთარაძის განმარტებით მისი მნიშვნელობაა — „გამხდარი და მალალი, გრძელსახიანი ადამიანი“. მაგ.: ისეთი მწვეტი რძალი მოუყვანიათ, ზედ არ შეეცქირება (ქავთარაძე, 1985, გვ. 288).

აღნიშნული სიტყვა დასტურდება კომპოზიტის მეორე შემადგენელ წევრადაც — იდაყვმწვეტი („წვეტანი იდაყვის მქონე“): [თებროს მამამ] წლისთავი გადაუხადა თუ არა ცოლს, მეორე ცოლი მოიყვანა — მხრებწვირილი, იდაყვმწვეტი და თვალქრელი ქალი (რ. ინანიშვილი).

აღსანიშნავია ისიც, რომ ლექსება წვეტი („რისამე დავიწროებული ბოლო“), აგრეთვე — წვეტიანი („წვეტის მქონე“) მწვეტი, მწვეტიანი ფორმით

მწვეტია, მაგას ვინ გაუძღვებს? (ძეგ.). მწვეტო, მწვეტო. იჯერე გული ჩხუბითა (ძეგ.). შღრ. დამწვეტილი „საჩხუბრად მომზადებული, გაალმასებული“: დამწვეტილია, მოერიდე, შენზე არ გადმონათხიოს ცოფები, ძეგ. („ქართლ. დიალ. ლექს.“, 1981); გვხვდება გარეკახურშიც: ისეთი დამწვეტილია, შეგჭამს ნამღვილად (სახლთხუციშვილი, 2003).

საყურადღებოა, რომ ქართული ენის დიალექტებში, მათ შორის ქართლურშიც, მწვეტ- ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები დასტურდება სალიტერატურო ქართულში გავრცელებული მნიშვნელობითაც: მწვეტი<sup>7</sup> „წვეტი“, მწვეტიანი „წვეტიანი“, წამწვეტილი „წამწვეტებული“ და სხვ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ლექსემაში მწვეტი, როცა იგი მსახვრელად გამოიყენება, თავიდანვე მ-, რომელიც დიაქრონიულად ფონეტიკური დანართია, იმავე ფუძის -ა (-იან)სუფიქსით ნაწარმოები სახელისა, თუ სათანადო სემანტიკის მ-პრეფიქსიანი მიმღობების გავლენით რეინტერპრეტირდება მქონებლობის (თვისების) აღმნიშვნელ ელემენტად (შღრ. მოხევე. მწუტეტი, მწუტეტა გამხდარი და მაღალი, გრძელსახიანი ადამიანი<sup>8</sup>), ე.ი. მს ეს ფუნქცია მეორეულია (ამ შემთხვევაში არ არის არსებითი, რა გზით ჩამოყალიბდა იგი).

მაშასადამე, ლექსემები: მშური, მწვეტი წარმოების ამ თვისებურებათა და შესაბამისი სემანტიკის გათვალისწინებით არის შესული ქართლური დიალექტის ხსენებულ ლექსიკონში ისევე, როგორც სიტყვა მძვირი (|| ძვირი) „ძუნწი, ხელმოჭერილი“ — თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული მნიშვნელობის გამო.

---

გვხვდება სამწერლობო ქართულშიც: [ნარჩიტას] ყბადალეო, თავისი მწვეტი ენა მთლად გადმოვგდო და ქაქანბდა (ი. მჭედლიშვილი). [მთის ზღინებ] მწვეტიანი წვერებით ცამდის სწვდებოდნენ (გ. წერიელი). ძალიან ფრხილობდა არ დაცოდნა მწვეტიანი [ნემსით] შუბა თითები (ვ. ბარნოვი) და სხვ.

<sup>6</sup> სიტყვა მწვეტის მეორე მნიშვნელობა — ავი, ანხლი (ქალი) — გადატანითია. როგორც ჩანს, მეტყველის ცნობიერებაში წაწვეტებული ცხვირი ავ ანხლ ხასიათს უკავშირდება. საყურადღებოა, რომ ლექსემა ცხვირი ქართულ სიტყვაწარმოებაში საკმაო როლს თამაშობს. შღრ. ცხვირაწეული, ცხვირაბზეცილი „ამაყი, მედიდური“, ცხვირჩამოშვებული „დაღონებული, მიწეწერილი“. ქართლ. გაიცხვირება „ცხვირის ჩამოშვებს, გაიბუტება“ და სხვ. (იბ. ჰეგლ).

<sup>7</sup> შღრ. მჭველი, მჭეცა, მჭა, მჭეელი, სამჭეაელი... (ვ. თოფური. დასაბ. ნაშრ.). აგრეთვე — მძვალი, მჭვირილი, მჭველი... (ჩიქობავა, 1925, გვ. 70- და სხვ.

ამგვარად, აღნიშნული სიტყვები (მძვირი || ძვირი, მშური, მწვეტი) დასახელებულ ლექსიკონში მიღებული პრინციპების სრული დაცვით არის შეტანილი (შდრ. ქ. ლომთათიძე, 1995, 147-148).

ჩვენი აზრით, საერთოდ დიალექტურ ლექსიკონებში, როგორც წესი, არ უნდა შედიოდეს სალიტერატურო სიტყვათა ის ფონეტიკური ვარიანტები, რომელთაც იდენტური მნიშვნელობა აქვთ (მითუმეტეს, თუ ამა თუ იმ ფონეტიკურ პროცესს რეგულარული ხასიათი აქვს).<sup>8</sup> როგორცაა, მაგალითად: შირი, გაშირდა, ნაშირი, ხვაი, თვარე, ტრედი, ტკვარი, თელი, შრალი, წყერი, მწვრილი, მქმარი, მგველი, მშველი, მცხარე, მზეცა, ალუნჩა, ჯიმში და მისთ., თუმცა შესაძლოა ზოგი მათგანი საინტერესო ჩვენებას იძლეოდეს სიტყვის ეტიმოლოგიის დასადგენად.<sup>9</sup>

<sup>8</sup> როგორც აღინიშნა, ამ პრინციპით არის შედგენილი „ქართლური დიალექტის ლექსიკონი“ (1981). ძირითადად, ეს წესია გატარებული, მაგალითად, ი. ქავთარაძის „ქართული ენის მოხუცი დიალექტიკის ლექსიკონში“, 1985 (ამგვარად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტური ლექსიკონების მიმოხილვა).

<sup>9</sup> როგორც ცნობილია, ამგვარი ფორმები დიალექტურ ლექსიკონებში შეაქვთ. შდრ., მართლად „მათული“, მუსტი „მუსტი“, მოსაურეილებს „მოსაულიერებს“ (შდრ. სურიელი), ღურბელი „ღრუბელი“, მსკვალი „სკვალი“, მწვაი „წვაი“, ღნალი „მღნალი“. ყუდრო „მყუდრო“ ყუის, „ყმის“, ყული, „ყმული“... (კინძარაული, 1969). ამაზი „აემაზი“, ამფმარა „აეფმარა“, აშტამი „ასტამი“, ბანალი „ბალანი“, გადაბარცხნილი „გადავარცხნილი“, დააცხრება „დააცხრება“, მოუმღერებს „მოულერებს“. მცხარე „ცხარე“, მხალი „ხალი (ნიშანი სხულზე)“, ნაბორალა „ნაბორალა“, ნიქთი „ნივთი“, ჟაუნა „მეაუნა“, ხვაი „ხვაი“... (გაჩეჩილაძე, 1970). აბურდული „აბურდული“, აღმული „აღმური“, მზვარა „ზვარა, ზვარაკი“, მონავარი „ონავარი“... (მენთეშაშვილი, 1970). მწყნარი „წყნარი“, მჭვივი „ჭვივი“, მჭიში „ჭიში“, ნამყოფი „ნაყოფი“, მულთაქა „მულთაქა“, ნამკელი „ნაკელი“, ნაპრავლი „ნაპრალი“, ღერი „მღერი“, მოშულელი „მოლუშული“, ნაკრულა „ნაკრული“, ლამი „ნამი“, ლანბაქი „ლამბაქი“, მუდნივ „მუდმივ“... (ძოწენიძე, 1974). მწვაი „წვაი“, ხოვი „ხვაი“, მცორი „ცვარი“, მცხორი „ცხვარი“, ზოკო „სოკო“, ყონდახი „კონდახი“, ძაბი „ძაფი“... (ქავთარაძე, 1985). ბიზღება „ბეზღება“, ზოვი „ზვაი“, ყოვი „ყვაი“, აყოვება „აყვაება“, მუდლით „მოვდით: მუელი „მოველი“, გადმუარდება „გადმოვარდება“, ხოყანა „ქვეყანა“, თვალაბმული „თვალაბმული“, ბლუვი „ბლუ“, ღრუვი „ღრუ“, ბუქვი „ბუქვი“, ბატარა „პატარა“, ბლერტვა „ბერტვა“, მძლივ „ძლივ“... (ხორნაული, 2000). ზოვი „ზვაი“, ხოვი „ხვაი“, გოლვა „გვალვა“, ხარე „მხარე“, უზღელი „უზრღელი“, ამოსუტავს (ამოსუტვა, ამოსუტული) „ამოსუტავს“, ბუვი „ბუ“, მძვალი (უმძვლო) „ძვალი“, მწვალი „სკვალი“, გლარსუნი (უგლარსუნებს) „გლასუნი“, გაგვრშილი „გავგვშილი“, აბლერტავს (აბლერტვა, აბლერტილი) „აბერტავს“, ავლიხე „ავლისხე“, გაჭვარდება „გაჭავრდება“, ზოკო „სოკო“, ავანტყოფი (ავანტყოფობს, ავანტყოფობა) „ავანტყოფი“, სტერი (გასტერდება, გასტერება, გასტერებული) „შტერი“, უკმენს (დაკმენავს, დაკმენა, დაკმენილი) „უკმენს“, ნაკრული

ამგვარადვე შეიძლება დაისვას საკითხი მორფოლოგიური ვარიანტების მიმართაც, როგორცაა, მაგალითად, დიალ. მაშფოთარი „მშფოთვარე“, მტაცი „მტაცებელი“, მეტულობს „იმეტებს“ (კინჭარული, 1969); ნამცოხარი „ნაცოხნი“ (ძოწენიძე, 1974); დამკლი „დამკლებელი“, მბაძი „მბაძველი“ („ქართლ. დიალ. ლექს.“, 1981); უზმელი „უზმო“, უსუნებრივ „შეუსვენებლად“ (ქავთარაძე, 1985); კირს „უკვირს“, გონობს „იგონებს“, თხოობს „ითხოვს“, ჰკრავის „აკრია“, მავნები „მავნებელი“, ნადირობად „სანადიროდ“, ასუყული „ასუყებული“, საქცი „საქციელი“, სარიდალი „მოსარიდებელი“ (ხორნაული, 2000); მქონიარე „მქონებელი“, ნაფასური „საფასური“, დასაბრმობი „დასაბრმავებელი“, დატიტყნული „დატიტყნილი“, ულევარი „ულევი, ულეველი“ (სახლთხუციშვილი, 2003) და სხვ.

ამ რიგის ფაქტები გრამატიკული ანალიზის ობიექტს წარმოადგენს. ლექსიკოგრაფიისა და გრამატიკის საგანი უნდა გაიმიჯნოს. დიალექტურ ლექსიკონს არ შეიძლება ეკისრებოდეს დიალექტური ტექსტების ფუნქცია.

დიალექტურ ლექსიკონებში, როცა ისინი სალიტერატურო ენასთან მიმართებით დგება, როგორც წესი, შეტანილი უნდა იქნას მხოლოდ ახალი ფუძეები (მხედველობაში გვაქვს მარტივი ფუძე), ანდა — იდენტური ფუძე, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობისა.

#### ლიტერატურა

**აბულაძე, 1973** — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

**გაჩეჩილაძე, 1970** — პ. გაჩეჩილაძე, ქართლური სალექსიკონო მასალა, იკე, XVII, თბ., 1970.

**თოფურია, 1929** — ვ. თოფურია, ქართლური, „არილი“, 1929.

**ლომთათიძე, 1995** — ქ. ლომთათიძე, ზოგი „მანმეტი“ ფუძის შესახებ ქართულში, იკე, XXXIII, თბ., 1995.

**მენტეშაშვილი, 1970** — ს. მენტეშაშვილი, ქართლურის სალექსიკონო მასალა, იკე, XVII, თბ., 1970.

---

„ნაკლული“; დუტკო „დუტკო“. პტყელი „პრტყელი“... (სახლთხუციშვილი, 2003) და სხვ.

**სახლთხუციშვილი, 2003** — უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური ლექსიკონი, თბ., 2003.

**ქავთარაძე, 1985** — ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

**ქართლური დიალექტის ლექსიკონი, 1981** — შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, რედ. მ. ჭაბაშვილი, თბ., 1981.

**შანიძე, 1984** — ა. შანიძე, თხზულებანი, I, თბ., 1984.

**ჩიქობავა, 1925** — არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, „არილი“, 1925.

**ძოწენიძე, 1974** — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1974.

**ჭინჭარაული, 1969** — ალ. ჭინჭარაული: ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969.

**ხორნაული, 2000** — გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ., 2000.



## გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)